


2130 1/2
2023

რედაქცია

29

1/2



2023

ჯუმა ჯუმითელი

ბრიგოლის მოსვლას კვლავაც მოველი

მიჩუმებულან სამცხის ველები,
ბებერი მუხაც აღარ შრიალებს,
ქანილა დაძრწის ხველებ-ხველებით,
ხან-კი ხევეზში დაიღრიალებს.
გრიგოლის მოსვლას კვლავაც მოველი,
ფიქრი ღრუბლებში გაისრიალებს,
უფლის დიდება, „ქართლად ყოველი...“,
მჭერა, ხვალ ისევ გაიხმიანებს!

არაჰი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

29

2023

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე
ლია ზაზაშვილი
ციური ლაფანი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
მაია ქუქჩიშვილი
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

მხატვარი: თამარ თამარაძე

მდივანი: ზაირა გელაძე

მენეჯერი: ჟუჟუნა დემეტრაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023

ISSN 2346-836X

ზაზა ცოტნიაშვილი

ზაზა ცოტნიაშვილი არის განათლების სახლის დამფუძნებელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის უფრანგისტიკის საბაკალავრო და მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი; სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მედიის მიმართულებით, პროფესორი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი; საქართველოს პარლამენტის განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.



ოთხი წლის განმავლობაში ის იყო გორის უნივერსიტეტის რექტორი, სადაც განხორციელდა განათლების წარმატებული რეფორმა. შემდეგი ოთხი წელი ასრულებდა ვიცე-რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დეკანის მოვალეობებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში.

განათლების მიმართულებით აქტიური საქმიანობის გამოხატულებაა მის მიერ დაფუძნებული განათლების სახლი, რომელსაც ხელმძღვანელობს მე-9 წელია.

ზაზა ცოტნიაშვილი 25 წელზე მეტია კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე საქართველოსა და უცხოეთში, მისი სალექციო კურსებია: კონფლიქტების გაშუქება, საინფორმაციო ომები და მედია, პოლიტიკის გაშუქება, კომუნიკაციები, ჰიბრიდული სწავლება.

ზაზა ცოტნიაშვილი ავტორია 3 მონოგრაფის, 1 ნოველების კრებული და 50 ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის.

ზაზა ცოტნიაშვილი აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებში, ტრენინგებში. მისი კვლევის მიმართულებებია: საინფორმაციო და კიბერ ომები, კონფლიქტების გაშუქება, მედია-განათლება, ჰიბრიდული სწავლება.

დედის მონატრება

ბექა ცოტნიაშვილი იმ საღამოს მეგობრებთან ერთად შეზარბოშდა. დევნილთა დროებითი ჩასახლების მახლობლად მდებარე



დეუქანში ბავშვობის მეგობრის ოცი წელი აღნიშნეს ერედველმა ახალგაზრდებმა. ასეთი ტრადიცია ცოტნიაანთ უბანში მათი ყრმობიდან იღებდა სათავეს. დედა დააცხოვდა ხაჭაპურებს (ოსური რეცეპტით), ცივად მოხარშავდა ყვითელ დედალს და მეზობლები, მეგობრები და ნათესავები ულოცავდნენ ერთმანეთს დაბადების დღეს.

ქართულ მიწაზე, მაგრამ მშობლიური ადგილიდან მოშორებით, ბექას დედა მოენატრა, უფრო სწორად, - დედის საფლავი.

არეული ადგა სუფრიდან, სადაც მშობლებისა და მშობლიური მიწის სადღეგრძელოები ჭარბად მიირთვა. გამოვიდა ცენტრალურ ავტობანზე და, ჯერ გორამდე, შემდეგ მერეთამდე, დიდი გაჭირვებით იმგზავრა. მერეთიდან გახედა მთაზე შეფენილ თავის ნასოფლარს, სავარაუდოდ, სივრცეში დედის საფლავი მოძებნა და ფეხით გაუყვა გზას, რადგან ბოლო ქართულ სოფელ არბომდე მიმავალი მანქანა არ ჩანდა.

მშობლიური წიაღის მიზიდულობის ძალა დიდი იყო! თითქმის მირბოდა. პირობითი საზღვარი ფრთხილად გადალახა; კარგად იცოდა, რომ რუსი და ოსი მესაზღვრეები თუ შეამჩნევდნენ, პატიმრობა ელოდა.

ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა - შეერთებოდა მშობელ წიაღს. დედის საფლავი ანდამატივით იზიდავდა.

ან გაუცხოებულ, გატყვევებულ მშობლიური სანახები განსაკუთრებულ გრძნობას მძაფრად აღუძრავდა, თვალზე მომდგარი ცრემლი ქვითინად ექცა. ხან ხოხვით, ხან ჩოქვით მიაღწია უძვირფასეს ადგილს - დედის საფლავს. დაემხო და მთელი ხმით ატირდა, სდიოდა ცრემლი, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ დაღვრილიყო ცოტნიაანთ სასაფლაოზე (ერედვეში გამოთქმას „ჩვენი სასაფლაოსი ხარ“ განსაკუთრებული თბილი იუმორით წარმოსთქვამდნენ).

ტირილში, მშობლიურ მიწაზე მწოლიარეს, დაუბინდდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ სასაფლაო ასეთი მიმზიდველი იქნებოდა. გააცნობიერა, რომ სახლისკენ ვერ წავიდოდა, გადამწვარი იყო ტრადიციული კერია! ძალი არ ყეფდა და მამალი არ ყიოდა...

ისევ არბოს მიმართულებით აიღო გეზი. პირობით საზღვართან ჩამოჯდა, შეხედა მშობლიურ, მაგრამ გაუცხოებულ წიაღს...

ნამოდგომა რომ დააპირა, ოსურ-რუსული საუბარი მოესმა. მესაზღვრეებს წინააღმდეგობა გაუწია, დაინდეს და არ ესროლეს. ძლიერ გააკავა ექვსმა ჯარისკაცმა, ჯერ დისევის ტერიტორიაზე ახალაშენებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს, შემდეგ კი - ცხინვალის ციხეში. შვიდ წლამდე პატიმრობა ელოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილმა ქართულ-ოსურმა ნათესაურმა კავშირმა იხსნა...

ავვისტოს ბომბები და შესაქენი სახლი

გორის უნივერსიტეტის სტუდენტი ზაურ წულეისკირი გასული საუკუნის 60-იან წლებში საერთო საცხოვრებლის ფანჯარასათან ხშირად მდგარა და უოცნებია ამ ქალაქში დამკვიდრებასა და საკუთარი კერიის მოწყობაზე. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ზაურს უნივერსიტეტში მუშაობის 40 წლის სტაჟი უსრულდებოდა, გორის დაბომბვა რომ დაიწყო. მისი ბერძენი მეუღლე ადრევე, 90-იან წლებში გაერიდა არეულ-დარეულ საქართველოს და, ქალიშვილთან ერთად, მშობლიურ საბერძნეთს შეაფარა თავი. გორზე შეყვარებული ზაური ცოლს შეელია, ძვირფას ქალაქს კი - ვერა.

საბერძნეთში წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდა და ჩამოჰქონდა გორელ თანამშრომლებთან და მეგობრებთან ცოლ-შვილის წარმატების ამბავი. მეუღლეს არ ემორჩილებოდა - არაფრით არ ნაჰყვა მშვიდ და განვითარებულ ქვეყანაში, პირიქით - თვითონ დაარწმუნა მეუღლე, კარგი იქნებოდა, შეგროვილი ფულით გორში შეეძინათ დიდი საკუთარი სახლი. ჯანდაბასო, - თქვა ქალბატონმა ნორამ და 2008 წლის 6 აგვისტოს, სახლის შესაქენი თანხით გორში გამოეცხადა მეუღლეს. 7 აგვისტოს შეხვდნენ სახლის პატრონს და თითქმის გაურიგდნენ, მაგრამ ფრთხილმა ნორამ „ბეს“ დატოვებისაგან თავი შეიკავა.

მეორე დღეს, პირველი ბომბი რომ ჩამოვარდა ქალაქში, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა - ორივეს ერთი კითხვა დაებადა: უკვე შერჩეულ სახლს ხომ არ დაეცაო ბომბი? ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გამოვიდნენ და სწორედ იქ, ქალაქის ლამაზ ადგილზე, დიდ

ტაძართან, შემფოთებული ხალხის ჩოჩქოლის ფონზე, საოცნებო კერია შეათვალეირეს.

ეროვნული
საბჭოების

უსაფრთხო ევროპიდან დაბრუნებულ ცოლს ჭიასავით ღრღნიდა კითხვა: ნუთუ ღირდა აქ, ამ რთულ რეგიონში - ორ უშველებელ სახელმწიფოს შორის, მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვები ფულით, თუნდაც ძალიან დიდი და ლამაზი სახლის ყიდვა?! ეს კითხვა ზაურსაც ანუხებდა, მაგრამ ორივე დუმდა.

დაბომბვა გაძლიერდა. ცეცხლმოკიდებულ და დანგრეულ ქალაქში ზაური და ნორა, ხელში სახლის საყიდელი ფულით გზააბნეულები დადიოდნენ იმ უბნის გარშემო, სადაც სახლი უნდა შეეძინათ. ერთგვარ კმაყოფილებას განიცდიდნენ, რომ ბინა არ დაზიანებულა, მაგრამ მაინც ეჭვი კლავდათ - ზაურისა და ნორას შიშს გადამთიელი სამხედრო ფორმირებების მიერ ქალაქის ძარცვაზე გავრცელებული ხმები ამძაფრებდა. სახლის ფულს „დააკონწილებდნენ“ და დადიოდნენ ნახევრად დანგრეულ ქალაქში, რომელიც ყაჩაღებით იყო გარშემორტყმული; რუსული ტექნიკა სტრატეგიულ ობიექტებს იკავებდა. მთელი კვირა გაატარეს ასეთ ჯოჯოხეთში. ბომბებსა და გადამთიელ ყაჩაღებს ბენჯზე გადაურჩნენ. მოუბრუნდა ნორა ზაურს და უთხრა:

- ახლაც არ წამოხვალ შენი გორიდან? რა სახლი, რის სახლი, ადექი, წავიდეთ აქედან, რა გვინდა ამ ჯოჯოხეთში?!

თურქეთის საზღვრამდე მოახერხეს მისვლა, სალონიკის მიმართულებით მიმავალ ავტობუსში მოთავსდნენ და საბერძნეთისაკენ გაემგზავრნენ.

გაოგნებული და ყურებჩამოყრილი ზაური ვერაფრით გააცივნეს მშვიდ და უშფოთველ საბერძნეთში.

ზაური ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა მარტო; ისევ იმ სახლს უტრიალებს, თუმცა მის შეძენაზე ჯერ მეუღლეს ვერ ითანხმებს...

ბრიუსელიდან ანტივერპენში მატარებლით ჩავედი. სადგურიდან ფეხით გავემართე სასტუმროსაკენ. მთელი დღის განმავლობაში კონფერენციაზე ჯდომას გონებრივი დაღლილობა გამოეწვია. გზად ხილის მალაზია დავინახე და შევედი. უმაღვე ეს გავიგონე:

„– ხოსე იგნასიო, ამ ლალატს ვერ გაპატიებ!“

ვიფიქრე, დაღლილობის გამო მომეყურა...

ეს სიტუაცია ტიპური იქნებოდა საქართველოს რომელიმე პროვინციულ მალაზიაში ...

მიმოვიხედე: ზის ჩათქვირებული ქალბატონი და გატაცებით ადევნებს თვალს ტელევიზორს (ჩემთვის არც შემოუხედავს)...

ეკრანს დავაკვირდი და „რუსთავი 2“-ის ლოგო გავარჩიე...

„გადამონმების“ მიზნით გავიხედე ქუჩაში, – აშკარად ანტივერპენი იყო; მალაზიაში კი ჩვენებური გარემო სუფევდა: არცთუ ევროპული ზედმინევნით მოწესრიგებული ვიტრინები და, რაც მთავარია, ვენესუელური სერიალით გაბრუებული თიმთიმა გამყიდველი ქალბატონი...

კიდევ რომ გავიგონე ტელევიზორის ქართული, მივმართე ქალბატონს:

ქალბატონო, თქვენ ქართველი ბრძანდებით? – აღტაცებისა და ნოსტალგიური ცრემლების მოლოდინში მოშვებული ყელსახვევი შევისწორე.

ერთი ამომხედა და კიო, – ცივად მომიგო... რა გნებავდათ?

მივხვდი, რომ ქართველები ამ ქალაქში იშვიათობას არ წარმოვადგენდით და ამასთან, არცთუ სასიამოვნო ასოციაცია უნდა გამოგვეწვია...

ყურძენი და მსხალი ამიწონა, თან ანტივერპენელი ქართველების ამბავი მოკლედ მითხრა: ცოტანი არ ვართო, ზოგი ბიზნესმენია, ზოგიც – წვრილმანი მოვაჭრე და არც უსაქმურები გვაკლიაო...

დავემშვიდობე გამყიდველ ქალბატონს და კიდევ ერთგვის მივხდი: დედამინა მართლაც პატარავდება, თვით ისეთი მცირე ერისთვისაც კი, როგორც ჩვენ ვართ...

ოთარა

საავიაციო დაბომბვა მეხვიით დაატყდა დიდი და პატარა ლი-ახვის ხეობებს. საუკუნეების ტრადიციებზე აღზრდილ გმირ ქართველებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საკუთარი თავდადებით შეენარჩუნებინათ ცხინვალის გარე სოფლები.

იდგა 2008 წლის ცხელი და სისხლიანი აგვისტო. ისტორიულ სოფელ ერედვის მოსახლეობას ვერ წარმოედგინა, რომ უნდა მიეტოვებინა საკუთარი მამაპაპეული სახლ-კარი, წინაპართა ძვალ-თშესალაგი და გაქცეოდა დაუნდობელ ბომბებს.

მხცოვანი ერედველი, ოთარ ცოტინიაშვილი, ძვირფასი მეუღლის - კატო ცოტინიაშვილის საფლავის ქვაზე მოჭარბებული სიყვარულით წინასწარ რომ ამოატვიფრინა საკუთარი ფოტო და დაბადების თარიღი, ახლა იწვა საკუთარ სახლში და ელოდა, როდის დაეცემოდა მის სახლს ერთ-ერთი ჭურვი და როდის გაფრინდებოდა მისი სული მეუღლესთან ცაში.

ოთარი შვილებს და შვილიშვილებს მოუწოდებდა, მე აქ დამტოვეთ და თქვენ თავს უშველეთო. ურჩმა შვილმა, აკაკიმ ხელში აიყვანა მოხუცი მამა და შეეცადა დაერწმუნებინა, რომ წასვლა სჯობდა ან უკვე ჯოჯოხეთიდან.

ოთარმა არ ისურვა!

მიტოვებულ სოფელში ოთარივით რამდენიმე ურჩი მოხუცი შემორჩენილიყო. ძარცვის ყინით შეპყრობილი გადამთიელები ჯერ საგულდაგულოდ ცლიდნენ სახლს ქართულ ოჯახებს და მერე დაუნდობლად წვავდნენ. ვისაც სახლში მიუსწრებდნენ, ჯერ აყურებინებდნენ საკუთარი კერიის გაპარტახებას და შემდგომ ზედ აკლავდნენ.

გამოფოფხდა ოთარი ეზოში, იქვე, სახლთან, სიმინდიანში შეიმალა. მთელი სოფელი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ტიროდა

და სიმწრით მიწას ქამდა. ცოტა ხანში მის კარ-მიდამოსაც მოადგა დაუნდობელი გადამთიელი. სატვირთო მანქანა მიაყენეს მოხერხებულად და შეუდგნენ სახლიდან ავეჯისა და სხვა ნივთების გამოზიდვას. რაც არ მოსწონდათ - ტოვებდნენ. ფრთხილობდნენ. საკონტროლო ავტომატის ჯერმა სიმინდიანში მიმალულ გამწარებულ მოხუცს თვალელებში შეაყარა მიწა. ამოიგმინა და მიხვდა, რომ დასანვავად მომზადებულ სახლში ჩანთქმა ერჩია ამ საშინელი სურათის ხილვას.

ცოტა ხანში ცეცხლის გამჩენი მიუმარჯვეს ოთარის სახლს, გავეშებულმა ალმა ფერფლად აქცია კიდევ ერთი ქართული კერა. ოთარმა ჯერ გადაწყვიტა მეუღლის საფლავისკენ წასვლა, — იქნებ იქ დავლიო სულიო. ახლა ეს მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იქნებოდა.

ისევ გასვლა ამჯობინა და მოსაზღვრე ქართული სოფლისაკენ დაიწყო ხობვა.

ერედვის გასასვლელს რომ მიუახლოვდა, მოატრიალა მზერა და შეხედა აკვამლებულ და გადამწვარ სოფელს, ერთი ხელი აიქნია და ამოიგმინა: „ღმერთო, რატომ?“

ვაშლის ხესთან მივიდა, ჯიბიდან ამოიღო თოკი, რომელსაც ბოჩოლას სამწყემსად იყენებდა. თოკი მყარად ჩამოაბა ტოტზე და ყულფი საგულდაგულოდ გამონასკვა...

ბედის ირონია იყო — სოფლის ტრადიციულ თამადას იქვე, მტრის შიშით უჩუმრად გაუთხარა საფლავი საკუთარმა შვილმა და მაინც ერედვის მიწა მიაყარა.

„ლევანიჩი“

ცხინვალში ჩვენს მეზობლად ხადურების ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი, მამას მეგობარი გუგული ლევანის ძე ხადური („ლევანიჩი“) ტაქსის მძღოლი იყო. მისი მეუღლე, მანანა, ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა, ამიტომ დედამ ჩემი მონათვლა სთხოვა. მათ ორი ქალიშვილი ლელა და მერი (ლუცი) ჰყავდათ. ლელა ჩემი

თანაკლასელი იყო; რადგან და არ მყავდა, შეიძლება ითქვას, მას ჩემს დად ვთვლიდი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ ხადურები თბილისში, სასტუმრო „აფხაზეთში“ დასახლდნენ...

2002 წლის ნოემბრის ერთ თბილ დღეს ლუცი შემხვდა თბილისში და მითხრა, რომ მამამისი უკანასკნელ დღეშია და დედას სატელეფონო ზარის გამო ჩამოვიდა თბილისში (გორში შექმნა ოჯახი, ამჯერად, აშშ-ის მოქალაქეა). რამდენიმე წელი იყო გასული, რაც არ მენახა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები (მშობლების დაკრძალვის შემდეგ). ლუცისთან ერთად ავედი სასტუმრო „აფხაზეთში“, ჩემს ნათლიას მძიმე ცხოვრების კვალი ეტყობოდა ოდესღაც ძალიან ლამაზ სახეზე; ჩამიკრა გულში და ცრემლიანი დიდი სიყვარულით მათვალეიერებდა. „ლევანიჩი“ იჯდა დაბალ სკამზე, აშკარად მორეოდა მძიმე სენი მის სხეულს. თითი მოაშვირა ჩემსკენ და შეიღს ჰკითხა: ფიკაა? (ასე მეძახდნენ ბავშვობაში შინაურები). როდესაც დაუდასტურეს, სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა.

ოთახში ლელა შემოვიდა – ორი კარგი შეიღის დედა. ბავშვს მიმართა: – ეს ზაზაა, ხშირად რომ ვიხსენებთ ხოლმეო. პატარა ლამამ გაკვირვებით შემათვალეიერა და დამპირდა, რომ კარგად სწავლას ბოლომდე გააგრძელებდა და მაგარი ბიჭი გამოვიდოდა.

დავემშვიდობე ჩემთვის ძვირფას ოჯახს, „ლევანიჩს“ ხელი რომ ჩამოვართვი ვიგრძენი, რომ უკანასკნელად ვხედავდი, საიქიოსკენ ვაცილებდი; იქ მისი მეგობარი – მამაჩემი („იოსებოვიჩი“ – ერთმანეთს ასე მიმართავდნენ) ელოდა. გარდაცვალების სიმშვიდე შევიგრძენი და კიდევ ერთხელ მივხვდი: ჩვენი ცხოვრება მზადებაა ღირსეული გარდაცვალებისათვის.

16 ნოემბერს ლელამ დამირეკა – დღეს მამა გარდაიცვალაო; ალბათ, თბილისში დავკრძალავთო. ძირძველი ცხინვალელი ვერ ეღირსა მშობლიურ ქალაქში სიკვდილს, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

გუგულის ყველა ცხინვალელი იცნობდა, როგორც კაცურ კაცს და შესანიშნავ მოქალაქეს. ასე დარჩება ის ჩემს ხსოვნაშიც.

1989 წლის 7 აპრილს მე - ცხინვალელი სტუდენტი და მამა - ავთანდილ ცოტნიაშვილი, ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის დოცენტი, თბილისში წავედით. ჩვეულებისამებრ, მოვიარეთ ნიგნის მალაზიები, უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკაშიც მოვასწარიტ შესვლა და მთვრობის სახლთან მიმდინარე მიტინგსა და საპროტესტო აქციასაც დავესწარიტ. მთავრობის სახლის წინ სტუდენტები და ეროვნული პარტიების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. სხვადასხვა მოთხოვნათა ძირითადი მიზანი ქართული ეროვნული რწმენის გაღრმავება და საქართველოს დამოუკიდებლობის დაუოკებელი სურვილის მსოფლიოსთვის ჩვენება იყო. აქციაზე საოცარი ურთიერთპატივისცემა და ერთიანობის შეგრძნებით აღძრული იმედი სუფევდა. მოშიმშილეები იწვნენ კიბეებზე, მოეხურათ საბნები, შედარებით დასუსტებულნი საძილე ტომრებში შემძვრალიყვნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა დელეგაციები და უერთდებოდა მომიტინგეებს; კითხულობდნენ მხარდამჭერ დეპეშებს, გამოგზავნილს როგორც უცხოეთიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ვუერთდებით გაფიცვას!“, „მარად და ყველგან საქართველო მე ვარ შენთანა - ფერეიდენელი ქართველები“. უამრავი ასეთი ლოზუნგი მეტყველებდა, რომ მიუხედავად საშიშროებისა, რომელიც მოსალოდნელი იყო ხელისუფლებისგან, თითქმის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი აქციის განწყობას იზიარებდა. მამას გადაედო მიტინგის აღფრთოვანება, მაგრამ მოსალოდნელი საშიშროება აშკარად თავს ახსენებდა. მე იქვე გამიჩნდა უკმარისობისა და სირცხვილის გრძნობა - ჩემი, ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის პასიურობის გამო. მეორე დღეს მივედი ინსტიტუტში, შთაბეჭდილებებს ვერ ვფარავდი. მე - 11 აუდიტორიაში ჩემ გარშემო შემოიკრიბნენ ქართული სპეციალობის სტუდენტები, რომელთაც დანვრილებით ვუამბე თბილისში მიმდინარე პროცესების შესახებ. ეროვნული მუხტი ცხინვალელ ქართველებში კიდევ მეტი სიმძაფრით იყო, რადგან აქ რუსულ ძალადობას ერთგვარი ოსური პრივილეგია

ემატებოდა. აგორებული ეროვნული მოძრაობა ჩვენს ხალხს ოსურ მოსახლეობასთან თანაბარი პირობების მოპოვების იმედს აღუქმავდა. მე-11 აუდიტორიაში დაიბადა სურვილი, რომ მეორე დღეს - 9 აპრილს ნავსულიყავით აქციის მხარდასაჭერად და გამოგვესწორებინა ჩვენი - ცხინვალელი სტუდენტების პასიური ქცევა. ლექტორები ამ საკითხში ჩუმად თანაგვიგრძნობდნენ. მაგრამ ხმამაღლა აზრის გამოთქმას ვერ ბედავდნენ, არა მხოლოდ ხელისუფლების შიშით, არამედ ადგილობრივი ოსური მოსახლეობის რიდითაც (შესაძლებელი იყო, ანტიოსურ გამოსვლად აღქმულიყო ასეთი პოზიცია). ოსთა დიდი ნაწილი ახლად გამოჩენილ სამფეროვან დროშას მენშევიკების დროშას უწოდებდა, რადგან წინაპართაგან გადმოცემით იცოდნენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს სწორედ ასეთი სახელმწიფო დროშა ჰქონდა, მაშინ კი ვალიკო ჯუღელის მიერ მათი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მისამართით განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები იმ დროისთვისაც ძალზე ალიზიანებდათ. თბილისში წასვლის მსურველები შევიკრიბეთ მეხუთეკურსელ ინგა გამსახურდიშვილის ნაჭირავებ ბინაში. ბინის პატრონი, აზა ..., ია სორდია, ნონა ყაველაშვილი, მარიკა ქრისტესიაშვილი, მზია ღვალაძე, გია ჯოჯიშვილი, ილია ქრისტესიაშვილი და მე. მოვამზადეთ ლოზუნგი - „ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური მხარს უჭერს აქციას“. გადაწყვიტეთ, დილით ხუთ საათზე პირველი მატარებელით გავმგზავრებულიყავით. სახლში მისვლა მეძნელებოდა, ვიცოდი - ჩემს გადაწყვეტილებას მშობლების წინააღმდეგობა მოჰყვებოდა. ჩემთვის უკან დახევა პიროვნულ პრინციპებზე უარის თქმას ნიშნავდა, რომელსაც ეროვნული საქმე უმყარებდა საფუძველს. ტელევიზიითა და რადიოთი იმ საღამოს გამძაფრდა ქართველი საზოგადო მოღვაწეების გამაფრთხილებელი გამოსვლები, მამა ორივე საინფორმაციო საშუალებას დაძაბული ადევნებდა თვალყურს. ასეთ ფონზე ჩემი სურვილის გაცხადება წინასწარ განწირული იყო, რადგან ცალსახად იტყობინებოდნენ, რომ ჯარის ნაწილების საშუალებით აპირებდნენ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის განმენდას მომიტინგეთაგან, ხოლო ლიდერებს დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. მშობლებისთვის მიტინგზე წასვლის ნებართვის მოცემა ნიშნავდა

სასაკლაოზე გაგზავნის თანხმობას. დედასთან მოკლე ინფორმაცის დატოვების შემდეგ გავიპარე სახლიდან (პირველად გადავადგი ასეთი რეგისტრის დაუმორჩილებელი ნაბიჯი). მეგობარს, გია ჯოჯიშვილს მივადექი სახლში. ის ღამე თითქმის არ გვიძინებია. უთენია, ოთხ საათზე ლანდებივით გამოვედით სახლიდან და რკინიგზის სადგურისკენ გავემართეთ. გაზაფხულის სუსხიანი დილა იყო. მგზავრები იკავებდნენ ადგილებს ვაგონებში, ჩვენი მცირერიცხოვანი დელეგაცია დამალული ლოზუნგით მოთავსდა ერთ-ერთ ვაგონში, აქეთ-იქით ყურებით ვუამბობდით ერთმანეთს ახალ ამბებს, მომიტინგეთა მისამართით გამოთქმული მუქარა აღძრავდა საფრთხის შეგრძნებას. რვა საათისთვის დიდუბეში შევიდა მატარებელი და გაჩერდა. ილია სიგარეტის საყიდლად ჩავიდა ბაქანზე. უკან დაბრუნებულს სახეზე შეშფოთება შევაცყვეთ. ბიძაჩემი შემხვდაო, რუსთაველიდან მოდიოდა, - ამოღერდა, - შუალამისას ჯარმა მიტინგი დაარბია, დიდი მსხვერპლიაო. დაჯერების სურვილი არავის არ გვქონდა, აღწერილი სურათის წარმოდგენაც არავის არ გვინდოდა.

რუსთაველზე მეტროთი გავედით. საშინელი სცენა დაგვხვდა, რომელმაც სამუდამოდ დაასვა დაღი ჩემს ცნობიერებას. ქართველი მილიოციონერები ყურებჩამოყრილი იდგნენ ტელეგრაფის შენობის წინ და ხალხს არ აძლევდნენ პროსპექტზე გზის გაგრძელების საშუალებას. მათ ზურგს უმაგრებდნენ რამდენიმე ათეული ნაბიჯის დაშორებით მდგარი, საბჭოთა არმიის ჩაფხუტებით, ფარებით, ხელკეტებით შეიარაღებული ჯარისკაცები. უსულო კედელივით აღმართული მათი კოლონა აღშფოთებულ მოსახლეობასთან ყოველგვარ კონტაქტზე უარს აცხადებდა.

სულში ჩაფურთხებული ქართველები ერთად ვგლოვობდით. ისმოდა კაცების ანტირუსული გულის მოსაოხებელი ფრაზები, ქალების ტირილი, საერთო ტკივილს ერთვოდა აქციის მონაწილე ოჯახის წევრებზე დარდი მათი გაურკვეველი ხვედრის გამო. როგორც იქნა გავაცნობიერეთ - საშინელება მოხდა!

დიდი ტკივილით დამძიმებულები სასწრაფოდ გამოვემგზავრეთ ცხინვალისკენ, რომ მშობლებს ჩვენ გამო დარდი და ურვა დამატებით არ განეცადათ. თბილისის შესასვლელთან სამხედრო

ტექნიკა გამოჩნდა. მცხეთასთან ბეტეერებზე მსხდომ ჯარისკაცებს მუშტები ვუჩვენეთ. ცხინვალში 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ ჩვენ ჩამოვიტანეთ ამბავი. საინფორმაციო საშუალებები, საბჭოთა ჩვეულების მიხედვით, დუმდა. დედა ატირდა, მამას სახე მოექცა, ძმამ ცრემლი ვერ შეიკავა. 10 აპრილს დილით არ შევედით ლექციებზე. ცხინვალში ეს პირველი პროტესტი იყო ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველას აინტერესებდა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მე - როგორც აქტივისტი, დამიბარა რექტორმა ლუდვიგ ჩიბიროვმა. მის კაბინეტში დამხვდა ერთ - ერთი ქართველი ლექტორიც. რექტორმა მთხოვა ამეხსნა ჩვენი პროტესტის მიზეზი. - რა ხდება, ზაზა, ქართველი სტუდენტები რატომ აცხადებთ ლექციების მოსმენაზე უარს? - მკაფიო ოსური აქცენტით მკითხა მან. - ბატონო ლუდვიგ, - შევეცადე ჩვენი განწყობის განმარტებას, - გუშინ სტუდენტების ერთი ნაწილი თბილისში ვიყავით. ის, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, არ გვაძლევს სასწავლო პროცესის მშვიდად გაგრძელების ნებას. - რა ნახეთ? - გულწრფელად დაინტერესდა. მე მოკლედ ვუამბე დამსწრეთ ტრაგედიის შესახებ. - იქნებ ეს ტრაგედია არ არის, იქნებ ხელისუფლება არ ტყუის! - მოულოდნელად შესძახა საბჭოთა ქვეყნის წინაშე ვალდებულმა (არცთუ უსაფუძვლოდ) ქართველმა ლექტორმა. - Заза, давай чуть-чуть подождём, зачем нам спешить. - თხოვნანარევი ტონით მომმართა რექტორმა. - Людвиг Алексеевич, моё поколение никогда не будет сомневаться в том, что 9 апреля трагедия для Грузии, просим вас, дайте нам возможность выразить свою скорбь и рассказать всем что реально случилось вчера на рассвете в Тбилиси. - ასეთი თამამი პოზიციის უფლებას მაძლევდა სტუდენტთა დიდი სურვილი, გაგვემართა სამგლოვიარო მიტინგი და მოგვეთხრო მათთვის სიმართლე. რექტორისთვის გასაგები გახდა, რომ გარდაუვალი იყო ასეთი მიტინგი და შეუდგა დირექტივის შესაბამისად მოქმედებას. დერეფანში გამოსულს შემომესმა მუსიკის ხმა. ხმის გამაძლიერებლის საშუალებით ჩვენი სამგლოვიარო განწყობის გაბიაბურება გადაეწყვიტა მავანს. დავინახე, გელა მელანაშვილი როგორ გადაძვრა მოაჯირზე და ჩამოგლიჯა სადენი. ასე დაისადგურა დერეფანში ფორიაქმეყრილმა ღუმილმა. მე-10 აუდიტორია გადაჭედილი

იყო სტუდენტებითა და ლექტორებით. ხელმძღვანელებს, უშიშროების წარმომადგენლებს, პარტიულ და კომკავშირულ ფუნქციონერებს მოესწროთ ადგილების დაკავება. წუთიერი ღუმლით პატივი მივაგეთ დაღუპულთა ხსოვნას. შემდეგ დამსწრეთ ვუამბე მომხდარის შესახებ, რაც ვნახე და ვიცოდი, ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა საპროტესტო განწყობა დავაფიქსირეთ მომხდართან დაკავშირებით და ოსი ეროვნების წარმომადგენლებს ვთხოვეთ, არ მიეღოთ ჩვენი პოზიცია მათთან დაპირისპირებად. ამასთან დაკავშირებით გამოვიდა ოსი ეროვნების კომკავშირელი ფუნქციონერი და ხაზი გაუსვა „მენშევიკური“ დროშის პრობლემას. განმარტა: „ოსები მხარს ვერ დაუჭერთ ამ დროშის ქვეშ გაერთიანებულ ქართველებს!“ გამომსვლელები იყვნენ ლექტორებიც, ისინი, ძირითადად, ზომიერი პოზიციის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ღამის თორმეტ საათზე მამა ოლქის მილიციის უფროსის მანქანით წაიყვანეს. ეს სცენა ძალიან ჰგავდა 1937 წელს მომხდარ არაერთ ფაქტს. საბედნიეროდ, აღარ იდგა ოცდაჩვიდმეტი და მამა ერთ საათში დააბრუნეს სახლში, უტიფარი შვილის აღზრდის გამო გაკიცხული და გაფრთხილებული. 11 აპრილს ოლქის პროკურატურაში დაგვიბარეს ნონა ყაველაშვილი, ია სორდია, ინგა გამსახურდიშვილი, გია ჯოჯიშვილი და მე. ოლქის პროკურორის მოადგილე მერაბ ჩუბინიძე და მისი თანაშემწე დათო კეკელიძე აშკარა თანაგრძნობით შეგვხვდნენ; გვთხოვეს, წერილობით დაგვედასტურებინა, რომ მეორედ აღარ გავმართავდით არასანქცირებულ მიტინგს. ორი საათის განმავლობაში ვფიქრობდით, ჩვენი დასტურით ხომ არ შეგველახებოდა ეროვნული ღირსება, ბოლოს გადავწყვიტეთ, თუ მიტინგის ჩატარების საჭიროება იქნებოდა, ოფიციალურად გვეცნობებინა შესაბამისი ორგანოებისთვის და ისინი უარს არ გვეტყოდნენ. ასეთი გარიგებით წამოვედით პროკურატურიდან. ქართველი სტუდენტები მგლოვიარე განწყობას შავი სამოსითა და სამკლაურებით გამოვხატავდით, ხშირად გვიხდებოდა ოსური მოსახლეობის დარწმუნება, რომ ეს არ იყო ანტიოსური განწყობა, მათი მხრიდან ეჭვი მაინც დიდი იყო.

ცხინვალის (სამხრეთ ოსეთი), მე-5 სკოლის ეზო - დღეს სასაფლაოა. აქ, 25-30 წლის წინათ, ქართველი და ოსი პატარები ფეხბურთს ვთამაშობდით. მახსენდება ცნობილი სიმღერის ტექსტი: "This used to be the place I ran to whenever I was in need of a friend..."

როგორც ნიუ-იორკში, პარიზში, ბერლინში, თბილისში, აქ - ცხინვალშიც ყოველდღე ამოდის მზე და იღვიძებენ ადამიანები.

რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქში“? ალბათ, 15 ათასი. რამდენი ცხოვრობდა კონფლიქტამდე? - დაახლოებით 40 ათასი.


რუსეთის მიერ აღიარებულ „სახელმწიფოს“ ჰყავს პრეზიდენტი - ჩემი თანაინსტიტუტელი ედუარდ კოკოითი (სტუდენტური შრომითი სემესტრის დროს, ერთად ვთიბავდით კავკასიონის სამხრეთ კალთებზე); ჰყავს მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო, მილიცია და ჯარის ქვედანაყოფები. თითქოს, სახელმწიფოს ნიშნები აშკარაა.

სამხრეთ ოსეთის „დიპლომატი-მოღვაწეები“ მოლაპარაკებებზე სერიოზული სახით მსჯელობენ მათი „სახელმწიფოს“ პოზიციებზე.

რეალურად, რა ხდება „დედაქალაქში“, როგორ ცხოვრობენ მათი თანამოქალაქეები, რა კატეგორიის მოსახლეობა შემორჩა რუსეთის მიერ „გაბედნიერებულ“ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“?

რეალური სურათის წარმოსადგენად გავესაუბრეთ 4 მოქალაქეს, რომელთა სახელები, მათი უსაფრთხოების მიზნით, შევცვალეთ.

ალიონა (12 წლის, მოსწავლე): სკოლაში ცივა; არ არის თანამედროვე სახელმძღვანელოები; მასწავლებლები სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ; ხშირად ისმის რუსეთისადმი სამდურავი, რომ ასეთ დღეში ჩააგდო ამდენი ადამიანი (ამ საკითხზე ძალიან ჩუმად საუბრობენ). ძალიან მიხარია არდადეგებზე ჩრდილოეთ ოსეთში წასვლა, მაგრამ გზა ძალიან ცუდია და საშიში. ზამთარში იქ ადამიანები იღუპებიან. დედა და მამა ხშირად ბჭობენ - როდის წავიდეთ სხვაგან სამუდამოდ საცხოვრებლად?



ზარიბეგი (35 წლის, მილიციელი): ჩვენს განყოფილებას კარგი აღჭურვილობა აქვს, მოგვცეს ორი ახალი „ვილისი“. რთულია შაობა, რადგან ასეთივე იარაღი ყველა ოჯახში ინახება. კონტროლს ვახერხებთ, ხელფასი დაახლოებით 450 დოლარი მაქვს. ოჯახს, ასე თუ ისე, ვინახავ, რადგან ხშირად სხვა შემოსავლის მოპოვებასაც ვახერხებთ (ვინმე დანაშაულს თუ ჩაიდენს, ვცდილობთ, ვუშუამდგომლოთ უფროსთან და შეღავათები მივცეთ თანხის სანაცვლოდ).

გივი (53 წლის, სამხედრო პირი): ჩემი ასაკის მიუხედავად, იძულებული ვარ, ჯარში ვიმუშაო, რომ ხელფასი მქონდეს და ცოტა სანყობიდანაც მივაშველო ოჯახს რაიმე. რუსები უხემად გვექცევიან, მაგრამ იძულებული ვართ, მოვითმინოთ.

აზა (76 წლის, პენსიონერი): მე აქედან არსად წამსვლელი არ ვარ, ჩემი მეუღლის და შვილის გვერდით უნდა დავიმარხო, არეულობის დროს რომ დაიღუპნენ. პენსია რუსეთიდან მაქვს! ამბობენ, ბევრი თანხა იყო გამოყოფილი ცხინვალის კეთილმონყობისთვის, რომელიც მთავრობამ ჯიბეში ჩაიდო და ქალაქზე ტყუილად გააფრომაო. მეხუთე სკოლის ფეხბურთის მოედნის მსგავსად, „ახლად გამომცხვარი სახელმწიფოც“ მიტოვებულ სასაფლაოდ გადაქცეულა.

ნატოს წევრი ყველა ქვეყანა რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება. საინტერესოა, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა როდის გადმოახტება „ბერლინის კედელს“ ევროკავშირისა და ნატოსკენ მიზანმიმართულად მიმავალ საქართველოში მოსახვედრად?!

05101



ეკა ბაქრაძის ლირიკული მედიტაციები

ეკა ბაქრაძე- ცნობილი თანამედროვე ქართველი პოეტი, საბას პრემიის ლაურეატი, ვუნდერკინდი. მას ქართველი მკითხველი ბავშვობიდან იცნობს. პოეტის პირველი კრებული 1987 წელს გამოიცა. თერთმეტი წლის ბავშვმა უმაღლესი მოხიბლა ლიტერატურული საზოგადოება.

ქართული პოეზიის ისტორიაში გვაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის მაგალითი, რომელმაც „შემოღამება მთაწმინდაზე“ 15 წლისამ დაწერა და ცოტა მოგვიანებით ჩაასწორა. ხოლო გალაკტიონი ლექსს „რაც უფრო შორს ხარ“ 14-15 წლისა წერს. ლაპარაკია ერთ ლექსზე, ამჯერად კი ე. ბაქრაძის ლექსების კრებულზე ვმსჯელობთ. 11 წლის გოგონას მიერ გამოქვეყნებული აღნიშნული კრებული გინესის წიგნშია შესატანი. ეს არის რეკორდი შემოქმედის ასაკობრივი ნიშნით.

დღეს ბევრი წერს ლექსებს, რომანებს, მოთხრობებს, ამიტომ ძნელია ერთეულები გამოყო მათგან, ერთეულების ეპოქა გავიდა მეოცე საუკუნესთან ერთად, როდესაც ოფიციალური ნყვეტდა შემოქმედის პოპულარიზაციის საკითხს. ახლა ერთეულების გამოყოფა ძნელია. შეუძლებელია გაბედულად თქვა, ოთხასი ათასამდე ავტორიდან რომელი მწერლები ან პოეტებია საუკეთესონი, მაგრამ ე. ბაქრაძის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს პრეცედენტი ვიმსჯელოთ თანდაყოლილი პოეტური ნიჭის მაღალმხატვრული დონის ლექსების ავტორის შესახებ. მას მრავალი კრებული და პოემა აქვს დაწერილი. პოპულარულია თანამედროვე მკითხველის თვალში. ლირიკით განებივრებულ თანამედროვე მკითხველს არ გამოეპარება ძლიერი ლექსი. ამიტომ მას მხედველობიდან არ გამოორჩენია ე. ბაქრაძის პოეზია, რომელიც გულთან მიიტანა და შეიყვარა. მას პუბლიკა დიდი პატივითა და სიყვარულით ხვდება. თბილისშიც და ხაშურშიც, გორშიც და ქუთაისშიც, ახალციხეშიც და ბორჯომშიც.

პოეტმა მკითხველს თავი შეაყვარა თავისი გულწრფელობით, უშუალოებით, მდიდარი და დახვეწილი მხატვრული ფორმებით, პოეტური აზროვნების თანმიმდევრულობით, ლოგიკურობით, აქტუალურ პრობლემათა ასახვითა და სხვა მრავალი შემოქმედებითი კომპონენტით,

ე. ბაქრაძის ლექსების ანალიზისას ვლინდება მათი მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა ოცდამეერთე საუკუნის ქართულ მწერლობაში. საინტერესოა აგრეთვე, მრავალფეროვანი თემატიკა:

ბიბლიური, ისტორიული, ცხოვრებისეული, ოჯახური, ტრადიციული, ფილოსოფიური და ეთიკური საკითხები, რომლებიც ავტორს თავისი ორიგინალური პოეტური ხედვითა და მედიტაციებით აქვს გადმოცემული. ეს თემები დამახასიათებელია თანამედროვე ქართული მწერლობისათვის, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მათუსალას მხატვრული სახე, რომელსაც ე. ბაქრაძე თავის ერთ-ერთ ლექსში გვხვდება. ამ ბიბლიური პერსონაჟის გაცოცხლება გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. მათუსალამ უფრო დიდხანს იცოცხლა, ვიდრე ადამმა და ნოემ. მან 969 წელი იცოცხლა. სწორედ ამ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას პოეტი. ასაკი მისთვის საოცნებო ფაქტი არ არის, მისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრების ამ გრძელ გზაზე რა ნახა, როგორია ასეთი ხანდაზმული ასაკიდან დანახული სინამდვილე? სიკეთე მეტია ქვეყანაზე თუ ბოროტება? რა დაკარგა ქვეყნიერებამ და როგორ არის გათიშული საზოგადოება ორ ძირითად ნაწილად? ამიტომ არის საჭირო პოეტმა შემოიყვანოს ლექსის სიუჟეტში მათუსალას ასაკს გადაცდენილი „ლირიკული მე“, რომელიც წარმოსახვითი გააზრებით ადამიანთა ყოფისა და სულიერი სამყაროს დინამიკის ერთგვარი მემატიაწეა. მათუსალა წარღვნამდე გარდაიცვალა, იგი უფლის მადლით მოსილი პატრიარქი იყო და მისი სიკვდილის შემდეგ დაავალა უფალმა ნოეს კაცობრიობის გადარჩენა. ეს ბიბლიური სიუჟეტი შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავიაზროთ მათუსალას ასაკი და ამ ასაკს გადაცდენილი მხატვრული სახის როლი და მნიშვნელობა, საინტერესოა, აგრეთვე რამდენი წლით, საუკუნით, ათასწლეულით მეტს ცოცხლობს ლირიკული გმირი,

რომ თანამედროვე ცხოვრებასაც კი ხედავს, რაც იმაზე მიგვჩვენებს, რომ იგი ბევრად მეტს ცოცხლობს ვიდრე მათუსალასა და მისი „მე მათუსალას ასაკს გადავცდი... ყოფნა-არყოფნის მიჯნას გადავცდი - მრავლის მომსწრე და მრავლის მნახველი, უხსოვარ დღეთა თანამზრახველი“.

კაცობრიობის წარსულის დიდი მოწმე დღემდე მოვიდა და „გზაჯვარედინზე“ დგას. ძნელია ასეთი ბევრის მცოდნე ადამიანმა მარტივად ილაპარაკოს ათასწლეულების განმავლობაში მომხდარი საზოგადოებრივ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ცვლილებების შესახებ. ამიტომაც იყენებს ავტორი ორიგინალურ, ბაქრაძისეულ მეტაფორას „სიტყვა ყლუპივით ყელში გადამცდა, არც სახე შემრჩა, აღარც სახელი... მე მათუსალას ასაკს გადამცდარს“. მას ცოდვად მიაჩნია ის, რომ ადამიანმა სახე დაკარგა: „ველარ ვცნობ ევას, ვერც ადამის ძეს, ჯოჯოხეთის კუპრს ანთხევს სამყარო“. ასეთი ამაღლებული მეტაფორული ფრაზებით ხატავს პოეტი დღევანდელ სამყაროს. თავადაც აღსარებასავით ინანიებს და ამ სათქმელს გადმოსცემს ლამაზი, მოხდენილი ალიტერაციული სტრიქონებით: „უხსოვარ დღეთა ხსოვნის წინაშე თავი მიწამდე უნდა დავხარო“. ამ თავაზიანი ჟესტით იგი ერთ მხრივ თავის მოკრძალებას და პატივისცემას გამოხატავს და მეორე მხრივ თავადაც ინანიებს ადამიანთა ცოდვების გამო, მათთან კონტაქტით მასზე გადმოსულ ცოდვას.

ამ ლექსის მიხედვით თანამედროვე კაცობრიობა ზნეობა-დაკარგული, უფლისგან გამდგარი, გათიშულია, ამიტომ ე. ბაქრაძე სვამს კითხვას: „ვინ დაუკოცნის სატანას ფეხებს? ვინ უწყალობებს ხურდას მათხოვარს?“

ეს არის შორეული წარსულიდან დღემდე მომდინარე ცოდვების შედეგი. თავად ავტორი არ იძირება მწუხარებაში, მიუხედავად იმისა, რომ „ხის კენწეროზე ნებივრობს გველი-უზარმაზარი ქრელი პითონი“, იგი „უსასრულო ღამეს“ ითენებს, ღამის დასრულება კი განთიადის მოახლოვებას გულისხმობს ანუ დღის დადგომას, რაც სიმბოლურად ცხოვრების იმედის მომასწავებელია. ამიტომ სთხოვს უფალს, „შემომამშველე ძლიერი ხელი, უფალო ჩემო, გზა გამიმრთელე! სულს სამარემდე მაინც მივათრევ“. ეს

ხატოვანი გამოთქმაც ცხოვრების სიდუხჭირისა და წინააღმდეგობის მანიშნებელია, მაგრამ მას ეს არ აშინებს. „არ ჩამდგომი მგლის მუხლში დაღლა! მე დიოგენეს ფარანს ვინათებ“. მგლის მუხლი ძალის, ამტანობის, ენერგიულობის, აქტიური მოძრაობის, ხოლო დიოგენეს ფარანი ჭეშმარიტების, სინამდვილის რეალურად ხედვის სიმბოლოა.

„მე მათუსალას ხნისა ვარ ახლა!!! მე მათუსალას ასაკს გადავცდი“. ამ სიტყვებით ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იგი თავისი მხატვრული აზროვნების ტრადიციებითა და შორეული ხედვით წარსულსაც ჭვრეტს და აწმყოსაც აღიქვამს.

ე. ბაქრაძის შემოქმედებაში ნათლად არის გამოკვეთილი დედა-შვილობის პრობლემა. ეს თემა ცნობილია ქართულ მწერლობაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივიდან“, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაციდან“, „ვეფხვის და მოყმის ბალადიდან“ და სხვა. მაგრამ ეკა აბსოლუტურად განსხვავებული ასპექტითა და რაკურსით ხატავს დედის სახეს, იგი არც ერთი კლასიკოსის პოეზიიდან თუ პროზიდან არ სესხულობს არც იდეას, არც მხატვრულ სახეებს და არც პასაჟებს. იგი თვითონ ქმნის მაღალმხატვრული დონის, რეალური და ლირიკული გმირი დედის ორიგინალურ ცხოვრებისეულ ტიპს.

ლექსი ეძღვნება „ყმანვილკაცობისკენ ახლადფეხადგმულ შვილს“ რომელსაც ეპიგრაფად ერთვის პოეტ ზურაბ კუხიანიძის სტრიქონები:

„საულვაშეზე გაუჩნდებათ ღინღლი და მალე საიალადოდ გაინევენ, როგორც ხარები...“

იალადი ცხოვრების ასპარეზის სიმბოლოდ გაიაზრება, სადაც შეიძლება შრომა, ლალი ცხოვრება, სარჩოს მოპოვება, სახელისა და ავტორიტეტის შექმნა და სხვა. ეს ირმებისა და ჯეირნების საძოვარი ფართო მხატვრულ ფუნქციას იძენს:

შვილი, ყმანვილი ბიჭი ემზადება დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად. მისი მომნიფების პროცესს პოეტი ალეგორიულად უკავშირებს ღვინობის თვეს. ანუ ღვინდება ყურძნის წვენი და ღვინდება ნორჩი ბიჭუნა. აქვე პარალელია ვაზის ლერწმთან, რომელიც პაპამ აჭრა. „ვაზია უკვე გადანიდნული მნიფე მტევნებით“, იმ უცხო სურნელს საკმეველს უკმევს, შენ რომ ჯიუტად

აედევნები“. „უცხო სურნელი“ შესაძლოა გავიაზროთ, როგორც სიყვარულის გაღვივება, ტრფიალი თავისი გულის სწორისადმი მამაკაცური ვნებათაღელვა. ამ ემოციას აძლიერებს ღვინობისთვის, რომელიც ენერგიით ავსებს სამყაროსა და ადამიანს. „ღვინობის თვეა... დგას თავმოქმონედ და დედამიწის ივსება ვარცლი“.

ავტორი ხაზს უსვამს ქართველი კაცის ტრადიციას, რომლის სიმბოლოა საწნახელი, ყურძნის დაწურვა, რითაც იგი აფიქსირებს, რომ ეს ნორჩი ბიჭი ამ ტრადიციის გამგრძელებელია. „ბერიკაცივით დგას საწნახელი და შემოდგომა ისევ ახელეებს...“ მოხდენილი პოეტური შედარება „ბერიკაცივით დგას საწნახელი“ მის სიძველეს, მის ფუნქციას მიგვანიშნებს. მას წინ უძღვის ძლიერი მეტაფორა „მაჭარს სისხლივით წამოახველებს“.

ყმანვილი პაპასავით წურავს „მზენამდგარ მტევნებს“. მისთვის შექმნილი ქალის სახეც იელვებს: „შენთვის შექმნილი ადამის ნეკნით, ვილაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის“, ყმანვილი კაცის სახეს აგვირგვინებს დახვეწილი პოეტური ნათქვამი „საუღვაშეზე გილიმის ღინღლი“.

ამ სტრიქონების შემდეგ საუბარია დედის ღვანლზე შვილის აღზრდაში, მის ზრუნვასა და დედობრივ სიყვარულზე. „ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება საწნდე, გამითეთრდება თოვლით კანანი, უფალს ზეცამდე ვედრებას ვანვდენ -შენზე ლოცვით და სულის კანკანით“. ეს დედის მხრიდან შვილისთვის განუღლი ტრადიციული ღვანლია. ორიგინალურია რითმები „კანანი და კანკანით“, ხოლო ლექსის ფინალში სრულიად განსხვავებული და განუმეორებელი სტრიქონებია:

„სამყაროს ხსენი გასვი კერტებით და ცალუღელამ გზარდე ჩაუქად“.

მრავლისმეტყველი ფრაზა „სამყაროს ხსენი, რაც დედის რძის მნიშვნელობით გაიაზრება. ამავე დროს მისი მნიშვნელობა უფრო ფართო მასშტაბურად არის წარმოდგენილი. დედის რძე სამყაროს არსებობას განაპირობებს, მისით იკვებება და იზრდება კაცობრიობა. „ცალუღელამ გზარდე“ ე.ი. მარტომ გაზარდა, რაც ოთარაანთ ქვრივსა და თავსაფრიან დედაკაცთან ნახულობს პარალელს. ხოლო „ხსენი გასვი კერტებით“ ახალგაზრდა ქალის მკერდის ალუზიაა. რომელმაც მარტომ გაზარდა შვილი თავისი რძითა

და გაორმაგებული სიყვარულით, რადგან დედა მამის ნაცვლადაც გამოხატავდა სითბოს შვილისადმი.

ლექსი უძლიერესია მხატვრული თვალსაზრისით, მდიდარია მეტაფორებით, მკვეთრად გამოკვეთილია რითმების კეთილზმოვანება. („ლინლი-ილი“, „სანდე-ვანვდენ“, „მაჭრად-აჭრა“, „უკვე-უკვეს“ და ა.შ.

დედაშვილობის თემას ე. ბაქრაძე განაგრძობს ლექსში „სად მიდის გული“? რომელშიც ასახულია დედის სამუდამო გამოთხოვება შვილთან და ამქვეყნიურ ცხოვრებასთან, რაც უდიდესი ტრაგედიაა ნებისმიერი ადამიანისთვის. დედა სიცოცხლის სანყისია, დედა საფუძველია ყოფნის, დედა აძლევს შვილს არა მარტო საზრდოს, არამედ სულიერებას. აღვივებს შვილის გულში სიკეთის, სიყვარულის თანაგრძნობის იმპულსებს და ამკვიდრებს მის ცნობიერებაში ამ მაღალზნეობრივ კატეგორიებს. ამიტომაც ასე ძალიან უყვარს ლექსის ლირიკულ გმირს დედა, რომელმაც სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შესჩურჩულა შვილს „სად მიდის გული“? სწორედ დედის სიტყვები დაედო სათაურად ამ ლექსს.

ეს სიტყვები მოწმობს, რომ დედა მტკიცე ბუნების, მოახროვნე და ბრძენი ქალი ყოფილა, დიდი ნებისყოფაა საჭირო ქალისთვის და არა მარტო ქალისთვის, რომ სიკვდილის წინ ფილოსოფიურად პრობლემატურ კითხვას სვამდე „სად მიდის გული“? ერთობ დრამატულია შვილის განცდები: ის კარგად ამჩნევს, რომ დედა უიმედოდაა. იგი „უიმედობას თვალებით ამხელს“.

ძნელია ასეთ დროს სრულიად გაიაზრო, როგორც დედის, ისე შვილის მდგომარეობა, რა ნაღველი ტრიალებს მათ გულეებში, ამიტომაც სრულ სტრესშია ლირიკული გმირი „ვერ ვბედავ, სადმე მივჩქმლო ელდა.“ დედის ამ კითხვის პოეტურად გააზრება მრავალ საკითხს აყენებს მკითხველის წინაშე. გული უბრალოდ ადამიანის ორგანოდ გაიზრდება თუ სიყვარულით, სიცოცხლის სურვილით აღსავსე სარწყულად, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ცნობიერებისა და აზროვნების სისტემას, შეხედულებათა, ჩვევათა და ცხოვრებისელი ხედვის ერთობლიობას.

დედამ იცის, რომ სიკვდილი უახლოვდება მას. ამიტომ იმეორებს ის რამდენჯერმე ფრაზას – „გარდაუვალის დათმენა გმარ-

თებს!“ შვილის განცდები ძლიერი პოეტური ემოციითა გადმოცემული: „ვაი, რა უცებ დამიბერდი და ვერც სიბერისგან ვერ დაგისხენი.“ ფერდაკარგული გული გაფრინდა დღემოკლე უტყვი პეპელასავით... გამოქცეული ჩემი ზღაპრიდან და გაფრენილი ფრთების სავსავით.“

სისხლით და ხორციით პოეტი უნდა იყო, რომ ასეთ მწარე და ნაღვლიან წუთებზე ასეთი მაღალი მხატვრული სახეები, ასეთი ძლიერი მეტაფორების წერა შეძლო, ამავდროულად პოეტი დედას ფილოსოფიურ პასუხს აძლევს, რომ დედის გული ბავშვივით სუფთა და უმანკოა. იგი გარეთ რჩება, მოურჩენელ ტკივილად, მაგრამ პასუხი დედისადმი ერთობ ოპტიმისტური და რეალისტურია „...ტკბილი და მწარე გული, არასდროს არ მიდის არსად.“

ლექსის ფინალი ერთგვარად აჯამებს სიუჟეტს და დასკვნასავით აყალიბებს მხატვრულ აზრს, რომ გული ეს სიყვარულია, რომელიც დედას აქვს შვილისადმი და ეს სიყვარული არსად არ მიდის, იქ რჩება, სადაც დედა ცხოვრობდა, სადაც ის ამავე გულით ზრდიდა შვილებს, რჩება იქ, შვილების გარემოცვაში შვილების სხეულსა და სულში. ამიტომაცაა ქართულ ფოლკლორში უამრავი თქმულება, ზღაპარი და ლეგენდა, რომლებშიც ასახულია დედის გული, როგორც სიკეთის, შვილზე ზრუნვის სიმბოლო. იგი ავი შვილისადმიც დედობრივი სიტბოთი და მზრუნველობით არის გამჭვალული. ამიტომაც დედის გული უკვდავია და იგი არსად არ მიდის.

ე. ბაქრაძე ასევე დიდი სიყვარულით გვიხატავს გარდაცვლილი მამის სახეს ლექსში „მამის თხოვნას“. იმდენი წიაღსვლა, ქვეტექსტი და მეტაფორული აზრია ამ ლექსში, რომ სამ-ოთხ ასეთივე ზომის ლექსს ეყოფოდა. თბილი განწყობა, თბილი სიტყვები, ერთობ ამაღლებს ლექსის ავტორის გულრწფელობასა და ადამიანურ თანაგრძნობას.

მამა საყრდენი და წარმმართველია ოჯახის განვითარებაში შვილებისა და შვილიშვილებისათვის. ის ავლებს კვალს, მას მიაქვს სვე. ამ მისიის შესრულების ხარისხზე და დონეზეა დამოკიდებული მომდევნო თაობის კეთილდღეობა. ეს ყოველივე ლექსში თანმიმდევრულად ასახა ე. ბაქრაძემ. პოეტს ლექსში შემოაქვს ახალი მხატვრული ფრაზა „ხსოვნის ნალია.“ რაც შეიძლება გავიაზროთ ხსოვნისა და მოგონებების სიმბოლოდ. ავტორი სამართლიანად

თვლის, რომ რაც მას გააჩნია მამის მიერ გაკვალული და მოპოვებულია შვილისთვის. ამ ბრძნულ და რეალისტურ აზრს ამყარებს ლამაზი პოეტური შედარებებითა და სიტყვათა ალიტერაციით.

„თოვლმა მონყენილ ხსოვნის ნალიას გადააფარა თეთრი ნაბადი, რაც მაბადია შენი კვალია თოვლივით წრფელი და თვითნაბადი.“

ავტორი აფიქსირებს, რომ მამის გაკვალული გზის გასაგრძელებლად, რაც მას დარჩა გაუკვალავი, ის აგრძელებს და მძიმე შრომით მიიკვლევს გზას: („იმ ბილიკს მძიმე კირთებით ვკაფავ.“) ის ნაღვლიანად აღიქვამს მშობლების საფლავზე ფიფქების ცვენას,

„ეცემა ფიფქი მშობლების საფლავს.“ მხატვრულად არის გააზრებული თოვლი, „თოვლი სათუთად ართავს საჩჩელს, ამ ფრაზით სულიერება შეაქვს თოვლის წარმოსახვის ტრადიციაში. მას მოჰყვება ფილოსოფიური, მრავალაზროვანი დიდებული გამო-ნათქვამი „სული სარჩულით შემომაჩჩეს.“ რაც შეიძლება გავიაზროთ სულის და სხეულის ურთიერთმიმართებად. სხეული სარჩულად, რომელიც სულს ახლავს.

ასევე ნაღვლიან მოგონებებს აღძრავს მამისეული სახლი, სადაც აღარ გიზგიზებს ძველებურად ბუხარი. კერა აღარ ათბობს კედლებს და კვლავ სევდა ეძალეა ლირიკულ გმირს, რომ „შემცივნულ კედლებს იტკიებს კერა და ჩაენმინდა ბუხარს სასულე.“ ასეთი მხატვრული მეტაფორებით გადმოგვცემს ავტორი მიტოვებული მამისეული სახლის გამო მძალეებულ სევდას.

ამჯერად ამით დავასრულებ ე. ბაქრაძის პოეზიაზე მსჯელობას. ჩვენ შევეცადედ გაგვეანალიზებინა პოეტის ოჯახური ტკივილის ამსახველი ლექსები, მათში ასახული პიროვნული, ფილოსოფიური და ზნეობრივი ასპექტები („მე მათუსალას ასაკს გადავცდი“, დედაშვილური პრობლემა და დედის წვლილი შვილის აღზრდაში „ყმანვილკაცობისკენ ახლადფენადგმულ შვილს“), დედის სახის პოეტური წარმოსახვა („სად მიდის გული?“), და მამის გახსენებითა და თოვლში მისი საფლავის ხედვით აღძრული პოეტური მედიტაციები („მამის ხსოვნას“).

ეს ე. ბაქრაძის პოეზიის მცირე ნაწილია. კრიტიკოსის მხედველობის მიღმა კიდევ ბევრია დარჩენილი, რომელთა ანალიზი და განხილვა აუცილებელია ე. ბაქრაძის შემოქმედების შესწავლის, მისი მხატვრული ღირებულებებისა და აზროვნების წარმოსაჩენად.

გეორგიევსკის ტრაქტატი და დღევანდელი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განუზომლად გაიზარდა ჩვენი საზოგადოების ინტერესი უახლესი წარსულისადმი, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ჯერ ერთი, კომუნისტური იდეოლოგიის მარნუხებისგან გათავისუფლებამ შესაძლებელი გახადა უახლოესი წარსულის ობიექტური, შეულამაზებელი აღქმა; მეორეც, უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა მანამდე მკვლევართათვის ხელმიუწვდომელი მრავალი დოკუმენტი და ისტორიული მასალა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა ჩვენი უახლესი ისტორია, დაგვემსხვრია წლობით ჩამოყალიბებული სტერეოტიპები, ძირეულად შეგვეცვლა ჩვენი წარმოდგენები ისტორიის მრავალ საჭირობოროტო საკითხზე.

ზემონათქვამი მთლიანად ეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების თემასაც. წლების მანძილზე ეს ურთიერთობები მხოლოდ პოზიტიურ ქრილში, მხოლოდ ვარდისფრად იყო წარმოდგენილი. იდეოლოგიური მარნუხებისგან გათავისუფლების შემდეგ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ობიექტური შესწავლა, მისი ბნელი მხარეების გამომზეურება. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ისტორიკოსები, არამედ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები, ფილოსოფოსები, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები. ეს ფაქტი მისასაღმებელიც იქნებოდა, რომ არა ორი გარემოება: 1. ძალზე ხშირად ეს ადამიანები აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობენ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებზე და კლიშეებზე დაყრდნობით, ისტორიკოსთა ნააზრევის, საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-გააზრების გარეშე; 2. პრობლემის აღქმას ისინი უქვემდებარებენ დღევანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურას, თანამედროვე პოლიტიკურ ინტერესებს, რაც სენსაციურობის, ზედაპირულობის დაღს ასვამს მათ ნააზრევს.

ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით გააქტიურდა გეორგიევსკის ტრაქტატის თემა. ეს თემა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების ცხოველი ინტერესისა და დისკუსიების საგანს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სენსაციებზე მონადირე ერთმა ოდიოზურმა პიროვნებამ გეორგიევსკის ტრაქტატის დადება ლალატად, ხოლო მისი დამდები - ერეკლე მეორე მოლაღატედ გამოაცხადა, დისკუსია ამ საკითხის გარშემო ახალი ძალით გაჩაღდა.

წინამდებარე წერილში შევეცდებით ძალზე მოკლედ, მაგრამ მიუკერძოებლად და წინასწარ აკვიატებული წარმოდგენების გარეშე თვალი გავადევნოთ საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის მფარველობის ხანიდან მისი დაპყრობის პერიოდამდე, თანამედროვე რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული ურცხვი აგრესიის მიუხედავად, ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობები განვიხილოთ პოლიტიკური ინტერესის გამორიცხვით, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

1453 წელს ბიზანტიის დაცემის შედეგად საქართველო ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილი და მაჰადიანური სახელმწიფოების გარემოცვაში აღმოჩნდა. რომის პაპის ინიციატივით მაშინვე დაიწყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობები. საქართველოს მეფე-მთავრები, დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურენ პაპის ინიციატივას. მოკავშირეთა ჩანაფიქრით, ევროპელების მიერ კონსტანტინეპოლზე შეტევისთანავე ქართულ-სომხურ-ბერძნულ-ირანული 120-ათასიანი ლაშქარი მყისვე მეორე ფრონტს გახსნიდა და ოსმალებს აღმოსავლეთიდან შეუტევდა. მას შემდეგ, რაც რომის პაპის არაერთგზისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატივა ქართველმა მეფე-მთავრებმა იკისრეს. ჯერ გიორგი მერვემ, შემდეგ სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ყვარყვარემ, ქართლის მეფეებმა - კონსტანტინე მეორემ, სიმონ პირველმა, ვახტანგ მეექვსემ ზედიზედ მიავლინეს ელჩები ევროპულ დედაქალაქებში... ამოდ, ერთიანი ევროპული პასუხისმგებლობის არარსებობამ, ურთიერთქიშპამა, მერკანტილიზმმა, საერთო საფრთხის გაუაზრებლობამ საშუალება არ მისცა ევროპული სახელმწიფოების ლიდერებს გაერთიანებულიყვენ.

ირანსა და ოსმალეთს შორის სამხრეთ კავკასიისთვის ბრძო-
ლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. 1555 წელს ამასიის ზავით
ირანმა და ოსმალეთმა საქართველო და სომხეთი შუაზე გაიყვეს.
ირანს აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ სომხეთი, ოს-
მალეთს - დასავლეთ საქართველო და დასავლეთ სომხეთი ერგო.
შუაზე გაყოფილი აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგოც: დასავლეთ ნაწი-
ლი ოსმალეთმა მიისაკუთრა, აღმოსავლეთი - ირანმა. კონსტან-
ტინეპოლის დაცემის შემდეგ, ამასიის ზავი ყველაზე კატასტრო-
ფული მოვლენა იყო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქრის-
ტიანი ხალხებისთვის. ამასიის სისტემამ, ეპიზოდური გამონა-
კლისების გარდა, ორსაუკუნენახევრის განმავლობაში გამორიცხა
სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეალობაში მესამე სახელმწი-
ფოს ჩარევის შესაძლებლობა.

ამასიის გეოპოლიტიკური სისტემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ,
მხოლოდ რამდენჯერმე დაირღვა და ისევ აღდგა. 1578 წელს
ოსმალეთმა ირანს ამასიის ზავით „კუთვნილი“ აღმოსავლეთ სა-
ქართველო, სომხეთი და შირვან-აზერბაიჯანი წაართვა. 1590
წლის სტამბულის ზავით ირანი სამხრეთ კავკასიის გარეშე დარჩა,
მაგრამ ირანის შაჰმა - აბას პირველმა, მე-17 საუკუნის დასაწყისში
რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთი და 1612 წლის სტამბულის
ზავით ამასიის ზავი ერთი ცვლილებით აღადგინა: ოსმალეთს
მთელი სამცხე-საათაბაგო დარჩა.

1724 წელს ამასიის სისტემა კიდევ ერთხელ გადაისინჯა,
როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალეთი გაბატონდა,
ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროები ირანს რუსეთმა
წაართვა. 1735 წლის რუსეთ-ირანისა და 1736 წლის ოსმალეთ-
ირანის ზავებით ამასიის სისტემა კვლავ სრულად აღდგა და მე-18
საუკუნის 70-80-იან წლებამდე აღარ შეცვლილა.

ამასიის სისტემამ, პრაქტიკულად, გამორიცხა საქართველოს
გაერთიანების შესაძლებლობა. დასავლეთ საქართველოს შემოერ-
თება ქართლ-კახეთისთვის ოსმალეთთან ომს ნიშნავდა. ირანისა
და თურქეთის ვასალიტეტში ყოფნა ქართული სამეფო-სამთავ-
როებისთვის სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც დამლუბვე-
ლი იყო, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოს ეკონომიკურ დანი-
ნაურებას გამორიცხავდა ირან-ოსმალეთის პერმანენტული ომები,

მეორეც, ზემოაღნიშნული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა, წარმოების აზიური წესები თავისთავად განაპირობებდა საქართველოს ეკონომიკურ სტაგნაციას.

ირან-თურქეთის გავლენის ქვეშ ყოფნა საქართველოს კულტურულ წინსვლასაც აფერხებდა. ევროპული ცივილიზაციისგან მონყვეტა, დასავლური სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისგან იზოლაცია ჩვენს ქვეყანას ყოველგვარ პერსპექტივას უზღობდა.

ასეთ ვითარებაში ქართველ პოლიტიკოსებში სულ უფრო იკიდებდა ფეხს მუსლიმურ-აზიური გარემოცვიდან თავდახსნის აუცილებლობის შეგნება. ამ მნიშვნელოვანი საქმის რეალიზაცია კი ძლიერი მოკავშირის გარეშე შეუძლებელი იყო. ქართველი მეფე-მთავრები აგრძელებდნენ დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძებნას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსკოვის დიდმა მთავარმა საბოლოოდ გადაიგდო მონღოლთა უღელი (1480), შეიერთა ნოვგოროდი, ტვერი, და ბიზანტიის ბოლო იმპერატორის განდევნილ ძმის-შვილზე ქორწინების შემდეგ, ამ ბერძნული იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზია განაცხადა, სულ უფრო მეტად მიაპყრობდნენ თვალს ჩრდილოელი მეზობლისკენ.

ასეთ სახელმწიფოსთან კავშირი ქართველი პოლიტიკოსებისთვის ფრიად მიმზიდველად გამოიყურებოდა. ამასთან, ქართული სახელმწიფოს ინტერესებისადმი დასავლეთის გულგრილი დამოკიდებულების ფონზე, რუსული ორიენტაცია ქართველი მეფე-პოლიტიკოსების არა არჩევანად, არამედ ერთადერთი გამოსავლად მოჩანდა.

ამ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მაშინდელ ქართველ პოლიტიკოსთა გადანწყვეტილებების მართებული შეფასება. სწორედ ამ შეცდომას უშვებს დღევანდელი ქართული საზოგადოების ნაწილი, როდესაც ქართველ მეფე-პოლიტიკოსთა სამსაუკუნოვან რუსულ ორიენტაციას შეცდომად მიიჩნევს. მათი ლოგიკით გამოდის, რომ ალექსანდრე პირველი კახთა მეფედან მოყოლებული, ლევან კახთა მეფე, ალექსანდრე მეორე, დავით მეორე (კახეთი), გიორგი მეათე (ქართლი), თეიმურაზ პირველი (კახეთი), ვახტანგ მეექვსე (ქართლი), თეიმურაზ მეორე (ქართლ-კახეთი), იმერეთის მეფეები: ალექსანდრე მეხუთე,

სოლომონ პირველი, სოლომონ მეორე და, განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთის მეფე - ერეკლე მეორე პოლიტიკაში სრულყოფილ უვიცეები და რელიგიური ფანატიკოსები იყვნენ და მხოლოდ ერთმორწმუნეობის ნიშნით წყვეტდნენ სახელმწიფოს საგარეო ორიენტაციის საკითხს.

ამრიგად, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ ევროპული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის რუსული ორიენტაციით თანდათანობითი ჩანაცვლება რომელიმე ქართველი სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური სიბეცის, მით უმეტეს, მისი პიროვნული ახირების შედეგი კი არა, ისტორიის განვითარების ლოგიკით გამონვეული მოვლენა გახლდათ. სხვა საკითხია, რომ მონღოლთა სამსაუკუნოვანი ბატონობისგან თავდახსნილ რუსეთს ერთგვარ მემკვიდრეობად გამოჰყვა მის მიერვე დადებული შეთანხმებებისა და მოცემული პირობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და „მიწების შეკრებისადმი“ მისწრაფება. ამას კარგად ვხედავთ თითქმის სამი საუკუნის მხრებზე მდგომი დღევანდელი თაობა, მაგრამ ეს არ შეიძლება სცოდნოდან ჩვენს წინაპრებს. ამიტომაც არის უსამართლობა დღევანდელი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ მათ მიმართ ნაყენებული მსგავსი ბრალდებები.

აქვე არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართული პოლიტიკა არასოდეს კეთდებოდა პიროვნული ამბიციების, ძალაუფლებისთვის ბრძოლის, ურთიერთქიშპის გარეშე. გამონაკლისი არც ჩვენთვის საინტერესო ეპოქაა. მოდით, ქართული პოლიტიკის ამ ნიუანსებზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ.

ჯერ კახეთის, შემდეგ კი ქართლის და იმერეთის მეფეთა მიერ რუსეთის მზარდ სახელმწიფოსთან კავშირის დამყარების მცდელობებმა ქართულ სამეფოებს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. მრავალრიცხოვან მიმონერებსა და ელჩობებში აშკარად სჩანდა, რომ რუსეთი საქართველოს, თითქოს, ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებებს სთავაზობდა, მაგრამ თვითონ თავისი ვალდებულებების შესრულებას არ ჩქარობდა. საქართველოსადმი რუსეთის ჭეშმარიტი მიზნები ნათლად გამოჩნდა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს, როდესაც რუსეთის მიერ ერეკლეს დასახმარებლად მოვლინებულმა გენერალმა ტოტლებენმა ქართლ-კახეთის მეფის ტახტიდან გადაყენება დააპირა. ასპინძის

ომში ბრწყინვალე გამარჯვებით და ენერგიული პოლიტიკური ნაბიჯებით ერეკლემ ტოტლებენის (იგულისხმე - რუსეთის სახელმწიფოს) ანტიქართული გეგმები ჩაშალა. ამის გამო რუსეთი ქართლ-კახეთის მეფეს გაუნაწყენდა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები საკმაოდ გაცივდა. თუმცა, ფორმალურად, რუსეთის საიმპერატორო კარმა ტოტლებენის საქციელი დაგმო.

რუსეთთან ურთიერთობების გაცივებას ერეკლეს პოლიტიკაზე უაყოფითად არ უმოქმედია. პირიქით, ირანი და თურქეთი ამ ფაქტს მიესალმნენ. მორიგე ჯარის შემოღებით კი ერეკლემ მთიელთა გამუდმებული თავდასხმების მნიშვნელოვნად შემცირებაც მოახერხა. მან მოხერხებულად გამოიყენა რუსეთის ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, ირან-ოსმალეთის შედარებითი სისუსტე და სამხრეთ კავკასიაში თავისი მდგომარეობა განიმტკიცა. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში კვლავ დადგა საქართველოს გაერთიანების საკითხი. როგორც ჩანს, ირანის ვასალიტეტიდან აღმოსავლეთ საქართველოს გამოყვანისა და ოსმალეთის სულთნის უზენაესობის აღიარების სანაცვლოდ, ერეკლემ, 1778 წელს, მოახერხა მიელო ოსმალეთის თანხმობა დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე.

ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის მოლაპარაკებები საიდუმლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა. იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა ტახტის დაკარგვის რეალური საფრთხე იგრძნო და მაშინვე რუსეთსა და ირანში (თურქეთის ბუნებრივ მოწინააღმდეგეებში) ელჩები აფრინა. რუსეთმა ალექსანდრე ბაქარისძე (ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი) სასწრაფოდ იმერეთს მიავლინა. ალექსანდრე ქართლის ტახტზე კანონიერი მემკვიდრე იყო და ტახტისთვის ბრძოლაში მას ქართლის არაერთი თავადი უჭერდა მხარს. ერეკლეს საწინააღმდეგო ბრძოლაში ალექსანდრეს ჩაბმამ ერეენის ხანის დასასჯელად გალაშქრებული ქართლ-კახეთის მეფე აიძულა ნაჩქარევად თბილისში დაბრუნებულიყო. მისი მდგომარეობა სწრაფად გართულდა. ეკატერინე მეორემ ორგზის ჩაშალა ყაბარდოელთა საქართველოში ჩამოსახლების ერეკლესეული გეგმა, აკრძალა ქართველ პოლიტიკოსთა მიერ ჩრდილო კავკასიაში ჯარების დაქირავება და ყველანაირი

საშუალებით შეზღუდა ერეკლეს მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა.

ერეკლეს წინააღმდეგ დიპლომატიური ძალისხმევა და შუქარები გააძლიერა ირანმაც.

სულ რაღაც ორ წელიწადში ერეკლემ არაერთი დარტყმა მიიღო. 1781 წელს კი მას (და, საერთოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს) დიდი ტრაგედია დაატყდა თავს: საექჭო ვითარებაში დაიღუპა ერეკლეს რჩეული ვაჟი ლევანი.

ზედიზედ განცდილმა რამდენიმე წარუმატებლობამ და პირადმა ტრაგედიამ ერეკლეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეარყია. 1881 წელს, ერეკლესა და სოლომონის შეთანხმების საფუძველზე, ალექსანდრე ბაქარისძემ იმერეთი დატოვა და ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. იქ იგი დარუბანდის მმართველს, ერეკლეს დაუძინებელ მტერს, შეეკრა. ორი დაუძინებელი მტრის გაერთიანებამ ერეკლეს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. მან მშვენივრად გააცნობიერა, რომ ამ გართულებების უკან რუსეთი იდგა.

თავის მხრივ, ყირიმის ნახევარკუნძულის მიმართ რუსეთის ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა ოსმალეთის ინტერესებს. ოსმალეთთან ომი რუსეთისთვის გარდაუვალი ჩანდა და ამ ომში რუსეთი ქართლ-კახეთის გამოყენებას აპირებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის საიმპერატორო კარმა სასწრაფოდ „დაივიწყა“ ერეკლეს „უმადურობა“ და მასთან ურთიერთობების დათბობას შეუდგა. აი, როგორ აფასებს ამ ვითარებას ნიკო ბერძენიშვილი: „რუსეთის მთავრობამ სწრაფად და ენერგიულად სცადა შეცდომის გამოსწორება (საქართველოს რომ შემოსწყრა და თავისი მიზნები ნაადრევად გაამჟღავნა. უ. ბ.). მან ორმხრივი იერიში მიიტანა ერეკლეზე, თავადები, აშვებული ალექსანდრეები, ფათალი-ხანი, ჩერქეზთა გადმოსახლების ხელისშეშლა, ამიერკავკასიაში ჯარების დაქირავების მოსპობა ერთი მხრივ, მეორე მხრით, აგენტები მრავლად ამოქმედდა ერეკლეს კარზე („ბროდიაგა“ რეინგსიცი კი) უხვი დაპირებებით და ერეკლემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება“. (იხ. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, რედაქტ. მ. ნათემლაძე, თბ. 2008, გვ. 19).

ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა.

როგორც ვხედავთ, ერეკლეს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არა მისი არჩევანი, არამედ რუსეთის მხრივ უძლიერესი ზეწოლის შედეგი გახლდათ. მანამდე კი იყო ევროპასთან დაკავშირების ენერგიული მცდელობები.

ჯერ კიდევ ზურაბ ავალიშვილმა შენიშნა, რომ საქართველოს გაძლიერება რომელიმე მისი დიდი და ძლიერი მეზობლის დასუსტებაზე იყო დამოკიდებული. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებაც ორმა გარემოებამ: 1. ნადირ-შაჰის სიკვდილმა და, შესაბამისად, ირანის ტახტის გარშემო ატეხილმა შინააშლილობამ; 2. ქართლ-კახეთის სათავეში ძლიერი პოლიტიკოსის და ბრწყინვალე მხედართმთავრის - ერეკლე მეორის ყოფნამ განაპირობა. ერეკლეს შესანიშნავად ესმოდა, რომ საქართველოს სიძლიერე მნიშვნელოვანწილად მისი შეიარაღებული ძალების ევროპული წესით და რიგით მოწყობაზე იყო დამოკიდებული. 1781 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ორი წლით ადრე, ერეკლემ დახმარების თხოვნით ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს მიმართა. კათოლიკე მისიონერ დომინიკეს მან წერილები გაატანა ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლის მეფეებთან, ვენეციის რესპუბლიკის სენატთან და რომის პაპთან.

დომინიკემ ევროპულ დედაქალაქებამდე ვერ ჩააღწია. ის კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა.

ერეკლე ბედს არ დამორჩილდა და ახლა სხვა ელჩი, პატრი მავრო ვერონელი უკვე სხვა - რუსული გზით გაგზავნა ევროპაში. თუმცა, ოსმალურ გზაზე უსაფრთხო არც რუსული გზა აღმოჩნდა: პატრი მავრო პოლონეთის ქალაქ ბერდინევიში გარდაიცვალა.

ერეკლეს ამ მცდელობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ყველანაირად გაურბოდა რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებას და შექმნილი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს გამალებით ეძებდა. ორივე ელჩის გზაში გარდაცვალება კი სერიოზულ ეჭვებს აჩენს: ასეთ შორეულ მოგზაურობაში ელჩებად უძლურ და ავადმყოფ პიროვნებებს არ არჩევენ. როგორც სჩანს, ის ვისაც ევროპასთან ერეკლეს დაკავშირება ხელს არ აძლევდა, ამ კავშირების ჩასაშლელად მეთოდების დახვეწილობით არ გამოირჩეოდა.

1782 წლის ბოლოს პოტიომკინმა ერეკლეს მოსთხოვა თხოვნით მიემართა რუსეთის იმპერატორისთვის ქართლ-კახეთის

მფარველობაში მიღების შესახებ. იმავე წლის 21 დეკემბერს ერეკლე II-მ რუსეთის დედაქალაქში ასეთი თხოვნა გააგზავნა. მას შემდეგ, რაც ერეკლემ თავისი დარბაზის წევრებთან ხელშეკრულების ტექსტი განიხილა, 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

ხელშეკრულების ძალით ქართლ-კახეთის მეფე უარყოფდა ირანის უზენაესობას და აღიარებდა რუსეთის უზენაესობა-მფარველობას. ქართული მხარე ვალდებული იყო არ განეხორციელებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ქართლ-კახეთის კათალიკოს პატრიარქი რუსეთის ეკლესიის სინოდის წევრი ხდებოდა., რაც ფაქტიურად, ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში შესვლას ნიშნავდა. რუსეთის მხარე ვალდებული იყო კისრულობდა დაეცვა ქართლ-კახეთის სამეფო გარეშე მტრებისგან და დახმარებოდა მას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში. ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტით რუსეთი ვალდებული იყო საქართველოში გამოეგზავნა ორი ბატალიონი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის კავკასიის ხაზის სარდალს ქართლ-კახეთისთვის დამატებითი სამხედრო დახმარება უნდა აღმოეჩინა. რუსეთი აღიარებდა ერეკლესა და მისი შთამომავლების უფლებებს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე და მის სუვერენიტეტს სახელმწიფოს სამინაო პოლიტიკაზე.

ცხადია, ამ დოკუმენტში არის ქართველთათვის როგორც მოსაწონი, ისე მიუღებელი პუნქტები. ამის გამო ბევრი ჩვენი თანამედროვე გეორგიევსკის ტრაქტატს შეცდომად მიიჩნევს. ამ პოზიციის ავტორებს უნდა შევახსენოთ, რომ ტრაქტატი ორი სახელმწიფოს შეთანხმების, მათი ინტერესების შეჯერების შედეგია და ის მხოლოდ ერთი მხარისთვის ბოლომდე მოსაწონი ვერ იქნება. ტრაქტატის კრიტიკოსებს განსაკუთრებით არ მოსწონთ ის, რომ ქართლ-კახეთის სამეფო საგარეო პოლიტიკაზე თავის სუვერენიტეტს რუსეთს უთმობდა. მაგრამ ამის ალტერნატივა მხოლოდ ირანის გავლენის სფეროში და ამასიის გეოპოლიტიკური სისტემის რეალობაში დარჩენა იყო. ქართლ-კახეთის მეფეს უნდა გადაეწყვიტა მის წინაშე მდგომი ძირითადი დილემა - ირან-ოსმალური აღმოსავლეთი თუ, თუნდაც არასანდო და იმპერიული

ამბიციების მექონე, მაგრამ მაინც ქრისტიანული რუსეთი, ქართული სამეფო-სამთავროების მეფე-მთავრები სამი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ ირან-ოსმალეთს შორის ლავირების პოლიტიკას, რასაც სასურველი შედეგები არ მოჰქონდა. ამას ემატებოდა საქართველოსადმი მტრულად განწყობილი მუსლიმური ჩრდილო კავკასიის მრავალრიცხოვანი ტომების დამანგრეველი თავდასხმები. ამიტომაც გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება არ ყოფილა რომელიმე ერთი ქართველი მეფის, ერთი ქართული სამეფოს, ერთი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ის ბოლო სამი საუკუნის ქართველ მოღვაწეთა საერთო ძალისხმევით, მათი ევროპული მისწრაფებების ლოგიკური შედეგი გახლდათ.

სხვა საკითხია, რომ რუსეთის სახელმწიფო თავიდანვე არ აპირებდა თავისი ვალდებულებების შესრულებას. პირიქით, მან ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება-გაჩანაგებაზე აიღო გეზი და ფარულად აქეზებდა კიდეც ჩვენს მტრებს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. როდესაც ქართლ-კახეთზე გამოსალაშქრებლად ირანელთა მზადებით შეშფოთებული ერეკლე მეორე რუსეთის საიმპერატორო კარს საფრთხის შესახებ აცნობებდა და ტრაქტატით ნაკისრი მისი ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებდა, კავკასიის ხაზის სარდლობა პეტერბურგიდან ასეთი ფარულ დავალებას იღებდა: „დააიმიდე ერეკლე, მაგრამ მხოლოდ დააიმიდე, საქმით კი არაფერი მოიმოქმედო“. სწორედ რუსეთისგან დაიმიდებული შეხვდა ერეკლე ასე მოუმზადებლად ალა მაჰმად-ხანის ლაშქრობას, რამაც საბოლოოდ გაჩანაგებული ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის კარზე მიიყვანა.

აი, როგორ აღწერს ტრაქტატამდე არსებულ ვითარებას დიდი ივანე ჯავახიშვილი: „...პატარა საქართველო და მისი ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველმხრივ მონყვეტილი იყო. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ამას იყო ყოველივე მისი ცდა ევროპის სახელმწიფოებამდის ხმის მისაწვდენად, რომ ...იქიდგან დახმარების მოლოდინი ტყუილი ოცნება იქნებოდა. ასეთ გარემოებაში ერეკლე მეფე და საქართველოს მთავრობა რაინეგის რჩევას, რომელიც, როგორც ეხლა ირკვევა, თვით რუსეთის მთავრობის მიერ დავალებული საიდუმლო

მინდობილობით ყოფილა, რასაკვირველია, სიამოვნებით შეინყნა-
რებდა. რუსეთის მეტი მომშველელი მაშინ მათ აღარაფერ
ეგულებოდათ და ამ ძლიერ ჩრდილოელ სახელმწიფოს მიჰმართეს“
(დემიტრი შველიძე, საქართველოს მფარველობა და დაპყრობა
რუსეთის მიერ“, თბ. 2014, გვ. 47).

მივაქციოთ ყურადღება ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს: „რო-
გორც ეხლა ირკვევა“. დიახ, რუსეთის მზაკვრული გეგმების შესა-
ხებ ბევრი რამ მოგვიანებით, ერეკლესა და მისი თანამედროვეების
შემდეგ გაირკვა. ამის შესახებ ვიცით ჩვენ, მაგრამ ეს არ შეიძლება
სცოდნოდან ერეკლეს ეპოქის ქართველებს.

მაშინაც ხომ იყვნენ ქართველები, რომლებიც რუსეთთან
კავშირს ეწინააღმდეგებოდნენ? სოლომონ ლიონიძე ხომ ამის
მკაფიო მაგალითია! - იტყვის მავანი. დიახ, იყვნენ, მაგრამ მათ
მტკიცებებს არგუმენტაცია აკლდა, ის ფაქტები აკლდა, რომლე-
ბიც ჩვენთვის, შემდგომი თაობებისთვის გახდა ცნობილი. მოვლე-
ნების განვითარების ლოგიკა კი ერეკლეს მაშინ სხვა გამოსავალს
ალარ უტოვებდა!

სალომე ბერიძე

სალომე ბერიძე დაიბადა 1989 წელს. 2008-2012 წწ. სწავლობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აირჩია მასწავლებლის პროფესია, რადგან ძალიან უყვარს ბავშვებთან ურთიერთობა, სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და სასწავლო პროცესის უფრო მეტად სახალისოდ წარმართვა, ამიტომ იგი აქტიურადაა ჩართული როგორც საერთაშორისო, აგრეთვე ეროვნულ სასწავლო პროექტებში, ასევე ტრენინგებსა და კონფერენციებში.



2015-2017წწ. სწავლობდა მაგისტრატურაში, ამ წლების განმავლობაში ის აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა კონფერენციაში, მათ შორის ირანშიც. გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ესტონეთში, სადაც ისწავლა შემდეგი მოდულები: ენისა და შიანარის ინტეგრირებული სწავლება და მულტილინგუური განათლება.

„არავი“ ბეჭდავს სალომე ბერიძის სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც აქტუალურია როგორც თემის, ისე მეცნიერული თვალსაზრისით.

დაბა ასპინძის მცხოვრებითა მეტყველება

ასპინძა მდებარეობს ოთის წყლის და არტაანის მტკვრის შესართავს შორის. ოდითგანვე იგი გაშენებული იყო ციცაბო კლდის ფერდობებზე აღმართული ციხის გარშემო. მას დასცქეროდა კობტის ციხე, რომელსაც ჩაუდიოდა კობტის ხევი, საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ასპინძა უნდა ყოფილიყო საქართველოში, რადგან იგი გზების პირას აგებულ სასტუმრო-ღამის გასათევს ერქვა, მხოლოდ აქ, სამცხის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე შემოგვრჩა ადგილის სახელად. ასპინძასთან

არის დაკავშირებული მასპინძელიც, სიტყვა, ურომლისოდანაც წარმოუდგენელია ქართველი კაცის ყოფა (ბერიძე, 2000: 5).


ასპინძის ეტიმოლოგიაზე შემდეგი მოსაზრება არსებობს: „გეოგრაფიული სახელი ასპინძა, შესაძლოა დაუკავშირდეს სიტყვას მასპინძელი. მაშინ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სადგური, თავშესაფარი. დადასტურებული ფალაური ასპანჯ, იპინგ, რომელსაც ეყრდნობა ქართულიც. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა სპარსულ asp უკავშირდება, მაგრამ არამეული ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულია usping an ispij (ანდრონიკაშვილი, 1966: 287).

სუბატ დავითის ძე წერს: „და შეენია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასესა კერძთა და სძლიეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ხევსა სამცხისასა სოფელსა ასპინძას“.

ეს არის ასპინძის პირველი ხსენება ჩვენს საისტორიო მწერლობაში და იგი მე-9 საუკუნეს, კერძოდ, 888 წელს განეკუთვნება.

ომები და სისხლისღვრა თავიდანვე დაებედა ასპინძას, რადგან იგი იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი. აქ გადიოდა ისტორიული გზები, იყრებოდა ორი მდინარე, საზღვარი ედო სამცხესა და ჯავახეთს.

ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარავს ასპინძის რაიონს. მისი სოფლების ნაწილი - ტამალა, ხიზაბავრა, სარო, თოკი, ნაქა-ლაქევი, თმოგვი, მირაშხანი - ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზეა, ხოლო ნასოფლარები - ნიალა, ქარზამეთი, ბუზმარეთი, ერუშეთის სოფლები იყო. სამცხის ნაწილი ასპინძიდან ვარძიამდე სოლივით შეჭრილი იყო მტკვრის ხეობაში (სამცხის ხევი), დანარჩენი ნაწილი სოფლებისა კი, ისტორიულადაც და დღესაც სამცხის შემადგენლობაში შედიოდა და შედის. ასპინძა დასახლებულ პუნქტთა გარკვეული ნაწილის ცენტრი იყო უძველესი დროიდან, ალბათ მას შემდეგ, როდესაც იგი მოიხსენიება სოფლად. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ მე-16 საუკუნის ოსმალური დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ქართულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით აღწერს სამხრეთ საქართველოს. მაშინდელი ასპინძის რაიონის



სოფლები ემთხვევა თანამედროვეს: ასპინძის ციხის რაბათი, ზველი, მუსხი, ყური, საყუდაბელი, ახალშენი, ორგორა, ინთორა, ვისწყალი, ასკილვანი, ლართა, ტამალა, ჯაბიეთი, ბეთლემი, ერკოტა, ფერისციხე, ხვილიშა, ყამზა, იდუმალა, ინდუსა, კობტის ციხის რაბათი, ვარნეთი, რუსთავი, წყალთბილა, ყანობირი, ინნორა, ზემო და ქვემო ოშორა, ზემო და ქვემო ბოქთა, აგარა, ოთა, მლაშისხევი, ფერისხევი, კარკალანი, მამანშინდა, ხიდურეთი, უკანკულისი, შორეთი.

თანამედროვე დარაიონების მიხედვით, ჩამონათვალს დაემატა სამცხის, ჯავახეთის და ერუშეთის სოფლები ხერთვისის, თმოგვის, ნიალისყირისა და ბუზმარეთის რაიონებიდან: ხერთვისის ციხის რაბათი, ალჯვა, როკეთი, ხიზაბავრა, დადეში, აწყვიტა, ბავრა, ტოლოში, თოლერთა, ცხეკნელა, ნიჯგორი, ორმოცი, ქუნცა, ბნელა, კვარშა, ალანძია, კულულეთი, გომი, ორხოფია, გელსუნდა, ნაისა, წყალმერთხევი, იფნიეთი, ოსკერია, შოღირვანი, ხიზა, ფია, მირაშხანი, ზედა ვარძია, თმოგვის ციხის რაბათი, ფანაკეთი, წუნდა, ჭაჭყარი, ვანისხევი, ვანისქვაბი, ავაზანა, ალაგი, ვარძია, ელიასუბანი, გიორგინშინდა, დანიეთი, არტახი, ზედათმოგვი, ნიალა, აგარა, ლებისი, დუმეილა, გომი, კორისხევი, ქარზამეთი, თათალეთი, კოტასი, უბანი, გუნდი, ბუზმარეთი, ვანი, ქართაშენი, მუკუზამენი, თეთრისხევი, შოლო, შუადღე, შალოშეთი (ბერიძე, 2000: 5).

ასპინძის რაიონში დღეს ცხოვრობენ ჯავახები, იმერლები, მთიულეები და აჭარლები, რომლებიც, მართალია საქართველოს იმ კუთხეების ეთნომემკვიდრეები არიან, საიდანაც ჩამოვიდნენ, მაგრამ ყველა ერთად არის მესხი, საქართველოს უძველესი ქვეყნის მესხეთის კულტურისა და ისტორიის მემკვიდრე. ასპინძის რაიონის სოფელ ტამალაში ცხოვრობენ არზრუმიდან ჩამოსახლებული სომხები.

ასპინძის რაიონი მთაგორიანია. ჯერ კიდევ არის აქა-იქ შემორჩენილი მესხური ტრადიციული მემთეულეობა - ბარისა და მთის შენაცვლება სამეურნეო საქმიანობაში, რაც გლექკაცის სიძლიერის საფუძველი იყო მესხეთში (ბერიძე, 2000: 5-6).

დღევანდელი ასპინძის რაიონი მოიცავს ისტორიული სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიის ნაწილს, სადაც მრავლადაა ისტორიული ძეგლები. მათ შორისაა ვარძია, ვანის ქვაბები, წუნდა,

ზედა ვარძია თმოგვი, ხერთვისი, შოროთა და სხვა. ამ ძეგლებს დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვთ. მათ შესახებ მრავალი ისტორიული წყარო, ლიტერატურა და გამოკვლევა არსებობს.

დაბა ასპინძის ტერიტორიაზე მდებარე ციხე IX-X სს. უნდა იყოს აგებული. იგი ჯავახეთიდან სამცხეში და სამცხიდან თორში მიმავალ გზებს აკონტროლებდა.

1828-29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გათავისუფლდა ახალციხის საფაშოს 10 სანჯაყი, მათ შორის ასპინძაც. „ქართველი მაჰმადიანი ბეგები და აღები ცარიელ-ტარიელი გადაცვივდნენ ოსმალეთში და მამულ-დედული ოხრად დატოვეს, რომელნიც რუს მოხელეებსა და აქ თურქეთიდან გადმოსახლებულ სომხებს ჩაუვარდათ ხელში. ამ დროს უყიდია ასპინძის ციხის ქვემო მხარე „დეისტვიტლნი სტატსკი სოვეტნიკს“ ზავილესკის. (ქუჭიშვილი, 2000: 52).

ამ ტერიტორიის რუსეთთან შეერთებით მოისპო ძველი თურქული ადმინისტრაციული დაყოფა. ასპინძა შევიდა თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში.

1917 წლიდან იგი ახალციხის მაზრაშია ტოლოშის სახელწოდებით. 1930 წელს ტოლოშის რაიონი ცალკე გამოიყო, ხოლო 1939 წლის 27 ოქტომბრიდან ასპინძის რაიონად იწოდა (ქუჭიშვილი, 2000: 51-52).

ასპინძის რაიონი შედის სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ მხარეში. მას აღმოსავლეთით ახალქალაქის, ჩრდილოეთით ბორჯომის, დასავლეთით ახალციხის რაიონები ესაზღვრება. სამხრეთის საზღვარი კი მთლიანად ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

რაიონის ტერიტორია 822,4 კვადრატული კილომეტრია. რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 1,5% შეადგენს. მოსახლეობა 14,0 ათას კაცს აღწევს, ანუ ქვეყნის მოსახლეობის (4,8 მილიონი) 0,03 პროცენტია.

რაიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე არ აღემატება 17 კაცს, რაც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია ქვეყნის მასშტაბით და, ძირითადად, რაიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება.

რაიონის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ზღვის დონიდან 1500 მეტრზე ზევით მდებარეობს, რომელსაც მდინარე მტკვარი ნაწილად ყოფს. რელიეფი მეტად დანაწევრებულია, რისი შედეგიც არის ის, რომ მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით მნიშვნელოვანი უპირატესობებისა ადიგენის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებთან შედარებით, იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახნავი ფართობების მოცულობის მიხედვით (სანდროშვილი, 2000: 294).

ასპინძის რაიონი ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. მიუხედავად ამისა, მოძიებულია დიატომიტი, რომლის სამრეწველო მარაგი არ არის დადგენილი. იგი მსოფლიოში ცნობილი ახალციხის რაიონის ქისათიბის დიატომიტის საბადოს განშტოებას წარმოადგენს, მოსაპირკეთებელი ქვა დოლომიტი, რომლის სამრეწველო მარაგი 14170 კუბურ მეტრს აღწევს. რაიონი მდიდარია თერმული მინერალური წყლებით, რომელთა ჯამური მარაგი 250 მილიონ ლიტრს აღემატება. მოიპოვება აგრეთვე მარმარილო, სამშენებლო ტუფი და ბაზალიტი, რომელთა სამრეწველო დამუშავება არ წარმოებს (სანდროშვილი, 2000: 296).

რაიონს საკმარისი ჰიდრორესურსები გააჩნია პერსპექტივაში ენერგეტიკული დეფიციტის შესავსებად.

ასპინძის რაიონის ტერიტორიის 8.6% ტყითაა დაფარული. ადგილობრივ ტყეებს, სიმცირის გამო, სერიოზული სამრეწველო პოტენციალი არ გააჩნია და დამზადებულ ხე-ტყეს, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარს სათბობისა და საშენი მასალის სახით (სანდროშვილი, 2000: 296).

ასპინძა ერთ-ერთი მდიდარი რაიონია საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით კი ეროვნული ხუთთმოდღვრული ცივილიზაციის შესანიშნავი ძეგლებით.

რაიონში წლების მანძილზე ფიქსირდებოდა მიგრაციული პროცესები, რაც არსებული სოციალური და ეკონომიკური სახის პრობლემების შედეგია. მიუხედავად 1980 წელს მთიანი აჭარიდან მოსახლეობის გეგმიანი ჩამოსახლებისა, მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. რაიონში აღირიცხება სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი სიჭარბე.

არაერთი ისტორიული წყარო მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ წარსულში მესხეთში კარგად ყოფილა განვითარებული სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორცაა მემცენარეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა და მესაქონლეობა.

მტკვრის ხეობაში სახნავ-სათესი ფართობების სიმცირეს და საირიგაციო პრობლემების, აგროტექნიკური და საინჟინრო თვალსაზრისით, მაღალ დონეზე გადანყვევის აუცილებლობას დასაბამი მიუცია უნიკალური, ტერასული მეურნეობის განვითარებისათვის. ტერასებზე უპირატესად ვენახებსა და ბაღებს აშენებდნენ. ამჟამად ტერასები ნაწილობრივ აღდგენილია, თუმცა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება არ ხდება (სანდროშვილი, 2000: 297).

ისტორიულად სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ადრეულ საუკუნეებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემები არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში (XI-XIII სს.), და უფრო ადრეც, სამცხე-ჯავახეთში ქართველი მოსახლეობა დიდი რაოდენობით ცხოვრობდა. სხვაგვარად შეუძლებელია და გაუგებარიც იქნებოდა იმ პერიოდში აქ უამრავი ქარვასლის, ხიდის, ციხის, ეკლესია მონასტრის, სამეფო რეზიდენციის (დლივი, ღრტილა, ბოჟანო, ვარძია, ალასტანი) აშენება. ამ ისტორიული ძეგლებიდან ბევრი დღემდე შემორჩა და ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალეს ნიმუშებს წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ ამ კუთხის მაშინდელ აღმავლობასა და დაწინაურებას და თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ 1254 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა ხუთ მილიონ კაცს შეადგენდა, მაშინ სამცხე-ჯავახეთში ამ პერიოდისათვის ორასი ათასი, თუ გაცილებით მეტი არა, ქართველი ცხოვრობდა (სილაგაძე, თოთაძე, 2002: 33).

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების შემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ენერჯია უცხოელ დამპყრობლებთან გამუდმებულ ბრძოლას შეენირა, განადგურების პირზე მივიდა, კატასტროფულად შემცირდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა.

სამცხე-საათაბაგოში მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XVI საუკუნის მიწურულიდან. როგორც აკად. ს. ჯიქია

აღნიშნავს, XVI საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკურად გაძლიერებულმა ოსმალთა თურქებმა მაშინდელი საქართველოს განუყოფელი ტერიტორიები დაიპყრეს და ხანგრძლივი და სისტემატური შემოსევების შედეგად დაიპყრეს სამცხე-სათაბაგოს სამთავრო. სამხრეთ საქართველოში, რომელიც ძველთაგანვე საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის აკვანი და გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ - კულტურულ მოღვაწეთა სამშობლო იყო, ოსმალთა-თურქებმა დაამყარეს თავიანთი ხელისუფლება და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს (სილაგაძე, თოთაძე, 2002: 33).

ოსმალეთის ხელისუფლებამ საქართველოს სამხრეთი პროვინციის დაპყრობის შემდეგ ჩაატარა საყოველთაო აღწერა, რომლის უშუალო მიზანი დასაბეგრი ობიექტების გამოვლენა-დაფიქსირება იყო. სპეციალურ დავთარში შემოჰქონდათ მოსახლეობის დაბეგრისათვის საჭირო ცნობები. ამ უნიკალურმა თურქულმა ხელნაწერმა ძეგლმა, რომელიც 1595 წელს არის შედგენილი, ჩვენამდე მოაღწია და მას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეწოდა. ამრიგად, ეს ძეგლი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია იმდროინდელი სამხრეთ-საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. ამავე დროს, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, „დავთარი“ შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქრისტიანი იყო, ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ „დავთარში“ ყოველი მუსლიმის სახელს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი და იგი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდა. მაგალითად, ოსმალურ გადასახადს ისფენჯს მუსლიმები არ იხდიდნენ. ამ სახის გადასახადი კი „გურჯისტანის ვილაიეთში“ ფართოდ იყო გავრცელებული და მას 12339 კომლი იხდიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „დავთარში“ სულ 12738 კომლია აღრიცხული, მაშინ ჯერ კიდევ იმ დროისათვის „გურჯისტანის ვილაიეთის“ მოსახლეობის 97 პროცენტი ქრისტიანი იყო.

„დავთარი“ ზედმინევნით ზუსტად იმის თქმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ 1595 წელს „გურჯისტანის ვილაიეთის“ მოსახლეო-

ბის დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ. კერძოდ, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შეიძლება გაირკვეს „დავთარში“ აღნიშნული კომლის უფროსის სახელისა და მამის სახელის საფუძველზე (სილაგაძე, თოთაძე, 2002: 34).

1595 წელს თურქებმა სოფელ-სოფელ, ოჯახ-ოჯახ აღწერეს სამხრეთ საქართველო. აღურიცხავი არ დატოვეს კომლის არცერთი მეთაური. მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოსათვის მესხეთის მოსახლეობა (სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, ერუშეთი, კლარჯეთი) მთლიანად ქართულია (ბერიძე, 2013: 17).

მალე ჩნდებიან, თუ უკვე გამოჩენილან რჯულისა და ქვეყნის შემცველენი. სარწმუნოების შეცვლა ხომ დიდ შეღავათებს ჰპირდებოდა თავიდან ყველას. რენეგატობა მალალ საზოგადოებრივ წრეს ახასიათებდა ოდითგანვე. ეს პროცესი შესანიშნავად ჩანს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით.

სარწმუნოებრივი სხვაობა უკვე გარკვეულ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას ქმნიდა ქართველებს შორის. ამას ემატება ისიც, რომ გამაჰმადიანდებოდნენ „წარჩინებულნი“, ხოლო გლეხობა ქრისტიანი იყო. კლასობრივ წინააღმდეგობას დაემატა სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა და გაღრმავდა მტრობა. მისაბამ საქმედ თანდათანობით არაქართველობა იქცა, მაგრამ ეს პროცესი ადვილი, უცებ დასამთავრებელი არ იყო და ასე უკვე შერყეულმა სულმა მოატანა მე-19 საუკუნემდე (ბერიძე, 2013: 17).

მე-19 საუკუნე იყო ერთი მხრივ მესხეთის ხსნის საუკუნე. ასრულდა დედა საქართველოს დიდი ხნის ოცნება, დაუბრუნდა მისი უძველესი და დანინაურებული კუთხე. მაგრამ... მოხდა სხვა რამეც. მე-19 საუკუნეში ქართველები სამი ძირითადი რელიგიის მიმდევრები იყვნენ: მართმადიდებლობის, კათოლიკობისა და მაჰმადიანობის. დაპირისპირებულობა ღრმავდებოდა. განსაკუთრებით მძლავრობდა მაჰმადიანობა. „უფრო გაცხოველდა მუსლიმანური ეკლესიის საქმიანობა, რომლისთვისაც სასულიერო მოძღვრებას, მოღვს სპეციალურად ანატოლიიდან ინვესტდნენ. საბოლოოდ ამაჰმადიანებდნენ ხალხს და მედრესეების ფართო ქსელში გამუდმებითა და გამალებით ასწავლიდნენ ადგილობრივ ახალგაზრდობას თურქულ ენას... ე. ი. ის, რაც ვერ გაკეთდა თურქთა 200-წლიანი ბატონობის დროს, სამწუხაროდ, ახლა, XIX

საუკუნეში, ე. ი. შემოერთების შემდეგ სრულდებოდა. ქართველი/გაჰმადიანები საბოლოოდ „თათრდებონენ“. საოცრება ხდება მე-19 საუკუნის საქართველოში. ქართველად მხოლოდ მართმადიდებელი ქრისტიანი ითვლება. სარწმუნოებას და ეროვნებას ვერ არჩევენო მეფის რუსეთის მოხელეები ვერ იტყვი. ცალ-ცალკე არის აღწერილი სომეხი კათოლიკენი და გრიგორიანები, მაჰმადიანები, სუნიტები და სხვა. ქართველები კი რატომღაც მხოლოდ მართმადიდებლებად არიან წარმოდგენილი. სარწმუნოებისა და ეროვნების ასეთმა დაპირისპირებამ გამოიწვია ქართველებში წინააღმდეგობის გაღრმავება, მტრად გადაკიდება. ქართველი, როგორც კი სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, უპირისპირდებოდა მართმადიდებელ თანამემამულეს არა მხოლოდ სარწმუნოებრივად, არამედ ეროვნულად (ბერიძე, 2013: 18).

1893 წელს გამოვიდა ამიერკავკასიის მოსახლეობის სტატისტიკური დავთარი 1886 წლის მონაცემების მიხედვით.

ეს დოკუმენტი იმითაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ მასში აღრიცხულია კომლების რაოდენობა, ცალ-ცალკეა აღწერილი ქალები და მამაკაცები. მითითებულია ეროვნება, სარწმუნოება...

1893 წლის დოკუმენტის მიხედვით, ჯერ კიდევ არ არის სარწმუნოება გადამწყვეტი და მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ქართველებად აღიწერება (ბერიძე, 2013: 24).

ზემოთ დასახელებული დოკუმენტის მიხედვით ქართველები, რომლებიც მაჰმადიანები არიან, შეუყვანიათ სარწმუნოების მიხედვით „სხვა სარწმუნოების“ გრაფაში, რადგანაც ისინი აღარ იყვნენ მართმადიდებლები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან „თათრები“.

ნაწილი მესხეთის ქართველობისა ადრე გამუსლიმანდა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო გზისპირა ცენტრებს, შედარებით ოსმალეთთან ახლო მდებარე პროვინციებს. მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე რენეგატი ფეოდალების პირად ინიციატივას. ხშირად ისინიც აჩქარებდნენ კუთვნილ მამულში მცხოვრებთა გამაჰმადიანება - „გათათრებას“ (ბერიძე, 2013: 24-25).

წარმოვადგენთ განსახლებისდროინდელ სურათს ასპინძის რაიონში. ზემოთ დასახელებული 1893 წლის დოკუმენტის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, ნაწილი მაჰმადიანი ქართველებისა ჯერ კიდევ ქართველებია, ნაწილი კი, დანარჩენი გამაჰმადიანებული ქართველებისა, შეტანილია გრაფაში „Татары“. ამავე გრაფაში მოქცეულია თარაქმები, რადგან ისინი ცალკე არ გაუმიჯნავთ. ქურთები აღწერილია მირაშხანსა და ნაქალაქეებში.

ასპინძის რაიონში 1944 წლისათვის, ე. ი. მაშინ, როდესაც მაჰმადიანები გადაასახლეს, მაჰმადიანთა შემდეგი ეთნიკური სახე შეიძლება წარმოვიდგინოთ. უკვე აღარც ზემო და ქვემო ოშორის, აღარც ხერთვისის და შვიდრევანტის მოსახლეობა ქართველად აღარ ითვლება, განსხვავებით ზემოთ დასახელებული 1893 წლის გამოცემისაგან. ისინიც შეუერთდნენ ადრე გამაჰმადიანებულ ქართველებს და იწოდებიან ერთი საერთო ტერმინით „იერლი“. იერლი ადგილობრივი მნიშვნელობით მიჯნავდა ქართველ მაჰმადიანს სხვა დანარჩენებისაგან (ბერიძე, 2013: 25).

1829 წლის შემდეგ, როცა სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთიდან სომხები გადმოდინა საცხოვრებლად, როგორც ა. ფრონელი არნიშნავს, „გამაჰმადიანებული ჯავახობა ოსმალეთში გადაიხვეწა და დაცარიელდა ჯავახეთი მკვიდრისაგან“.

როგორც ცნობილია, 1829-1831 წლებში სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან 25 ათასი სომეხი ჩამოსახლდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით რუსეთს შემოუერთდა ძველი ქართული პროვინციები სამცხე და ჯავახეთი. თურქეთში მცხოვრებმა სომხებმა ომში რუსეთს დაუჭირეს მხარი, მაგრამ ზავის შედეგად ის ადგილები, სადაც სომხები ცხოვრობდნენ თურქებს დარჩათ. სომხები სამაგიეროს გადახდის შიშით თურქეთიდან დიდი რაოდენობით გადმოიხვეწნენ სამხრეთ საქართველოში. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ კუთხის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. ამას ნათლად გვიჩვენებს სტატისტიკური მონაცემებიც. კერძოდ, 1800 წელს საქართველოში 47 ათასი კაცი სომეხი ცხოვრობდა. 1832 წელს, მათმა რაოდენობამ საქართველოში 84 ათასი კაცი შეადგინა. ამავე პე-

რიოდში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 37 ათასიდან 65 ათასამდე, ანუ 75 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობის ზრდამ მხოლოდ 10 პროცენტი შეადგინა. ეს მონაცემები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი რაოდენობით ხდება სომხების საქართველოში გადმოსახლება. ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით შემდგომ წლებშიც გაგრძელდა (სილაგაძე, თოთაძე, 2002: 35).

1897 წლის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. კერძოდ, 1897-1914 წლებში მისი მოსახლეობა 60 ათასი კაცით გაიზარდა. იმის შედეგად მოხდა, რომ 1897-1902 წლებში საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსახლდა 55 ათასი სომეხი, რომლებიც უმთავრესად სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დასახლდნენ. ასევე, 1915 წელს თურქეთში სომხების მიმართ ცნობილი მოვლენების შემდეგ, ბევრმა სომეხმა თავი საქართველოს შეაფარა.

XX საუკუნეში მოსახლეობის აღწერა საქართველოში პირველად 1926 წელს ჩატარდა. ამ წელს სამცხე-ჯავახეთში 175,9 ათასი კაცი ცხოვრობდა. მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ (41,7 პროცენტი). მათი დიდი უმეტესობა 57,8 ათასი კაცი ჯავახეთში, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა - 15,6 ათასი - სამცხეში ცხოვრობდა (სილაგაძე, თოთაძე, 2002: 36).

სამცხეში მცხოვრები მაჰმადიანების ქართული წარმომავლობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვანდის ცნობილი მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც 1930-ან წლების დასაწყისში იმოგზაურა ამ კუთხეში. ამის ნათესლაცოფად მოვიტანოთ რამდენიმე ჩანაწერი მისი მოგზაურობიდან. როგორც იგი აღნიშნავს, ამ პერიოდში სამცხის სოფლებში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები. კერძოდ, „ასპინძას სახლობს 130 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ“ (სილაგაძე, თოთაძე, 2002: 39).

თავისი ისტორიითა და მოსახლეობით ასპინძა, დაბა (მუნიციპალიტეტის ცენტრი) გამორჩეულ ლინგვისტურ ინტერესს იწვევს.

ფონეტიკური პროცესები
ბგერათა დაკარგვა
თანხმოვანთა დაკარგვა



ბგერათა დაკარგვა ჰქვია ისეთ მოვლენას, როცა მოსალოდნელი ბგერა სრულებით აღარ მოიპოვება არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილას გადასმული და არც სხვა ბგერით შენაცვლებული. მაგალითად, უნდა გვექონდეს „მამის-და“, მაგრამ გვაქვს „მამიდა“, სადაც დაკარგულია ბგერა **ს**. „დეიდა-ში“ კი ორი ბგერაა დაკარგული; **დ** და **ს**, რადგანაც იგი ამ ფორმისგანაა მიღებული: „დე(დ)ი(ს)-და“ (შანიძე, 1980: 24).

ბგერის დაკარგვის მთავარი მიზეზია რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრა. ერთი და იგივე ბგერა შეიძლება ერთ შემთხვევაში დაიკარგოს, სხვა შემთხვევაში კი ჩაემატოს. ამ მხრივ ჯავახური მისდევს ქართლურს (ბერიძე, 1988: 38).

ბგერათა დაკარგვის მეტი წილი შემთხვევები დაკავშირებულია უმთავრესად თავკიდურ, აგრეთვე ბოლოკიდურ მარცვალში თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივებასთან, რაც ხშირი მოვლენაა სხვა დიალექტებშიც და, საერთოდ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში. ჯავახურში იკარგება უმთავრესად **რ, ლ, მ**, მელერი ხშული **გ, დ**, ყრუ ფშვინვიერი სპირანტი **ს**. რაც შეეხება ვ-ს, მისი გაუჩინარების ბუნებრივი ადგილია ლაბიალური ხმოვნების წინა პოზიცია (მარტიროსოვი, 1984: 38).

ვინი იკარგვის არა მარტო მაშინ, როცა იგი პირის ნიშანია და პირის ნიშნად მოსალოდნელია სასხვისო ქცევის უ ხმოვნით დაწყებულ ზმნებში, არამედ **ო, უ** და **ე** ხმოვნებთან მეზობლობაში და რიგ სხვა შემთხვევაშიც (ბერიძე, 1988:40-41).

ვინის დაკარგვის ფაქტები დასტურდება **ერკოტელთა მეტყველებაში**: „ზეით“; „ზეიდან მინურზე მალლიდან გვექონდა გაკეთებული ისა, ერდოებს ვეძახდით“; „ზეიდანაც თავისნაირი არი დამხობილი“; „ცეცხლს ქვეიდან მივცენდით“; „იქვე ქვეით ცხოვრობდა მეზობელი, სათუთ ბაბოს ვეძახდით“; „თითონ ფორმა“.

ვ არ ჩანს აგრეთვე თანხმოვნებს შორის, უმთავრესად სონორებთან მეზობლობაში: **ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „დამკრელები უკრავენ“; „რაც შემხდებოდა, ვაკეთენდი სჭმელს“.



ვინის დაკარგვის მსგავსი შემთხვევები გვხვდება, აგრეთვე დაბა ასპინძაში მცხოვრებ **ხიზაბავრელთა მეტყველებაში**, მათგან ერთად: „სხვათაშორის ბუნებრივი ის გეგონებოდა **თითონ** ბუნებრივ ფერს ღებულობდა“; „**მე თითონ** ვქსოვდი“; „ხოდა, მაგითი **ვალვიებდით** ლამაზად და ერთი რო ამოვიდოდა, კიდე მეორეთ **ჩაურევდით**, რო უფრო უკეთესი ნაზუქი გამოსულიყო“; „ლამაზათ, **ფქილს** ამოუკითენდით ცოტა სქელი მოსულიყო, რო ჩურჩხელა დაეკავებინა“; „ხო გადმოვიღებდით იმას, **გავაციებდით** ლამაზათ, იმის წვენი ხო ქვონდა შენახული“; „**აი ჯარა** ხო იცი რა არი? რო **ირთება**, რო ართებენ ნართსა, ჯარა ტრიალებდა“; „იდაყვას ეძახიან საძოვრების **ზეით**“; „**თექსმეტი** კილო, თექსმეტი კილო იყო ერთ ფუთში“; „**თითონ** ხიზაბარის ტერიტორიაზეც ვთიბავდით“; „სკოლაში შევედი, ესე იგი, ათას ცხრაას ოზდა **თექსმეტ** წელში, ექვსი წლისა“; „**ზეით** ზეიმობენ ხიზაბავრელები“; „ჰო, სულ ხალიჩები გააკრეს ერთიან, ზევიდან, **ქვეიდან** და ისე მოაწყეს თითქოს დონ კულტურა იყო სულ“.

ვინის დაკარგვის მსგავსი მაგალითები დადასტურდა აგრეთვე დაბა ასპინძაში გადმოსახლებულ **იმერელთა მეტყველებაშიც**: „**ბავშვობა** ყველა კარგია, **გაჭირებაც** და გოუჭირვება“; „**ბაზარში** **მაგზანიდა** ხოლმე“; „სუყველას ვეუბნევი, გოგო, არ იცი **გაჭირებაში** ძროხა რა არი“; „**თუ ვიმუშაებდი** ერთი წელი, საექიმოზე უნდა ჩამებარებინა“; „ნახევარ სახში **თითონ** და თვისი მუნჯი მოჯამაგარე იყო“; „ზევიდან ღომს ჩამოკიდებდა, **ქვეიდან** ამ კეცებს“; „**მე უთხარი** წიგნი არ მქონდა და რითი ვისწავლიდი მეთქი“; „ვიცოდი, მარა **თითონ** ფიზიკის არსში კი არ ვიყავი, ზეპირათ ვყვებოდი“; „ისე ხაჭაპურსაც **ზეიდან** კვერცხს უკეთებდა“; „**ღვთისმშობლობა** იცოდა დედაჩემის **ნათესაებმა**“; „**თერჯოლის** რაიონს იქით **ზეით** მთიანი ადგილია“; „ცოტა სოდა ჩაყრი და გაფუფვებოდა ეხლა ცომი **თითონ**“; „ქათამს რო დაკლავდი და დაფუფქავდი, ამოიღებდი, **გაასუფთაებდი**“; „**მინური** იყო **ზეიდან** მინით იყო დახურული“; „იმდენი ჩამამამიყვა წერილები **გაუგზანე** აქედან ბიჭებს“.

გავრცელებულია **მანის** დაკარგვა. მანი იკარგვის განსაკუთრებით სიტყვის თავში: არსებითსა და ზედსართავს სახელებში,

ზოგჯერ ზმნიზედებშიც. ხშირია მიმლეობის მანის დაკარგვის შემთხვევებიც სახელებსა და ზმნიზედებში (ბერიძე, 1988: 40).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „როგორც ძაფი დაიხვიო, ასე **სხვილი**“; „**სუქანი** კაცი იყო“; „თეთრი იყო, **ტრედას** ვეძახდით“; „სულ ისევე დარჩა **თავრობას** დარჩა, **თავრობამ** ისაქნა“; „ნიგნებიც რა **სუბუქი** იყო, ეხლა რო არი ძიმე ტყვიასავით“; „**დიდრები** ყოფილა დედაჩემის ოჯახი“; „ასე **რგვალი** პურები, გახვრეტილი პურები“; „კი, **ზითები** მოქონდა, აბა?“; „რო დაჯექო, რო **ძიმეთო**, რო ისა წელნადი მდიდარი იყვესო“; „ძალღი **გელს** არ უშვენდა, ცხვარში არ შეუშვანს“; „**თელი** დღე ხევშიც უნდა ვყოფილიყავით, აი, იმ წყალთან“; „**გახდარა** ჩვიდმეტი წლისა“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „რა ვიცი ესეთ რალაცეებს აკეთბდა ხოლმე და **თელი** რაიონი მერე მაგაზე ლაპარაკობნენ, იცინოდნენ ხოლმე“; „ჩამოვიდოდით **თელი** მოსწავლეები, **მევეგებებოდით** ერთი მასწავლებელი გვყავდა ისეთი ლოზუნგები იცოდა“; „**რგვალი** მორებით გაკეთდებოდა ესე ალმაცერათა და იზრდებოდა მალლა“; „ლავამ პურს **ხოლოთ** შუაში გახვრეტილივით იყო, ასე პატარა **რგვალივით** იყო“; „მატყლსა? მატყლი ზოგი **თავრობას** აბარებდა, ზოგი ქსოვდნენ“; „**ჭადი** შეიძლებდა გამომცხვარიყო“; „დავდიოდა **წყემსათ**, მე კრავში დავდიოდი, მამაჩემი ცხვარში“.

მსგავსი დასტურდება **იმერელთა მეტყველებაშიც**: „**ჭადი** და ღომი უაცილებლი“; „**თელი** ცხოვრება არ დამავიწყდება“; „ვინერდით **დიდრებისაგან**“; „მერე ყურძნის ჩაბარება იყო **თავრობაში**“; „ჩვენი ხალხი არავინ არ დაგვიძახნია, რო არ გეიგოს **თავრობამ**“; „ვისაც არ ქონდა მარტო **ჭადს** ჭამდა“.

მ არ გვაქვს სიტყვის ფუძეში. იგი ხშირად მოკვეცილია აგრეთვე კავშირებსა და ნაწილაკებში (მარტიროსოვი, 1984: 40).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „**იმიტო** უძახდნენ“; „მერე ამას რო ვლენავდით“; „პურებს რო ჰყრიდნენ რამხელა პური ნაწილდებოდა იმითი კმაყოფილი ვიყავით“; „რო შუქი ჩამოსულიყო“; „მერე აქ რო ჩამოვსახლდით“; „იყო, სუფთათ იყო **იმიტო** რო“; „მერე ის დამკრელები მეტს

ახდევინებდნენ ქორწილის პატრონს ი ფულ თუ არ მიცემდნენ/
პატარძალი რო ცეკვავდა“.



ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „შემდეგ რო დამთავრდაო ეს ყველაფერიო ძალიან მტკივნეულად იხსენებდნენ“; „იმიტომაც რო შებრალება არ ქონდათ ბავშვების და ქალებისო, რო ყველაზე ერთნაირად ნადირობდნენო“; „**რატო** მოდიოდნენ იქ სამხედროები, **რატო** იყვნენ ეხლაც ველარ ვიგონებ“.

მსგავსი დასტურდება **იმერელთა მეტყველებაშიც**: „დარი რო გამოვიდოდა მეორე დღეს წვიმდა სახში კიდე“; „აქ პარკში რო წურავენ, ისე კი არა“; „**იმიტორო** ზეთოვანია“; „აი, საშუალოს რო დაამთავრებდი“.

მანის დაკარგვის შესახებ ვ. თოფურია შენიშნავს, რომ -ელ, -ალ, -ავ და -არ-ზე დაბოლოებულ სახელებთან მოსალოდნელია მანის დაკარგვასთან კი არ გვქონდეს საქმე, არამედ ქართველური ენების გაყოფამდელი ვითარება შეიძლება იყოს შენარჩუნებული დიალექტებში. ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: მკლავი, მხალი, მგელი.... მიმღობათა მანის ანალოგიით ჯერ გასჩენიათ და მერე დაუკარგავთ (ბერიძე, 1988: 40).

სანის დაკარგვა. ამ ბგერის დაკარგვა დასტურდება სხვა კილოებშიც (კერძოდ ქართლურში, მესხურსა და კახურში). სანი იკარგება **სტ** კომპლექსში: ტამბოლი, ტაფილო, ტალინი.... მარტივდება **სწ** კომპლექსშიც: წორეთ, წრაფად, წავლაში... მარტივდება **სპ**: პილენძი, პილო, პეცია... სანი იკარგება მაშინაც, როცა მსაზღველი მართულია (ნათ. ბრუნვაშია) და წინ უსწრებს საზღვრულს, მაგრამ განსაკუთრებით არ ჩანს იგი მაშინ, როცა მსაზღვრელ-საზღვრული კომპოზიცია და სწრაფვა აქვს კომპოზიტობისკენ (ბერიძე, 1988: 38).

მოყვანილი მაგალითები და პროცესები არ დასტურდება დღევანდელი ჩვენი მასალის მიხედვით.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი არ ახლავს პრე-პოზიციულ მსაზღვრელს, იქნება ის თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი (ფუძეკვეცადი). ასეთ პირობებში, განსაკუთრებით ფუძეთანხმოვნთან, იქმნება ერთგვარი წინა პირობა

მსაზღვრელ-საზღვრულის გაკომპოზიტებისა (მარტიროსოვი, 1984: 41).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ფერმი გამგე იყო“; „სკოლი ყანებში“; „მერცხლი ბუდურები იყო მაღალი“; „საშუალო სკოლი დირექტორი“; „ისიც იყო განათლები განყოფილები გამგის მოადგილე“; „ღორი ერბოს“; „ჯგორი საკიდ ვეძახით“; „ცხვრი ყველსაც ვაკეთებდით მაშინ, ჩეჩილსაც და ძროხი ყველსაც“; „ერკოტაშია, ერკოტი თავზეა“; „სადილი კოვზს ესე მოვუჭერდი ცომს, ამოიბურცლებოდა, ეხლაც ვაკეთამ ხოლმე“; „გზი ქვემოდან გექონდა მინის ნაკვეთი“; „ეს პაპაჩემი დროინდელია“; „სილამაზი გულისთვის“; „სოფლი ბოლოდან“; „ოთხი კლასი გამგე მასწავლებლად ვმუშაობდი“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ცომი პურებს შევინახებდით და იმაში ჩაურევდით“; „ქერი პურს მაგარი ხდებოდა, ესე იგი ორი დღის მერეც მაგრდებოდა და კარტოფილში ურევდით ცომს“; „რო გასვენები დროს ყოფნიდათ ხოლმე“; „ერბო არა, ღორი ქონით უფრო მეტათა“; „ბატი ხინკალს ძვლიანად ვჭრიდით, ვაკეთებდით იმას ცომში, რაგორც ჩვეულებროვ ხინკალს, ისე ვაკეთებდით“; „ცხვრი ყველში უფრო ბევრი ცხიმი აქ, ვიდერ საქონლისაში“; „წინა ხარებზე მე ვიჯექი და გუთნი დედა იმას ხნავდა ყანებს ხოლმე“; „აიი, როგორც ხი ფიცრისა გააკეთო, კუმეტკები რა?“.

იმერულში არ დადასტურდა სანის დაკარგვის მსგავსი პროცესი.

ასეთივე ვითარება გვაქვს ჩვენებით, უკუქცევით ნაცვალსახელებთან და ნათესაობითში დასმოულ საზოგადო სახელებთან, რომელთაც დაერთვის სათანადო თანდებული.

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „იმი ქვემ მერე ჩაინგრა“; „თავი გოგოს უძახის“; „ბაღშია ამი გოგო წასული“; „ამი გულისთვის გააუქმეს“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „რა ვიცი მაგი ტექნოლოგიას ვერ გეტყვით“; „ავდექი და მაგი კურსებზე შევიტანე თბილიში“; „თბილიში ნავიდნენ და გავყიდეთ, ეს ყველაფერი გაყიდეს“; „შეუნყო ხელი და აყიდინა ოთახი თბილიში, სახლი აყიდინა“; „მეოთხე წელსაც ჩვაბარე ქუთაიში“.

იმერულთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ამ
ორს რო მიცა სამსახური და გაუშვა კაბინეტიდან შენ დარჩილ“
„მითხრა, ახლა მეორე დაჭირდება, ახლა მესამეს და ასე“.

შეუდარებლად უფრო ხშირია შემთხვევები მიცემითი ბრუნვის
-ს ნიშნის მოკვეცისა. იგი იკარგება ბოლოთანხმოვნიან სახე-
ლებთან განურჩევლად იმისა, თუ წინადადების რომელი წევრია
(პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, ადგილის გარემოება და
სხვ.). ასეთი სახელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს შემასმენელს, მაგ-
რამ იშვიათად მის შემდგომაც შეიძლება შეგვხვდეს (მარტირო-
სოვი, 1984: 41).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„იქაც ალაგებდა დედაჩემი ლოგინ, აქეთაც“; „პურებ გამოაც-
ხოზდნენ“; „წინდებ ვქსოვდი ეხლაც ვქსოვ“; „მჭად რამეს ვაც-
ხოზდით“; „ბუშტულებ არ უძახით ეხლა?“; „ლულა ქაბაბ აკეთებდ-
ნენ“; „იმ გვირაბებ კი მოვესწარი“; „სახვ მოუნწვენდნენ“; „ცომიან
საჭმელ ხინკალ ვაკეთენდი“; „ერთი პორცია თორმეტ უშვრებო-
დით“; „ნამცხვარ ვაცხოზდით“; „სიგარეტებ ვაცხოზდით ფურნეში,
რულეტებ ვაცხოზდით“; „უფრო თათრულ მღეროდნენ“; „საბან
ვუკერავდით“; „საჭმელ რამეს აკეთებდნენ ზაფხულში“; „არც პურ
მაჭმევდა“; „თათრებ გაქცეოდნენ რო არ დეეხოცათ“; „კაი
საჭმლებ გააკეთამდნენ დაა ჰა აეგ იყო ახალი წელია“; „ყველ დავ-
დგენდით ცეცხლზე“.

ხიზაბავრულთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„მარანს ეძახდნენ, ეხლა პურ რამეს გამოაცხოზდნენ ხოლმე“;
„პურიც იქ ქონდათ, ხორბალ რამე რაც მიიღებდნენ კოლმეურ-
ნეობიდანა, ამბარი ქონდა ამბარში ჩაყრიდნენ“; „შემოდგომითა,
აი, ბატკნებ გაპარსავდნენ ხოლმე, გაიგე?“ „ყიდულობდნენ ბრინჯ
რამესა და გვიკეთებდნენ, კაცო“; „შეშა დიენყოთ, ცეცხლი მიეცა
და ქალ პური გემიეცხო“; „მე ნარდ ვთამაშობდი იმასთან ერთათა“;
„მარტო ზეთ მოასახვდნენ იმასა და ყათმარ ქადასა, იმას გულს არ
უკეთებდნენ“; „დედოფლეთი, რა ვიცი, მაგის ისეთ სახელია
ვერაფერ გეტყვი“; „მერე რაღაცას უზამდნენ მწვანილებ რამეებ და
კარტოფილის შეჭამადი“; „ზემოდან მოუსმევდით კვერცხ ლამაზათ,
რო კაი დაბრანილი ნაზუქები გამოსულიყო“; „გრძელი ჩეჩილა
ყველს ამოვიყვანდით, ისეთებ რო გასწევდი გაინელებოდა“;

„ალარაფერ დედა, ალარაფერ“; „ნისქვილებ ვეძახდით, იქ ქვონდა ჩვენ, დიდი ბალი“; „**მამაჩემ** ნისქვილი ქონდა, იქა ნისქვის ატრიალებდა“; „**გარეცხილ, გაკრიალებულ** ჩაყრიდნენ, ლამაზათ, მერე ამოიღებდნენ, გაანიავებდნენ“; „ზოგი რა ვიცი **პოლ** გარეცხემდა, ზოგი ჭურჭელს რეცხავდა“; „ორ ნახადს, ორ **ნახად** რო ვეძახით“; „დაულოცავს **არცერთ** არ გაუშვებდა“; „ხოო, **ხმელ** გაახმებ, ისედაც ნედლსაც ვსვაავ მე“; „ტერასები რაც იყო მანდა **ხიზაბავრელებ** ქონდათ, იმისთანა ყურძენი მოსდიოდათ მანდა რო“; „ერთიანი საქართველო იყვეს და **დანარჩენ** ყველაფერს ეშველება რა“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „იმ კეცებზე ვაკეთებდით **ხაჭპურ**“; „ჯაჭვი, **საქონელ** რო ამბავენ რამეს, იმაზე მერე ჩამოკიდებდი“; „სიმღერა ასეთ **რალაცეებ**, რომ პირველ კლაში რო მივიდოდენ, მომზადილი ყოფილიყო“; „მე **სამსახურ** ხო არ დაგკარგავდი“.

სანი გაუჩინარებულია ხმოვანზე გათავებულ მსაზღვრელებთან უფრო მეტად საკუთარსა და ტოპონიმიკურ სახლებში, რაც ხშირი ხმარების შედეგია. საკუთარ სახლებში: **ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „**ბოირალ** უძახდნენ ი ავთანდილა მამას“; „**სტალინი** მერე დაინია, დაინია აღარ უპატრონეს“; „იმის თავზე ეძახდნენ **ინასათიბ**“.

ს სუფიქსი იკარგვის მიცემით ბრუნვაში ბოლოთანხმოვნიან სახელებთან, იქნება ეს მიცემითი შემასმენლის წინ თუ უკან. მაგალითები: „კაც უთხრეს“, გლეს ჯილდა ება“, ამ ქალ უკვირდა“... ჩვენებითი ნაცვალსახელი **ეს, ის** გამარტივებულია **ე, ი-დ**: „ი ქალიშვილმა უთხრა“, „ე ჩიტი დაიჭრა“ (ბერიძე, 1988: 38).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „**ი ბერიძე** პავლეი იყო“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითი: „**ი** პური ყოფნიდათ ხოლმე ერთ კვირას, კვირას, გააჩნია ახლა ოჯახსა“.

სუბიექტური მესამე პირის სუფიქსი **-ს** ზოგჯერ არა ჩანს ისეთ ერთპირიან და ორპირიან ზმნებში, როგორცაა: არის, დგას, აგდებს; მაგ: „**კარგათ არი**“, „**ჩემი არ არი**“, „**ადამიანის სუნი დგა**“, ჩემ სიტყვას არაფრათ არ აგდებ და თავი სიტყვაზე დადის“ (მარტიროსოვი, 1984: 42).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„აქ ხო ბალახი არი ამ, იმ მინაზე“; „ვარნეთში ეკლესია არი“;
„ერკოტის ქვემოთ არი სოფელი“; „ეგ რა არი, სიმინდი ფქვილსა“.

ხიზაზვრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„ისეთი ორნამენტებით არი მოქსოვილი“.

ზრდ კომპლექსი მარტივდება როგორც **რ-ს**, ისე **ზ-ს** დაკარგვით. ერთი მხრით გვაქვს: ახალგაზდა, გაიზდა, მეორე მხრით კი - ახალგარდები, დავაფთხე და სხვა (მარტიროსოვი, 1984: 38).

ერთი მაგალითი დასტურდება **ხიზავრელთა მეტყველებაში**:
„კარგი, ქკვიანი, გაგებული, **ზდილობიანი** ადამიანი, როგორი იქნებოდა სიმპატიური კაცი, ჰო“.

რ-ს მსგავსად, **ლ-ს** დაკარგვაც ზოგჯერ თავმოყრილ თანხმონათა ჯგუფის გამარტივებით არის გამოწვეული, ოღონდ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში. ასეთი შემთხვევები გვაქვს, მაგალითად, მაშინ, როცა არსებითი სახელი და ზოგი სხვაც **-ში** თანდებულს დაირთავს ან კომპოზიტის ნაწილია; მაგ: სახში მივიდა, სახში დაუბარა... მეხში (<მუხლში)... სახ-კარი (შდრ. სახლი, სახლიკაცი, მუხლი) (მარტიროსოვი, 1984: 39).

ერთი მაგალითი დადასტურდა **ერკოტელთა მეტყველებაში**:
„მივიდნენ და უთხრეს შენ, **სახში** რა დაგრჩა“.

ხიზაზვრელთა მეტყველებაში: „ჩვენ **სახში** დანარჩენი იყო ძველი სახლი“; „როგორ, მიწურ **სახში** სიცოცხლე, მიწურ **სახში** ვცხოვრობდი“.

ერთი მაგალითი დასტურდება აგრეთვე **იმერელთა მეტყველებაში**: „ოჯახის დიასახლისი იყო“; „**სახში** პატრონობდა ოჯახს“; „ჩვენ ვიყავით სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახი, ვიყავით, დედაჩემი იყო **სახში**“.

ბოლოკიდური **-ლ** იკარგება სიტყვაში სულ; მაგ.: სუ აგრე დადის, სუ კითხულობდა... (მარტიროსოვი, 1984: 39).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„ეხლა **სუუ** უმუშავრები, ერცახელა საქართველო, დაქუცმაცებული“; „**სუ** შრომადღებზე იღებდნენ ფულს“; „საქმელები **სუ** ნატურალური“;

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „სუ საზღვარგარეთის ის იყო“; „ჩემი ქმარიც ხო წერდა ლექსებსა“ და **სუ** ვკითხულობ ხოლმე“.

მაშინ იკარგვის **ლასი**, როცა თანხმონით დანყებული სუფიქსი ან თანდებული ერთვის მათ. მაგრამ რატომ არ იკარგება სხვა რომელიმე თანხმოვანი და მხოლოდ ლასი? შესაძლებელია იმიტომ, რომ მისი დაკარგვით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ბნელდება (ბერიძე, 1988: 41).

„**უნდა**“ მეშველი ზმნა ისე მარტივდება, რომ ერწყმის წინა სიტყვას (მეტყველების ყველა ნაწილს). მაგალითები: „ამაჰ რამე'ნა (<-რამე უნდა) აუტხო“. „ჩემ ადგილ'ნა (-ადგილას უნდა) იმსახუროვო“... (ბერიძე, 1988: 43).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „**ხელში'ნა** მოხედეს, ის ზემოთ იყო“; „თავი **გემოზე'ნა** ყოფილიყო“; „ძაფი დაძახოს, რო **რალაც'ნა** მოქსოვოს“; „რომელ ოჯახშიც ჩასახლდებოდა, იმის **გვარი'ნა** მიეღო, მარა მამაჩემს არ მიუღია“; „რა **ვეში'ნა** გვექონოდა, რო“; „მესამე დღეს **ბიში'ნა** გამომცხვარიყო“; „**ერბო'ნა** ზევიდან მოასხა“; „**დროუი'ნა** უყო, რო გაღვივდეს“; „რო არ ვიცოდე **რა'ნა** მეთქვა“; „**ბნელაში'ნა** შეგველო, ისე'ნა გამოსულიყავი“; „რო ჩამოვსულვარ ველარ ავდიოდი ფეხით, **ან'ნა** დავრჩენილიყავი ან ისეთი თოვლი მოდიოდა ჰოო და იმიტომ ჩამოგვასახლეს ჩვენც აქა“; „ხოო უფრო **მეტი'ნა** მოეცათ“; „ორი სამი პირი **უნა** გამომცხვარიყო, სომინი ბოლოს ცხვებოდა, აჰა“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „რო ჩავყრიდით ხინკალი **უნა** გაკეთბულიყო“; „ეს თაფლის ჩარჩოები **უნა** ჩაედოთ შიგა და გამოიწურებოდა იმაში“; „მერე იმას დაამთავრებდნენ **უნა** ევაშხმათ და ის უკვე გვიანი იყო ხოლმე, მაგრამ მაინც“; „მოსახარში ხო და ლამაზათ რო ჩაიშუშება იმას **უნა** ჩაუდო ერბო“; „**უნა** ებანებინათ და გეეპარსათ“; „რო **უნა** გავსულიყავი სანახავად“; „ანყობილს **ჩაასხა'ნა** წყალი, რამდენი ის იქნება, გუნდა ცომი, იმდენი კრუშკა წყალი უნდა ჩაასხა“; „ყველის ხინკალი უნდა ის გვექნა, **ერბო'ნა** მოგვეწვა, მოგვეშუშა ლამაზათ, წმინდა ერობში“; „**მოხარშო'ნა**, შეწვა და ჭამო ლამაზათ“; „სამხედრო მასწავლებელი იყო **უკვე'ნა** ჩამოსულიყო და ჰა 25 წელიწადი ელოდა შეყვარებული“; „ხო, ცხრა კლასი დავამთავრე შემოგველე,

მეთეში'ნა მივსულიყავი და არ მიველი"; „ჯერ ნიშნობა'ნა
გაცვლილიყო და შემდეგ უნდა დაეთქვათ ქორნილი"; „იქ რი
კარტოფილები დაგეთოხნა არა, ჯოხი'ნა გაეყარა, ნახო რო, ეს
ნათოხნია თუ არაო?" „რა'ნა ქვონდეს"; „რამდენი გუნდაც იყო
იმდენი კრუშკა ნყალი'ნა დეგესხა"; „ესე იგი შე'ნა დეგემუშავებინა
შენი მინა"; „ყველაფერს აკეთებდნენ, ნამცხვარი გინდა წმინდა
ერბოში'ნა გეეკეთებინათ"; „რო შერეკავ ბოსელში, რო სითბო,
გრილათ იყოს'ნა გაიკნაჭოს ცხვარი, რო გრილათ იყოს"; „ერთ
ხალიჩაზე მიდიოდა, რვა კილო მატყლი'ნა წასულიყო"; „კოლექ-
ტივი აღარ გვაბალახებინამს მონდორში და კოლექტივიშ'ნა შევი-
დეთ"; „რომ აფეთქონ ეს კლდე, რო რკინიგზა'ნა გააკეთონ, ააფე-
თქეს"; „ჰოო და განანილებით ტყვარჩელში'ნა გევეშვი შახტაში";
„თხრიდნენ ამასა ორმოდან ხო'ნა ამოიღო მინა"; „აჭარიდან
ჩამოვიდა, ხულოდან კაცი, აბა ჩვენთან'ნა წაგიყვანოო მითხრა";
„სექტემბერში სამუშაოთ'ნა გამოვცხადებულიყავით"; „ქადა
გულიანი'ნა ყოფილიყო"; „დასთვევდნენ, რომ რა დღეს, რომელ
დღეს'ნა დაუთქვათ ქორნილი"; „რო მოსწონებოდა თითონ
ისეთი'ნა ეყიდა"; „ცეკვები კი კაცო, აბა, გართობა ხო'ნა ყოფი-
ლიყო"; „ორ მანეთიანი, ან'ნა ყოფილიყო ხუთ მანეთიანი“.

იმერლების მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„უნა მოწველო, რძე, თბილი უნდა იყოს რძე"; „მოგეთხოვებოდა,
უნა გემუშავა კოლმეურნეობაში დღე და ღამე"; „კინო კამერა
ერქვა, სადაც აპარატი უნდა დამდგარიყო, იქიდან უნა ეჩვენებინა
კინო"; „ერთი მესამედი უნა გაურეო სიმინდის ფქვილიში"; „წესით
შვიდი სადღეგრძელო უნა ეთქვაო გასვენების და ქორნილში";
„დანა უნა დეერტყა"; „აი ვისაც ბარბალობას მეკვლე ეყოლებოდა,
ის უნა ყოფილიყო ახალ წელსაც მეკვლე"; „არაყს რო ხდიან
ხოლმე სპილენძის ქვაბი უნა ყოფილიყო"; „თუ არადა ძალათი უნა
წვეიყვანოთო"; „პიონერები უნა აგვეყვანა კომკავშირში, შეგვე-
ყვანა კომკავშირში, უნა გამხდარიყო წლოვანებით ესე უწევდათ“.

ნ-ის დაკარგვის შემთხვევები:

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„საბადურში ცოტა ბოლოს და ბოლოს დათვები გამრავლდენ";
„მოადულებდნენ, ეხლა რო მანიქაშას აკეთებენ, მაშინ ხო არ იყო,
იმას გააკეთებდენ და ღამაზათ მიირთმევდენ"; „ხოო, იმიტო რო

ერბოს ხმარბდენ და გემრიელი იყო“; „შემღებავი მოდიოდა /
ლებავდენ სხვადასხვა ფერზე და მომქსოვიც სხვა იყო“.

ეროვნული
მემორიალი

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „განსაკუთრებით მტკივნეულად მახსოვს ხიზაბავრაში, რო თათრები შემოესივენ“; „იმ ბუხარს იქ გავაყოფიებდით თავსა ლამაზათ და ვთბებოდით“; „ყველაფერი იცოდნენ სტუმრად რო მოდიოდნენ, ვათენებებდითო ლამესო“; „გაიყარენ და წავიდნენ, გადასახლდნენ“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ვინ შეგანახვიებდა უნდა შეგეჭამა ან გაგეყიდა“; „ქალის მოვალეობა იყო ოჯახი დაესუფთავებია“; „ოჯახის რჩენა, ძირითადათ ყველა შემოსავალი, კაცს უნდა გაეკეთებია“; „ის უზუმიჩაირი რო დაგანერიე შენ, მე ვიყავი თავჯდომარე იქა“; „მიცვალებული უნდა გაესვენებიათ და მერე დაჯდებოდა პურის საქმელათ“; „სკოლაში სასწავლო-სააღმზღელო მუშაობა უნა მოგენსრიგებია“; „სადაც კინოს უყურებდენ, იმავე კლუბში“; „ომის დროს, პურს მარტო ჩხეიძეები ჭამდენ“; „ასე ბალკონი ქონდათ, ფარდებს გაფენდენ, მოკარნახე ვიყავით მე დ ჩემი და“; „მოიტანთო ექვს ფუთ სიმიდსო“; „ტყვიდან შეშა რათი უნდა მოგვეტანა, ან ყანიდან სიმიდი“; „უდარენიე სამჯერ გაგამეორებია დამავინყდა?“; „დათქვამდენ ნიშნობის დღეს“; „ერთი-ორ ჭიქას დალევდენ“; „კვახს მოხარშავდენ, მერე იმას გამოფხიკავდენ და რძეს დაასხავდენ, ადუღებულ რძეს და ჩვეულებრივ კვახით მიირთმევდენ“; „რო კლავდენ, იმას მაჭიკი ხომ ააქვს და იმას ჩააყენებდენ სამ კილოიანი ბანკებში“; „დაკლავდენ ვილაცას შეთქმული ეყოლებოდა ან ცხვარი ან რალაცა და თემობას უძახოდენ“, „ხოო ეკლესიაზე წავიდოდენ, იქეიფედენ“; „ახალ წელს მორთავდენ ხოლმე, ეზოში დადგავდენ, იმას, პატარა ხეს და ერთობოდენ ბავშვები“; „სახლის წინ მოიტანდენ ნაძვის ხეს და მორთავდენ და თამაშობდენ“; „მშობლების თანხმობით უნა მისულიყვენ ოჯახში, ჯერ მივიდოდენ, დაილაპარაკებდენ, ნიშნის დღეს დათქვავდენ იმ მიშნობაზე, მერე ქორწილის დღეს დათქვავდენ“; „დაიკაპინებდენ შარვლებს და ჩადგებოდა საწნახელში, ასე და წურავდენ ფეხებით“; „ქვევრებში ასხავდენ“; „აი თითქმის ჩვენ წესზე გადმევიდენ ერთი პერიოდი“;



მოდიოდა

ბალითები:
რო თათ-
ლაბაზათ
რო მოდიო-
დნენ, გადა-

ლითები: „ვინ
მოვალეობა,
თადათ ყველა
რი რო დაგა-
ზებული უნდა
თ“; „სკოლაში
ბია“; „სადაც
პურს მარტო
ებს გაფენდენ,
ექვს ფუთ სი-
ნიდან სიმილი“;
; „დათქვამდენ
კვასს მოხარ-
ასხავდენ, ადუ-
ენ“; „რო კლავ-
ს სამ კილიანი
ლებოდა ან ცხვა-
ლესიაზე წავიდო-
მე, ეხოში დად-
ები“; „სახლის წინ
აპობდენ“; „მშობ-
ჯერ მივიდოდენ,
მიწნობაზე, მერე
ენ შარვლებს და
ებით“; „ქვევრებში
ენ ერთი პერიოდი“;

„გოჭებს შეწვადენ“; „აქ იყვენ გამოსახლებული“; „თუ იქ არ მიგი-
ლებდენ ნათესავთან მივიდოდით“; „ჭურები ქონდა ჩაასხამდენ
შიდა“; „ღვინოს ხო მონურავდენ სანნახელში“; „მერე სხვა ჭურში
გადილებდენ სუფთა ღვინოს“; „თიხის დოქებში და დალევდენ
ხოლმე“; „იქიფებდენ იმ ოჯახში ვისთანაც ნიშანი უნდა მიეტანა
თავის შვილს“; „ჩუმათ იყო მოსული იჭრდენ, დეიჭრდენ ეშნოდა
კიდე არ დამიჭირონო გასახლებული რო იყო“.

დ-ს დაკარგვა

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალიტები:
„კარგა რო შემაგრდებოდა დავანვევდით“; „კარგა რო განითლ-
დება“; „ესე მოუჭერდი ძირსა, დავედენდი, გული გვაპაქ გაკეთებუ-
ლი ერბოთი, კარგ ბლომ ერბოში უნდა“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში არ დასტურდება დ-ს დაკარგვის შემთხვევები.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალიტები:
„შეეშინდა მამაჩემს და უკან წავიით“; „იმას მერე გამოხდიან, არაყი
გამოის შიგა“; „მტკვარ გაღმა გაით და იქ ააშენეთ სახლებიო“.

მხოლოდ ერთი მაგალითია სამივე უბნის მეტყველებაში,
სადაც იკარგება „ძ“ ეს სიტყვაა „შეიძლება“.

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალიტები:
„შეილება, თუ სლაბია“; „თუ სითბო იყო, იმის შენახვა აღარც
შეილებოდა სითბოში“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალიტები:
„შეილება გამომრჩა, ერთი წუთით, რას ეძახიან იქით“; „გააჩნდა,
შეილება უფრო გრუბი ფერებით რაღაცა“.

იმერელთა მეტყველებაში დასტურდება ერთი მაგალითი:
„ბავშვი რო ვიყავი იქიდან ვმუშაობ, თოხნა, ბარვა რაც შეი-
ლებოდა“.

თ-ს დაკარგვის შემთხვევა დასტურდება მხოლოდ იმერელთა მეტყველებაში:

„მე ვიმუშავე ორმოზდა ხუთმეტი წელი“; „ერთი ქვევით,
უწინდან და შიგნი ოთახები იყო, კაი ოთახები ქვონდა“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დასტურდება თანხმობენების გ-
სა და ტ-ს დაკარგვის თითო მაგალითი: „მე წეტა რა არ მახსოვს,
მარამ რაც ესე იგი 40 წლიდან აღარფერი არ გაკეთებულა“; „აი,

იკარგვის უმეტეს შემთხვევაში ო, უ და ე ხმოვნებთან მეზობლობაში, საერთო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სიტყვა „ქვედან“, რომელიც სამივე უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში დასტურდება.

ასევე დადასტურდა შემთხვევები, როდესაც ბგერის დაკარგვის პროცესი ორ უბანში ერთნაირად მიმდინარეობს, ხოლო მესამე უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში, ის საერთოდ არ გვხვდება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, სანის დაკარგვა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი არ ახლავს პრეპოზიციულ მსაზღვრელს, იქნება ის თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი. სანის დაკარგვის ეს პროცესი ერთნაირად დადასტურდა ერკოტელთა და ხიზაბავრელთა მეტყველებაში, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა იმერელთა მეტყველებაში.

აგრეთვე გვაქვს შემთხვევები, როდესაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ უბანში, ბგერის დაკარგვის მიზეზი ურთიერთგავლენის შედეგია, რაც გამონვეულია ურთიერთ თანაცხოვრების შედეგად. მაგალითად, შეუდარებლად ხშირია შემთხვევები, ხიზაბავრელთა და ერკოტელთა უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის მოკვეცისა, ხოლო იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული, რამდენიმე მაგალითი ამ ორი უბნის გავლენის შედეგი უნდა იყოს. საპირისპიროდ შეგვიძლია ვიფიქროთ, იმერელთა მეტყველების გავლენა ერკოტის უბანზე, მაგალითად ნ-ის დაკარგვის პროცესი ბუნებრივია და მრავლად გვხვდება იმერელთა მეტყველებაში, ხოლო ერკოტის უბნის მეტყველებაში ნ-ს დაკარგვის პროცესი დადასტურდა რვა რესპოდენტიდან მხოლოდ ორში, რაც გვაფიქრებინებს რომ ეს პროცესი გავლენის შედეგია.

d თანხმოვნის დაკარგვის ერთადერთი მაგალითი „შეილება“ დამახასიათებელია სამივე უბნისათვის.

ბგერათა ჩართვა

„ბგერათა დაკარგვის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ჩართვა, ე. ი. ისეთი ბგერის გაჩენა, რომელიც სხვა ფორმების მიხედვით მოსალოდნელი არ არის. მაგალითად, გვაქვს თანდებული ზე (ვთქვათ, ასეთ მაგალითებში: ფეხ-ზე, თავ-ზე, მთა-ზე), რომლისაგანაც წანარმოვებია ზე-ვ-ით. მიუხედავად

იმისა, რომ -ით სუფიქსის დართვა არ მოითხოვს საზოგადოდ ვ ბგერის გაჩენას (მაგ., დან-ით, ფანქრ-ით, კალმ-ით და სხვა.), იგი აქ ჩნდება ე-სა და ი-ს შორის. ასეთსავე ვ-ს განვითარებას აქვს ადგილი ამ შემთხვევაშიც: ა-ქვა-ვ-ებს, ა-ტყვე-ვ-ებს, აჯადო-ვ-ებს და მისთ“ (შანიძე, 1980:28).

„ყურადრებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჯავახურში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნად, ჩვეულებრივ, **ჰ** გვაქვს ყველა რიგის თანხმონის წინ: დაჰცქერისხარ, დაჰდევე, დაჰტოვე... დაჰდევეს, დაჰტოვა, მიჰწერა, ჰცემა.... აღარაფერს ვამბობთ ჰყვირი, ჰპარსავ...ჰფარავს, დაჰპარგავს, მიჰყავს... ტიპის ფორმათა შესახებ. ს->ჰ და ამასთანავე ჰ- პირის ნიშნის შენარჩუნების ფაქტი იმდენად თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი, რომ „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის დროს იგი ჯავახურისათვის... ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ“ (ჯორბენაძე, 1989:384).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:

„შეშას დასჭრიდა, გამოავსებდა ფურნეს, მისცემდა ცეცხლსა, ჩაინვებოდა, მერე **გამოჰგვიდა** ქალი, ფურნეს“, „ამ პატარძალს ზოგი ფულს აძლევდა, ზოგი ბეჭედს გაუკეთებდა ან ძენკვს **დაჰკიდებდა** ან საყურეს გაუკეთებდა“, „აურევ ფქვილში და **ჩაჰყრი** წყალში, ადულებულ წყალში და მერე მაგას მანონი, თუ გაქვს მანონს უზავ, ანდა მაშინ ყურუთს ვეძახდით, ყურუთით ვაკეთებდით“, „მერე ჩაანყობდა, დაამარილებდა, მერე **გაჰკიდავდა** მზეზე და გაახმობდა“, „**ჩამოჰკიდავდა** იყო ადგილი საცივო ოთახში, ხოო და გახმებოდა ლამაზათ, არც გაფუჭდებოდა, არც არაფერი“, „მამაჩემი იტყოდა, ამ სოფელში შვილო დასახლებულა ხუთი კაციო, ხუთი ძმა, თუ ხუთი კაციო და იქიდან ეს ყრათლანი, გიგოლანი, სოსანანი იქიდან წამოჰყვა, წამოჰყვა და მოვიდა“, „დარბაზი, იქ ჰქონდა დედას, ჭურჭელი, დააღეგებდა, **დაჰფილავდა**“, „**გამოჰყრიდა** ესე იგი დედაი და სუყველაც, ცოტა ადრე გამოყრიდნენ, რო ძალიან არ გამხმარიყო და რბილი ყოფილიყო, თან კაი პანტებს ვკრეფდით“, „ერთი რამდენჯერმე შეაპრობდა ამას და **ჩაჰყრიდა** გოდორში და იდგა ის თელი ზამთარი ლამაზათ ვჭამდით ვერთობოდით“, „მაგალითათ მაყრები რო მოდიოდნენ,

ერთმანეთს ღამე **მიჰყანდათ** ათენებდნენ, დილით ისევ ინგრო-
ვებდნენ”, „გობები იყო ხისა, აი ამოდენები, ამ სიგანე, ორი საში
ვედრა რძე ჩავიდოდა შიგა, **დავჰწურავდით** რძეს, ჩავასხემდით
შიგ და დავდგამდით“, „მაგრა უნდა გაგვეტენა ნალბიანი, გავჰტე-
ნიდით, **გავჰტენიდით**, გავჰტენიდით, მაგრამ ისე თავ მოუდგენ-
დით ასე, რო რამდენიმე დღე იქნებოდა ასე, მერე თანდათან
ინევდა, ხო იტკეპნება, ჩავიდოდა, ჩავიდოდა **მოვჰკრამდით**“,
„მერე **ჩავჰყრიდით** მარილიწყალში, რო მარილი იელო“, „**გავჰფენ-
დი** იმ ზაფხული მატყლსა, იმაზე გადავკიდებდი ხეებზე, კეტებზე
მთლიანად გადაკიდე და გაშრება“, „სომინს და კიკილს ვაცხოვდით
ბევრსა, დიდრონი ტაშტები მათქ ხოლმე გამოვაცხოვდით იმით,
ასე და **მივჰყრიდით** და ათ-თხუთმეტ დღეს ვჭამდით“, „ცხელ
ფურნეში ამას ვაცხოვდით და უკვე ბოლოს ხო ნელდება, ცოტა-
ცოტა სომინს **შევჰყრიდით** და იცხოვოდა“, „ხიდან ხეზე
გავჰქანდებოდით ხოლმე, რო გავსულიყავით და **გავჰქანდებოდით**
მეორე ტოტზე დავეკიდებოდით ხოლმე და აასეე ჩამოვდიოდით
ბოლომდე“, „ელიობის ეკლესი არის, ესე იგი, აი, როგორ გითხრა
ჰალბათ აემხელათია ტერიტორია შემოლობილი“, „ჯერ შოთი პუ-
რებს **შევჰყრიდნენ**, მერე იმას და ბოლოს სომინი ცხვებოდა“,
„ჭანჭურს **ჰყრიდნენ** ვისაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ არა“,
„მიჰყვებოდნენ ნელ-ნელა აფხიკავდნენ და ააძრობდნენ, **გაჰკი-
დავდნენ** მალლიდან კეტებზე და ინახავდნენ ზამთარში **შჭამდნენ**“,
“ „ეს ბაზლამები იქვე ტახტი იყო, საქვს ვუძახდით, იქ საქვზევე
გადავჰყარე და გამოვიქეცი“, „დანაყული ხორბალი, დანაყული
იმას გასუფთავებული იმას **ჩავჰყრიდით** და ინარშებოდა იყო კორ-
კოტი“, „**დავჰკლავდით** ღოორს, ბატებს ვკლავდით ღორს ვკლავ-
დით“, „ისეთი ქალი ყოფილა სურათი მქონდა **დავჰკარგე** უნდა
გამედიდებინა და ვთქვიი მქონდეს მეთქი“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:

„დედაჩემი **ჩამოჰკიდავდა** თოკით ვარიას და ათამაშებდა,
მოვიდოდა კარაქი“, ეგ იყო არაყის გამოხდა, ზოგი **ჰყიდავდა**,
ზოგი სახში ხმარობდა“, „მეორედ შემოესიენ და მაშინ უფრო
დაჰხოცეს და ანამეს სოფელში ხალხი“, „დაჟე ბაკურიანში გადა-
დიოდნენ ხოლმე ვირებით და **ჰყიდავდნენ** ხოლმე ცხვრის,
საქონელ ყველს ებოს“, „ჭიმური იყო, ცოტა მოძველებული პური

რო იყო, ერობში ჩაჰყრიდნენ, დაფშვიდნენ და ერობში მოჰყურებდნენ და ჭიმური, ერობანი ფქვილი", „კაი მოზვერი დავჰკალი სამი წლისა, ცხვარი დავჰკალი", „წყალში ჩაჰყრიდნენ ამ პურს გამამცხვარ პურს".

დ, ღ, ს გასჩენია სიტყვებს: ფალევიანი, ღურდლი (საბასთან „ღურდო“ წამხდარი ყურძენია. ჯავახურში კი ღურდლო // ღურდლო გამდარი კარაქის ნარჩენია), გენაცვაჯენ (<გენაცვალე ჯან), აღსზდეგ (აქ ზ, რომელიც შ2 პირის ნიშანი სანია, გაგებულა ფუძისეულად და ხელმეორედ გასჩენია სანი) (გრ. ბერიძე, 1988:46).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:

„სალასავით თასი იყო, იმაზე დასდებდნენ და ინურებოდა, ინურებოდა და რჩებოდა მშრალი, ეს სველი გადიოდა“, „ასე ტრიალებდა ცხელ შრატში, რო გავსწევდით ასე გადიოდა, ასე რო გავსწევდით, მერე ამ ჩეჩილ, აი რამოდენა ამხელაზე გადიოდა“, „ამ ძროხის ჩეჩილსა წმინდა, წმინდა, გავსწევდით, დავიხვევდით ხელზე“, „ამოვავლებდით გავსტენილით და ვსჭამდით, გემო კარგი იყო“, „დროჟი შვრება, ფქვილი შვრება, არ ვიცი, ვერ სჭამა პურსა, ვერ სჭამა“, „რასაც მე ვყვები არ სწერია წიგნში და დანარჩენი ბავშვებო მეთქი წიგნში წაიკითხავთ მეთქი“, „სჭრიდნენ წვრილათ, როგორც ერიშტა, მალაზიაში იყიდება ერიშტები, მერე მაგას რბილ-რბილ შეჰყრიდნენ ფურნეში“, „მოსთიბავდნენ, მოხნავდნენ, დასთესავდნენ, მოიყვანდნენ პურ, შეინახავდნენ სანყობში“, „ეს შრატი თანდათანობით როგორც ყველი წამოვიდეს, ისე წამოვიდოდა ჩასწურავდნენ ჩვეულებრივით და მიიღებდნენ დოს“, „ჭელი, ყანას რო მოსთიბავს, ცელს რო მოუსვავ და გავხალ ბოლოში“, „მაგალითათ, რო გამოვაცხოვდით, ერთ კვირამდი ვსჭამდით პურსა“, „ერბოს დასწვამდა იქაც ხოო და, იმას იზავდა ჩააყრიდა ცოტა შაქარს“, „რძალს ვვალეობდა ვსთქვით საჭმელი, მეორეს რძალს ვვალეობდა ძროხის მონველა“, „დასდგავდა ცეცხლზე, შრატის დედა ჰქონდა დაყენებული დვრიტას ეძახდნენ, იმისგან დაყენებული, ხოო, დაასხავდა“, „იმისთანა ხას ყველს აკეთებდა დასწავდა და მოჩა, დასდებდა, დაინურებოდა ჩააგდებდა ბოჭკაში“, „აურევდა ზოგი ცხვრის ყველი, ჩეჩილი ყველი, ხოო, თავ ყველს და ჩასტენიდა გუდაში“, „ჩასდებდა გუდაში და

დასდებდა ამ გუდასაც, იდო რამდენიმე ხანი, მანამ დაწურულიყო მანამ გემო მისცემოდა”, „**ჩასტენიდა** არ ფუჭდებოდა არაფერი ერობთივე დაასხავდა **მოსთხრიდა** და იყო ყოველთვის”, „ხო იყინებოდა თითონ **მოსთხრიდა** და ხორციანათ, ქონიანათ რამიანათ ამოიღებდა”, „მწვანილს **ჩასდებდა** ან კამა, დაფნის ფოთელი და მოსთხრიდა იმას ამოიღებდა”, „დედამ **სიქვაა** არც ჩვენ არაფერი ვიცოდითო”, „წყალს აადულებდნენ ჩააგდებდნენ იემხელა ნაჭერ ტყლაპსა, გაიხსნებოდა შიგა, მერე ამოუკიდებდნენ ფქვილსა, ხახვს, რამეს მოუწვამდნენ და **სჭამდნენ**, ტყლაპის საჭმელს უძახდნენ მაგას”.

ხიზაზავრლეთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „როგორია და **დასჭრი**, მოხრაკავ, ჩაუდენ პატარ-პატარა, გაშლი დიდ იმასა უხას, ჩაალაგებ შიგ ნანილ-ნანილ ხორცებს მოუჭერ ლამაზათ, ჩაალაგამ რამდენი გუნდაც იქნება”, „ჩეჩილა ყველს ამოვიყვანდით ისეთებ, რო **გასწვედი** გაიწელებოდა”, „ტყლაპი ხო ისევენეთ გახმა, ხო მიიტან ლამაზათ **დასჭრი, დასჭრი** კობტათ, ჩაალაგამ წყალში”, „ინდოურს ერობში **შესწვამდი**, შებრანამდი ლამაზათ”, „სულ **შემოსთვლიდა** ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ყველა უნდა დაელოცა”, „უფროსი ვინც იყო, იბარებდა იქა და ის თვითონ შრომა დღეზე რო **სწერავდა**, ისევ გვაძლევდა ყველაფერს, აბა”, „ცხელ წყალში **ჩასდებდნენ** ერობს, მერე ჩაყრიდნენ ხინკალს ჩაიშუშებოდა შიგა და გადმოიღენდნენ და ვჭამდით”, „პოხტები ქონდათ ჩამოკიდული, ხოდა როცა უნდოდათ **დასჭრიდნენ**, ჩამოიღებდნენ, გააკეთებდნენ სოუზი გინდოდა, ხინკალი გინდოდა”, „**დასთქვამდნენ** რამე დღესა ჰაა, ჰაღბათ ერთი ორი კვირა მაინც, რო ესენი მომზადებულიყვენენ”, „ოთხი დღე შემდეგ დაიწყებდა დაწყნარებას, რომ დაილეკებდა, უკვე **შემოსდგავდნენ** ამ არაყის ქვაბებით“.

„როგორც ბგერათა დაკარგვასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, თავკიდური მ ყველაზე ადვილად იკარგება სიტყვაში. ბგერათა ჩართვის დროსაც, პირველ რიგში ეს თანხმომვანი იქცევეს ყურადღებას. სონორი მ განსაკუთრებით ხშირად დაჩნდება ხოლმე ზოგიერთ თავკიდურ პოზიციებში **ძ, ც** წინაენისმიერი სისინა აფრიატებისა და ზოგიერთი სპირანტისა და ხშული თანხმომვის წინ;

მაგ.: მძვირფასი, მძვირფასო, მძვირი, გამძვირებული, მემცხვარე... უმფროსი, უმფროსმა, მტიტველი, დაგვემსხა, სამზღვარე და სხვა“ (მარტიროსოვი, 1984: 46).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:

“ის უფრო შედარებით **მძვირია** და ყველას თავისთვის ჰქონდა მაგის საშუალება, რო არ ეყიდათ”, „მოვიდა **დაამბეს** ფერხული, ფერხული ისეთი ცეკვა არის, რო ყველას შეუძლია იცეკვოს, იმას დიდი ცერემონიალი არ უნდა“, „იქით ბოსელში **მემბა** ძროხები, აქეთ ბავშვებს ეძინათ“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „რომ დამიჭირეს დალი მყავდა, დიდი, **უმფროსი** გოგო“.

ასიმილაცია

ზოგჯერ ერთი ბგერა მეორის გავლენით შეიცვლება ხოლმე ისე, რომ მას დაემსგავსება. ამას ასიმილაციას (დამსგავსებას) ვეძახით. დამსგავსება შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი (შანიძე 1980: 22).

ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება, ასიმილაციის მოვლენებს მეტად შეზღუდულად წარმოგვიდგენს: „ასიმილაცია მეზობელ ბგერებს შორის ყოველთვის როდი ხდება. ქართულის ეს ფონეტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ერთად მდგომი სხვადასხვა რიგის ბგერები ისე გამოთქვას, რომ მათ შორის ასიმილაცია არ მოახდინოს... ეს რა თქმა უნდა, მთლიანად არ ვრცელდება ქართული კილოების მიმართ, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეუზღუდავად, გარკვეული კონტროლისა და მტკიცე კონტროლის გარეშე ვითარდებიან და ამით სალიტერატურო ენისაგან ერთგვარად განსხვავდებიან.“

ასიმილაციის ტენდენცია მეტად ფეხმოკიდებულია ცოცხალ ქართულ კილოებში, განსაკუთრებით დასავლურში. ჯავახური, რომელიც მესხურთან ეთად, ერთგვარ გარდამავალ ზონას წარმოადგენს აღმოსავლურ და დასავლურ კილოებს შორის, გვიჩვენებს როგორც ერთის, ისე მეორისათვის დამახასიათებელ მოვლენებს (მარტიროსოვი 1984: 14).

ხმოვანთა ასიმილაცია. ძირითადად გავრცელებულია სრული რეგრესული ასიმილაციის მოვლენები. ამ ტიპის ხმოვანთა

ცვლილებას ადგილი აქვს ზმნაში ფუძისეულ და პრევერბისეულ ხმოვანთა შეხვედრისას. მასიმილირებული ხმოვნების როლში ჩვეულებრივ ე და უ გვევლინება.

ფუძისეული ე ავინროებს მის წინამავალ უფრო ფართო ა ხმოვანს და სრულად იმსგავსებს მას. ე-სთან ასიმილაციას განიცდის აგრეთვე უკანა რიგის ო. ამ მხრივ ჯავახური საერთოს ავლენს მესხურთან, ქართლურ-კახურთან, ინგილოურთან, ფერეიდნულთან და ზოგიერთ დასავლურ კილოსთან.

აე > ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფეხურზე გვაქვს: ა) თავკიდურა პოზიციაში; ჩვენს მიერ ჩანერილ მასალაში დადასტურეთ შემდეგი შემთხვევები.:

ერკოტელთა მეტყველებაში: „ორი-სამი ცალი რო გეგეხსნა წყალში, გახსნიდი და აჰა, გამოვიდოდა თუთმაჯი, მაგრე გაკეთდებოდა“, „ცოტა რო ენაპირიანი, რო ესმოდეს, რო ილაპარაკოს რამე. მაგალითად, აე რო დეგეყენებინა, ვერ ილაპარაკანს“, „იმან გააკეთა ის წყარო და დეერქვა სათუთას წყარო“, „ისე ცივი წყალი იყო. ცხრაჯერ რო კენჭები ჩეგეთოლა ხელ მოგაყინებდა“, „თუ ცუდათ წავიდოდა და ეტყოდნენ, რო ფეხები დეგემტრეს რა ფეხი გქონდა, რო ოჯახი რო ასე ცუდათ წავიდაო“, „ისეთი თოვლი მოდიოდა რაგორი გზაც გინდა გეგეკეთებინა მაინც ვერ ახვიდოდი, თოვლი, აე ორ მეტრამდი მოდიოდა, ისეთი თოვლი მოდიოდა ერკოტაში“, „შამილაი ერქვა, მეხი იმასაც დეეცა“

ხაზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „რო დეგეყვირა და გადმოსულიყავი, მაგ ეკლესიაში ელენაა, მოგცემდა ხმას ისიც ელენა, და ისეთი ხმოვანი რალაცა იყო“, „გინდა რძიანი საქმელი გეგეკეთებია, კორკოტს ვეძახდით, მაგას რძეში გააკეთემდი, მაგასაც მოხარშენდი, დაასხენდი რძესა და ჭამდი“, „ხუთი გოგო და ოთხი ვაჟიშვილი ვიყავით, ერთი სამამულო ომში დეშეკარგა შემოგეველე, ძმა აბა, ომიანობის დროსა“, „რამდენი გუნდაც იყო იმდენი კრუშკა წყალინა დეგესხა“, „რო არ დეეკარგათ არც რწმენა და არც ენა, მაგ გულისთის მიიღეს კათოლიკური რწმენა“, „შენა დეგემუშავებინა შენი მიწა, ეხლა ტრაქტორები ჰყავთ, კერძო ტრაქტორები და ხნავენ“, „ყველაფერს აკეთებდნენ ნამცხვარი გინდა, წმინდა ერბოშინა გეგეკეთებინათ“, „ჰოო და განანილებით ტყვარჩელშინა გეგეშვი შახტაში,

ჰოო და იქიდან კაცი არ ჩამოვიდა **წვეყვანე**, ჰო და აჭარიდან ჩამოვიდა“, „ხელფასი ოთხას ათი მანეთიდან, მერე ესე იგი ჩვიდ მეტამდე თუ რაღაცა **ღემემატა** გაიგე?“, „ბუხარი იყო ფენსასაც დგამდნენ, მაშინ სად იყო ფენი და ისა, შეშა სად იყო რო **ღეწვა**“, „არა არმგონია, რო სოფელ **გვესახლებინა** თითონ თუ წავიდნენ“, „უნა ებანებინათ და **გვეპარსათ**“, „ამ ჯეჯილს დაჩლიჩდნენ აისეც რო შეიძლება **ღეწაყათ**, შეილება ისევე **ჩეყყარა**, ხოდა ამ პურს რო დაჭეჭყავდნენ მოზელდნენ და ჩაყრიდნენ გამოცხობდნენ“, „არაყი რამდენი უნდა **ღეგელია** ერთი ნახევარი ლიტრა“, „რამდენი პროცენტი იყო არ ვიცი 10 პროცენტი იყო რაღაც უნდა **წელო** ბატონს თავადს დანარჩენი შენი იყო“.

იმერულთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „აუცილებელი, მეკვლეს ცხვირზე უნდა ემიზნებია, დანა უნა **ღეერტყა**“, „მეორე წელს აღარ დაუძახებდნენ, შეილება სხვას **ღეეპატიუნა**, შენ კიდე მერე სხვას დაპატიჟებდი და ასე“, „**წვილო** ეს თმები, **წვიდა** და **გვიარა** იმ ქორწილში და დაუძახა, სახში მიდითო ხორცი ისარშებო“, „ჯერ იქ ვსწავლობდი, მერე ისევე ჩემ სოფელში დასთან **წვევი**“, „ამაღლობა იცოდენ ჩვენ იქ **წვიდოდი**, ჩვენ დაპატიჟება არ გვინდოდა“, „ზოგი ჭურში **ღეიმალა**, ზოგი ნათესავთან და მერე გაგვასახლეს აფხაზეთში“, „გააჩნია თუ ცოტა იყო ღვინო, მალე **ღეიდულებდა** და თუ ბევრი იყო და კაი ხან უნდებოდა“, „რო ჩამოვსახლდით, აქ იყო ტეხნიკუმი, პედაგოგიური და მეორე კურსზე დამაჯინეს, მერე აქაც **ღეიხურა** და ახალციხეში დავამთავრე“, „ჩუმათ **გვიპარა** მშობლები აქედან, აი იდუმალაა სოფელი იქნამდე“, „ჩუმათ იყო მოსული იჭრდენ, **ღეიჭრდენ**, ეშნოდა კიდე არ დამიჭირონო გასახლებული რო იყო“, „ეს იმერელი იყო, მაინც წამოვაო იქითაო გამოიპარებო, რავარც ჩვენ **გვევიპარეთო**“, „როგორი იყო, ვინ **ღეეცია** იმ ზალაში, ამხელა არ იყო“, „თამადას იმერეთში ვერ გაიგებ რამდენ სადღეგრძელოს ამბობს დედა თუ არ **ღეეცა** არავინ ... საცივში თუ არ ჩაყო თავი“.

ერკოტელთა და ხიზაბავრელთა მეტყველება მისდევს სამცხურსა და ჯავახურ მეტყველებას, იქ დადასტურებულ პროცესებს, კერძოდ: თუ ასიმილაცია დისტანციურია და ხმოვანთა შორის არის თანხმოვანი, პროცესი ჩერდება ასიმილაციის დონეზე

(დეგეყენებინა; გეგეხსნა; დეგეყვირა...), ხოლო თუ ასიმილაცია/კონტაქტურია, ასეთ შემთხვევაში პროცესი გრძელდება და ხდება ასიმილაციის საწინააღმდეგო პროცესი დისიმილაცია, (დეენაყა->დიენაყა; დეეცა->დიეცა, დეერქვა->დიერქვა; დეენვა->დიენვა.....).


რაც შეეხება იმერელთა მეტყველებას, მნიშვნელობა არა აქვს ფონეტიკური პროცესი კონტაქტურია თუ დისტანციური, პროცესი ასიმილაციის დონეზე ჩერდება, ოღონდ კონტაქტური ასიმილაციის დროს, ხდება სრული დამსგავსება და პროცესი ჩერდება ან შეიძლება მოხდეს ნაწილობრივი ასიმილაცია, მაგალითად: ნეილო <-ნაილო; ნევიდა<-ნავიდა.

პრევერბისეული **ო** დაემსგავსება ვნებითის ე-ს და ვიღებთ: **მო+ე->ეე**: მეეჭიდა, მეეპარა, მეევესნარით,...

(ერკოტელთა მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ)

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ჩამოვიდოდით, თელი მოსწავლეები **მევეგებოდით**, ერთი მასწავლებელი გყავდა ისეთი ლოზუნგები იცოდა“, „რო **შემეესია**, ჩემი დედიკო იტყოდა ხოლმე, ნახშირები შევისვით სახეზეო და ყამზაში დავიმაღენითო“, „ჯავახეთში იყო სულ სუფთა ქართველები, წმინდა, ძველის ძველი ქრთველები იყვენენ, რო **შემეესივნენ** თათრები, ლეკები, სულ გაათეთრეს“, „მიეხნა ან ცხენით ან ხარითა, რო დიეთესა და **მეეყვანა** პური, აეს იყო კერძობა“, „ხოო, პროცენტს აძლევდნენ ვილაცა ბატონი იქნებოდა, ლეკი თუ ბატონი, რა ვიცი ათი პროცენტი იმისი იყო, ათი უნდა **მეგეტანა**“, „ყველს აკეთებდნენ ჩეჩილ ყველს, რო ერბო **გემეეტანა** და ერბოთი პურს ქამდნენ“, „მინური სახლი რო მქონდა ვითომ იქ არ მინდოდა **მემეყვანა** გაიგე?“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „დაუძახა სახში მიდითო ხორცი იხარშებოო, **მევიდენ** ნახეს ბავშვები მოხარშული, ეგრე არი ეს ლეგენდა არი, ამ ქინკისგან წამოსული“, „ვისწავლე ორი წელი, მერე იქიდან აქ **წამევედი**“, „თითქმის ჩვენ წესზე **გადმევიდენ** ერთი პერიოდი“, „მერე ჯოხს გოუკეთებენ, ასე მიაბამდენ ტარზე და ჩოუყოფდენ ჭურში და **ამეიღებენ**“, „დალევდენ ხოლმე სტუმარი რო მევიდოდა, ან ისე“.



„მამარჩემი ჩუმათ ჩამევიდა“, „გააკეთეს საქმე, ჩამევიდნენ და ვაკეთეთ, არ მინდოდა წაყოლა, მარა“.

ვილაცა ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში -**ებ** სუფიქსის შემოვანი სრულად იმსგავსებს -**ცა** ნაწილაკის ა ხმოვანს, მაგ.: ებრძვის ვილაცეებს. ანალოგიური მოვლენას ადგილი აქვს **რალაც** ნაცვალსახელის მრავლობითში, ოღონდ აქ ასიმილირებული ე(<ლა), თავის მხრივ, დისტანციურად გავლენას ახდენს რა-ს ა ხმოვანზე და ვილებთ რეღებ-ს, მაგ.: რეღებიც უყო (მარტიროსოვი, 1984: 16).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „იქით ნანგრევებია ის ჩაანს, ისა თაღები, **რალაცეები**, თორე ისე აღარ არი ნანგრევები“, „ალიალმა, ესე იგი, ალი წითელი ვაშლი, თუ რალაც ესეთი, ჰოო, კიდე რალაც **რალაცეები** აღარ მახსოვს“, „დაგვენთო. უფრო მეტად მიქონდათ ხოლმე ხორცეულობა და ისა, ნამცხვერები და **რალაცეები** ტკბილეულობა“.

ხიზაზვრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „არც სახლი ქონდათ, არც კარი, ხეების ძირში გადახურავდნენ **რალაც-რალაცეებს** ისე ცხოვრობდნენ საცოდავად“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ეხლა ინფაქტი გადვიტანე **რალაცეები** და ეხლა კიდეც კარგათ რო ვიყო, რალა დროს ჩემი თამადობაა“, „შვიდი იყო, თუ რვაი არ ვიცი, **ვილაცეები** წევიდენ, მე არ ვიცი ვისგან ეიღეს მისამართი“.

უკანა რიგის ვიწრო ხმოვანი **უ** უშუალო მეზობლობაში სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ი და ო ხმოვნებს:

იუუუუ: მუუტანა, მუუდიოდა, მუუნერა, მუუბრუნდა და სხვა.

იუუუუ და **ოუუუუ** ხმოვანთა ცვლილების მხრივ ჯვავახური ქართლურსა და კახურს ემიჯნება. სამაგიეროდ, იგი დასავლური კილოებისაკენ იხრება, კერძოდ, აჭარულს, გურულს და ზემოიმერულს ეკედლება, მაგრამ მათგან მაინც განსხვავდება. თითოთროლა შემთხვევას თუ არ მივიღებთ მხედველობაში (შოუარდა, შოუდგა, შოუნუხებიათ), ჩვეულებრივ აქ არა გვაქვს გარდამავალი (ეუოუ) ტიპის ასიმილაციის შემთხვევები (მარტიროსოვი, 1984: 16).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „დააჯვდენდნენ იმასაც, იჯდა, **მუუტანდნენ პურ-მარილ** რამეს და

აქმენდენ, რო მეკვლე შევიდოდა თუ კაი ფეხი აქ, იმ ოჯახს ისე უხდებოდა“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურდება აუ>უუ პროცესი: „ვინ მყავდა, ზოგი ამხანაგი დუუძახე, ზოგი მეზობელი ცოტა და დიდი ქორნილი არ მქონია“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „დაუთქვით დღე, ნიშანი მუუტანეთ გაიგე? და მოგვარდა ნელ-ნელა საქმე, მერეც ქორნილიც დაუთქვით და წავიყვანე და წავედი“.

თანხმოვანთა ასიმილაცია. გვხვდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები. უფრო მეტად აქტიური პროცესია ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესიული ასიმილაცია, რაც დამახასიათებელია როგორც დეცესიური კომპლექსებისათვის, ისე თანხმოვანთა თანმიმდევრობისათვის (მარტიროსოვი, 1984: 17).

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციისას ძირითადად ხდება ყრუ თანხმოვნების მიერ მჟღერთა დაყრუება.

მეორე ობიექტური პირის ნიშანი **გ** და **გვ** პრეფიქსის გ ელემენტი მომდევნო ყრუ ფშვინვიერებთან ხშირად ქ-დ იქცევა, მკვეთრებთან კი - კ-დ, თუნდაც ეს ბგერები ვინით იყოს დაშორებული;

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „სხვათაშორის ძაან კარქი, მე არ ვიცი, რასაც მე ვასწავლიდი მე ვცდილობდი, რო ბავშვებს გაეგოთ“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ძლიან კარქი ქადა იყო ხოლმე, ისე, ისე, რო გადატეხავდი ფურცლებათ იშლებოდა სულა“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „პროპუსკობა შეიქმნა მაშინ, იქიდან არ უშვებდენ თუ პროპუსკი არ გექნებოდა, მკვდარი და ცოცხალი შვილოო, დამეკარქებიო მამაჩემმა“, „შენო ველარ წამოხვალ და თათრებს დარჩებიო და მერე მკვდარიც დამეკარქები და ცოცხალიცო“.

სამივე უბნის სანაალიზო ტექსტებში ვხვდებით სიტყვა „ქვონდა“-ს, სადაც ხდება -გ ბგერის დაკარგვას და შემდეგ მტათეუზისი. მაგალითად: „როგორი იყო, როგორ სახლი იყო და

საიდან დავიწყო ორი ოთახი **ქვონდა**“, „შემდეგ ნაცნობობაც **ქვონდაო** თათრებთან, ნაცნობობაც **ქვონდაო** და ისეთ ნაცნობობაო რო ჩვენი ოჯახის ვთქვათ, რო ყველაფერი იცოდნენ, სტუმრად რო მოდიოდნენ ვათენებებიდითო ღამესო“, „ბოსტნეული კარტოფილიც **ქვონდა**, ხახვიც **ქვონდა**, ლობიოც **ქვონდა**“, „ერთი ეკლესია **ქვონდა** პურით ივსებოდა მაშინ უკვე გააუქმეს გარეთ კი დარჩა სამლოცველო ანთებდა ხალხი“.

სპირანტი **ღ** ბგერა მჟღერობას კარგავს მომდევნო ფშვინვიერი და ყრუ-მკვეთრი თანხმოვნების გავლენით და ვილებთ ამავე რიგის ფშვინვიერ **ხ** ბგერას; მაგ.: ახთქმა, ხვთის, ახკვეთა, მოხნეული..

ჩვენს საანალიზო მეტყველებაში მსგავსი პროცესი ვერ დავადასტურეთ, თუმცა ერკოტელთა მეტყველებაში გვხვდება ერთი მაგალათი „**რახაი** ტკბილი იყო ჰასუთას ვეძახდით“, მართალია სიტყვაში „**რახაია**“ -ხ ბგერა არ დგას ფშვინვიერი და ყრუ-მკვეთრი თანხმოვნების გვერდით, თუმცა შესაძლებელია ანალოგიით ვიფიქროთ, რომ ხდება ღ-ს ხ-თი ჩანაცვლება.

ასიმილაციის ნიადაგზე **შ** და **თ** თანხმოვნების გამკვეთრების მაგალითებია: ბჭყვინამს, გაპწყინებული, სატკენ (<საითკენ).

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „**აპაო** ეხლაო მეო იმას ვიზამო, რა უთხრა, დამიყენოსო გარეთაო მანქანაო, თუო შენი ლოცვა გაჭრისო, ილოცეო ჩემზეო“.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „**აპა**, ურემი, ხარები. მამა აპა? ტყიდან შეშა რათი უნდა მოგვეტანა ან ყანიდან სიმიდი“.

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნის სპირანტი სისინა ს შიშნა აფრიკატების **ჭ**-სა და **ჯ**-ს გავლენით **შ**-დ იქცევა, როგორც ეს ძველ ქართულში იყო და ამაჟამადაც თითქმის ყველა დიალექტშია. ამის მაგალითებია:

- სჭ>შჭ**: შჭამ, შჭამენ, გადაშჭრა..
- სჯ>შჯ**: დაშჯობნე, შეშჯერდა, აშჯერ..

ს მომდევნო მჟღერ თანხმოვნებთან მეზობლობაში გამჟღერებული სახით გვევლინება.

- სღ>ზღ**: მოზღვეს, მიზღვედი, ზდიეს...
- სძ>ზძ**: დაზძინებია, ზძირამდა ზძოვდა..

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ხოო, ერთი ყალნისს ეძახიან, ყალნისს სისხლიანი ღელე ექვ ჩერდებოდნენ და პურს **შეშქამდნენ** რამე, ჰოო, აყაჩალებდნენ იქ რაა, ხოო, ხოცავდნენ კლავდნენ ხალხს“.

დადასტურებულია სრული პროგრესული ასიმილაციის ასეთი შემთხვევებიც: ამამ მიაძახა; ამამ სთხვია; ამამ წაიყვანა; ამამ აჯობა; მაგამ მითხრა; იმამ გააჩერა; იმამ ჰკითხა და სხვა.

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „დაერქვა ერკოტა, **იმამ** რო გაიმარჯვა, იმ მოსულ ბერმა და გვარიც ბერიძე“, „რა ვიცი ვერ გაანყო თავის ცხოვრება ისე **მაგამაც**“, „ჰოო და ტეხნიკუმშიც **მაგამ** მომანყო“

ჯავახურში ინდივიდუალური ხასიათისა ჩანს გურულისათვის დამახასიათებელი **საცხა** (<საცლა), **რაცხა** (რაცლა). ეს უკანასკნელი ერთგან რეგრესიული ასიმილაციის სახითაც შეგვხვდა: რაძლა (რაცლა); მაგ.; საცხა არის.

იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითი: „ქვა არი ერთი გრძელი, ქვებს ნახავდით **საცხა** მტკვრის პირებზე და ჩაანაყავ“, „ზოგმა ქალი ითხოვა აქედანა, ზოგი ნათლიათ გაგვიხდა, ზოგი ამხანაგი იყო, ზოგი **რაცხა** და შეივსო ასპინძა ისევე“.

დისიმილაცია

ზოგჯერ ენაში ასიმილაციის სანინააღმდეგო მოვლენასაც აქვს ადგილი. თუ ერთ სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერაა მოსალოდნელი, შეიძლება, რომ ერთი მათგანი გადასხვაფერდეს და სხვა ბგერად იქცეს, ეს იქნება დისიმილაცია (შანიძე 1980: 23).

ხმოვანთა დისიმილაცია. ხმოვანთა დისიმილაცია თითქმის ერთი ტიპობრივი მოვლენით ამოიწურება. ესაა რეგრესული ასიმილაციის შემდეგ მომხდარი ხმოვანთა განმსგავსება. ფუძისეული **ე** ხმოვანი როდესაც სრულად იმსგავსებს რა პრევერბისეულ ა-ს, შემდეგ ხდება მათი დისიმილაცია: **აე>ეე>იე** (მარტიროსივი, 1984: 20). ნიმუშები:

დაე>დე>დიე: დაემტვრა>დეენტვრა>დიენტვრა; დაენვა>დეენვა>დიენვა;

გაე>გე>გიე: გაეკეთებინა>გეეკეთებინა>გიეკეთებინა; გამეზადა>გეემზადა>გიემზადა;

წაე>წეე>წიე: წაესხა> წეესხა> წიესხა; წაეყვანათ> წეეყვანათ

წიეყვანათ;

ჩაე>ჩეე>ჩიე: ჩაერია> ჩეერია >ჩიერია; ჩაეგდო> ჩეეგდო>

ჩიეგდო;

გადაე>გედეე>გადიე: გადაეცეს > გადეეცეს > გადიეცეს;
გადაეხვია > გადეეხვია > გადიეხვია;

ა. მარტიროსოვის თქმით, ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ე-სა და პრევერბისეული ო სმოვნის შესაყართანაც; მაგ.:

მოე>მეე>მიე: მოექცა> მეექცა> მიექცა; მოეკლა> მეეკლა> მიეკლა;
მოერია> მეერია> მიერია; მოენონა> მეენონა> მიენონა.

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ამ ამბარს, ხუთი ტონა პური ჩიეტევა და ზედ დაადგა ტუნელზე“, „ჰაერზე დავანიავებდით, რო ქარს წიელო ფერფლი, დარჩებოდა სუფთა გული, ამ მარცვლისა გავაშრობდით, გავახმობდით“, „ჩაეჰყრიდით მარილიწყალში, რო მარილი იელო“, („პირველ წელ-ნადს აიყვანეს მწყემსებათა და მისცეს სადღაც ქოხები, რო გაეთიებინათ ღამე“??), „გარეთ რო ის გვექნა, ბუზი დიეხვეოდა, რამე დამატლდებოდა, სახლში ვახმენდით ხოლმე“, „იმ ქალის სახელი დიერქვა, იმან გააკეთა ის წყარო“, „ეს თათრები სულნა გავასახლო ყაზახეთში, ადგა და სტალინის ბრძანებით, ამერიკაც დიეხმარა, მისცა ყველაფერი ტრანსპორტი“.

სიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „იმას სიმდიდრე უნდოდათ წიელოთ მისცეს და წავიდნენ“, „მაშინ იყო გამწევი ძალა იყო ხარები, ცხენი და ხარი, უნდა მიეხნა ან ცხენით ან ხართა, რო დიეთესა და მეეყვანა პური, აეს იყო კერძობა“, „წერტილი, სავაჭრო წერტილი კიტრისა და პამიდო-რისა, რო გიეტენათ და გაეყიდათ, კაცო“, „ქალისა, ქალის, ქალი, გააჩნდა ახლა, თუ კაცი ინვალიდი იყო, რაღაცა შეილება გიემზადებინათ შეშა, დიენყოთ, ცეცხლი მიეცა და ქალ პური გემიეცხო“, „დღესასწაულიც რო არ ყოფილიყო შეილება, ისე ზაკაზი მიეცათ, გაიგე, ან კაცებს ან ბიჭებსა, რო გიეკეთებინა“, „ბავშვები დადიოდნენ ხოლმე წინა ღამეს, გაიგე, რო კვერცხი მიემზადებინათ, გაიგე“, „ფული უნდოდა, ფულს აკეთებდნენ ბავშ-

ვები, კაცო, მალავდნენ იქა, რო ფული ნიერთმევინათ მაყრე-
ბისთვის გაიგე? ჰო, მაგისტვის მერე დიერეოდნენ ქათმებსა,
ქათმები მიჰყავდათ და ისა..“,

ეა>ია: შიაჩერა, შიაბა, შიაფარა, შიაგროვა და სხვ. ამ სახის
ცვლილება დასავლურ კილოებს (იმერულს, გურულს) ახასიათებს,
აღმოსავლურში კი საერთოდ არ გვხვდება, მხედველობაში თუ არ
მივიღებთ ქვემოქართლურის ანალოგიურ ფაქტებს (შიაკეთა,
შიატყობინა, შიაგდეს), რომლებიც შეიძლება მესხურ-ჯავახურის
ხელშეწყობით იყოს გავრცელებული. ასიმილაციის შემდეგ დისი-
მილაციური ცვლილება სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ხდება,
როცა ზოგიერთ ე ხმოვნით დაწყებულ ჩვენებით ნაცვალსახელსა
და ზმნისართს ა ნანილაკი დაერთვის; მაგ.: აი ეს> აეს> ეეს> **იეს**;
აი ამ> აემ> ეემ>**იემ**; აექამდე> ეექამდე> **იექამდე**; ა ეხლა>
ექხლა> **იეხლა** და ა.შ.

ჩვენებითი ნანილაკის დართვა განსაკუთრებით ფართოდ არის
გავრცელებული ხევსურულში, ინგილოურში, ფშაურში, მოხეურში,
მთიულურსა და კახურში (მარტიროსოვი, 1984:22).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები:
„ორი ხარი ემბა, ამ უღელში არ გინახიათ არა? ეხლა **იექ** სადლაც
გდია, თორემ, ჩემი დაგანახამდით“, „აა **იექ** პოლზე რო მოხვეტო
და ტონობით პურებს გამოვიღებდნენ და აბრიდნენ კოლმეურ-
ნეობაში“, „გეცოდინება ბერიძე პავლეი, ისიდორას რო უძახდნე,
იექ მალლა რო ცხოვრობენ“, „ამ ქვაში, შუაზე აქ რკინა, **იეს**
თითის სიმსხო, გაკეთებული აქ რკინა და შუა ადგილი“, „თხელი
ცომ მოვხელდით, თხელი ისე, რო **იესე** ხელს რო ამოვიღებდით,
ამოდიოდა თხელი ცომი“, „სუ დახურულია და ზევიდან ააქ
იემხელა ამოჭრილი პირი, რო აქ ნაღები ჩავასხათ“, „დიდი არის,
იეხლა იქ მიგია, ის ფარდაგი, თუ გინდა დაგანახამ“, „თხელი უნდა
გაშალო, **იესე** და შიგ ჩაუდებ კაკლის გულსა“, „ქორწილი. ჩვენ
დაბადებიდან, მე რო დავბადებულვარ და ეს ჩემი ქმარი დაბა-
დებულა ერკოტაში, **იესენიო** ერთიმეორეს მოუხდებიანო, თურმე
ქალები ლაპარაკობენ“, „ნათელაო, ამბობენო, რო შენო იეგ ბიჭიო,
უყვარხარო“, „მერე მამაჩემმა უთხრა, რო დედჩემსა, რო **იეს** ერთი
გოგოო მე მაჩუქეო, მე გავათხვიემო“, „რა ვქნა ავდგები, დავწვები
იმას მივცქერივარ, **იეხლაც** ვტირი რა უყო“, „წყალს აადულებდნენ

ჩააგდებდნენ **იემხელა** ნაჭერ ტყლაპსა, გაიხსნებოდა შიგა, მერე ამოუკიდებდნენ ფქვილსა, ხახვს, რამეს მოუნვამდნენ და სჭამდნენ, ტყლაპის საჭმელს უძახდნენ მაგას“, „ხელ მოგაყინებდა, ვერ გასძლებდი, ისე ცივი წყალი გამოდის იმ ცრაკენჭაზე, **იხლაც** არი“, „და ხელსაფქვეები **იესე** რო ფქვავენ სიმინდ რამეს, კორკოტ“, „ჩვეულებრივი, **იხლა** რო ცხვება, **ავერეთი** რგვალი, სომინი მაგას ერქვა“, „იქ **იხლა** ფქვილი ზოგჯერ გვქონდა, ზოგჯერ არ გვქონდა“, „რო ავედი დედას უთხარი, დედა ასე, ასე მეთქი **იემ** ყანებში ძაან ბევრი ცხვრები იყო მეთქი და ძაღლები“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „დანარჩენ ყველაფერს ეშველება რა, ყველაფერს, ყველაფერს, იეს მომავალი თაობას ნურაფერი ნუ გაუჭირდებათ ცხოვრებაში, აეგ არი მთავარი“, „ადრე ცხოვრობდა, როგორც იხლა ობელისკშია ნახაზი გაკეთებული, მოყვანილი, ათას ხუთსი კომლი“, „მეთქი დედას პურ ჩამოვიტან, იექიდან იექ კვირაში ერთხელ, ყველი- პური რალაცა იოლათ წავალ“.

ე ხმოვნით გამონყვეული ზემოაღნიშნული მოვლენა მეტად არის ფენმოკიდებული ხმოვანთ შესაყარზე; მსგავსად მესხურისა, ე-ზე დასრულებულ სახელებზე მრავლობითის -ებ სუფიქსის დართვისას ორი იდენტური ხმოვნის მეზობლობაში რეგრესიული განმსგავსება ხდება და გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა: ციხიები (<ციხეები)...

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ეხლაც მააქ აქ ფურნე, ერკოტამიც მქონდა, აპა, მამა-პაპიდან **ფურნიები** იყო“, „ესე უბრალო ქვიები არ იზავს, **კლდეებში**ნა ამოილო, ეკოტის მინაში არი, ამოიღებ და იმით აკეთებენ“, „საბადური ტყე არი, მუხიანი ტყე არი, პატარა, სოფლს ზემოდან და იმას უძახდნენ პანტები იყო, ცოტა იყო და მუხიანი იყო სულ, საერთოდ, იქ მუხიანი **ტყიები**ა“, „**ტყიები** იყო, როგორ არა, გვალტყე, აბრამასჩოქაქი, ჰოო, ვარნეთი ტყეს ვეძახდით, სახელი მაგრე ვუძახდით, ერკოტის ტერიტორიაზე იყო ეგ ტყე“, „**მეცხვარიებს, მეცხვარიებს** ჰყანდათ ძაღლები, რო მგელეები რო ჩაუვარდებოდა, გელს არ შეუშვებდნენ ძაღლები“, დისიმილაციის ეს წესი გავრცელებულია ა-ზე დასრულებულ მრავლობითზეც, როცა, სალიტურ რატურო ენაში დაცული ნორმების საპირისპიროდ, ბოლოკიდური ა

არ იკვეცება და მომდევნო ე-სთან ასიმილაციით ჯერ ე-ს იძლევა, შემდეგ კი დისიმილაციით ი-ში გადადის (აე>ე>იე); მაგ.: ქვიები, ძმიები, დიეფს, ზღვიებზე (მარტიროსოვი, 1984: 23).

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ცეცხლი იყო შიგა, ქვიებით არი დედა, გაკეთებული ფურნე“, „სპეციალური ქვა არის ფურნის, ესე უბრალო ქვიები არ იზავს“, „ამაღლება არი, ჰოო, ჯვარი, ქვიები არი და კვირაცხოვლობას, სპეციალური გაკეთებულია, კვირაცხოვლობისა ისა ზარი კიდა“.

ხიზაზვრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ფქილს ამოუკითენდით ცოტა სქელი მოსულიყო, რო ჩურჩხელა დაეკავებინა, ხოდა ვაკეთებდით ეგეთ რამიებს“, „დიდი თავშლებს რო ვეძახით, ხო აი, ისეთ რამიებს ქსოვდა ჩემი დედიკო“, „ქონდათ საღებავები და აკეთებდნენ მაგისტანა რამიებს“.

ეუ>იე ჯავახურში თავს იჩენს აგრეთვე ზოგიერთ ერთ-მარცვლიან ფუძეკუმშვად სახელის -ებიან მრავლობითში: წელი-წლიები, წყალი-წყლიები.

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „როგორც პენსიაში და ნაველი აჰა და ორმოცდაათ წლიდან, სამი წელია რაც აღარავარ იქ, სულ იქ ვიყავი დანარჩენი წლიები“, „მე მწყემსათ ვიყავი, მაგ წლიებში ვიყავი, ზედა მთას ვუძახდით, თათრებიც იდგნენ, ერთად ვიდექით“, „მერე დილით ახალ წლიებში, რო გათენდებოდა დილა, ყველა დაგასწროთ კიდე მო-მავალ ახალ წლიებს, ხოო, ბაქმაზი გვქონდა ხოლმე ან თაფლი გვქონდა ჩავდგენდით“.

ხიზაზვრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: („იმათ მოიყვანესო, კიდევ სხვა ვილაციებიო და თავიანთ თანამზრახველებიო“ ???).

თანხმოვანთა დისიმილაცია. ქართულ სალიტერატურო ენაში, როგორც ცნობილია ამჟამად ერთი ტიპის დისიმილაცია მოქმედებს. დადგენილია, რომ ერთ სიტყვაში ორი რ ვერ ძლებს და ერთი მათგანი - ძირითადად მეორე, გადაიქცევა ლ-დ.

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „შემოდგომით და გაზაფხულით, ორჯელ, შემოდგომის მატყლი გრძელ-ბენვა იყო და გაზაფხულისა მოკლე-ბენვაი“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „მამაჩემი კაი ადგილებზე მუშაობდა, თავჯდომარეც იყო, სარევიზიო კომისიის თავჯდომარეა, **ბრიგადილიც იყო**“, „შემოდგომით, გაზაფხულზე, დედიკოჯან, გაზაფხულით და შემოდგომაზე, **ორჯულ** იმას შვრებოდა“, „ოდაში? **არაფელი** ორი ტახტი აქეიქიდან, ორი ტახტი, ტახტი რა არი იცი?“, „იდგა **ორ-ოლი** ამბარი, ამბარი არის ფქვილისა, ამბარი არის ხორბლეული, მრაცვლეულისა“, „ადრე შემოტევები იყო ხოლმე, აოხრებდნენ სოფლებს, გარბოდნენ, **ორჯულ** გაიქცა ხიზაბავრა ბაკურიანში“.


იმერელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „რა იდგა, **არაფელიც** არ იდგა, მაგიდა რალაცა პატარა და რა ქვონდა დასანოლი, გაჭირვებული ცხოვრება იყო“, „შაქარი არ უნდა და **არაფელი**, ასეთი იყო ზეთიანია სოიო“, „გოგო **არაფელს** არ ჩუქნიდა, იქით ამ გოგოსთვინ, ეხლა საცვლებიც მიქონდათ, რაც საჭირო იყო, კაბაც მიქონდათ და რა ვიცი“, „ამ კაცს და ეხვეწებოდაო ოღონდაცო გამიშვიო, მომიტანე ჩემი ნაწნავები და ბედსა გწევ შენ ცხოვრებაში **არაფელი** არ გაგიჭირდებო“, „ძველი **არაფელი** ვიცი, ჩემი ლექსები ბევრი მაქ დანერილი“.

ჯავახურში ცნობილ **რ-რ>რლ-**ს გარდა დისიმილაცია მოუდის ბაგისმიერ და წინაენისმიერ სონორ თანხმოვნებს. ბაგისმიერ **ბ-ს** წინ ზოგიერთ სიტყვაში ამავე რიგის **მ** განიმსგავსება და **მბ** კომპლექსის მაგიერ ვილებთ **ნბ-ს**; მაგ.: გაიგო ანბავი, ყველას უანბა; რას ანბობ? შენ უანბე... (მარტიროსოვი, 1984: 25).

ორი **ნ-ს** შემცველ ფუძეში რიგით მეორე **ნ** იცვლება **მანით**. მაგ.: ნამგრევი. ხშირად ასეთ შემთხვევაში, ოღონდ რეგრესულად, დისიმილაციის შედეგად **ვ** გვევლინება. ამგვარ შემთხვევას, როგორც წესი, ადგილი აქვს ზმნათა კაუზატიური ფორმების ნარმოებისას; მაგ.: მოატავინა, ჩამოატავინა, მოაყვავინა, დააბავინა, არბევინა..

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „მოვიდა მამაჩემი, ხმა არ გაულია, გაგზავნა სასწაფოდ, **მოაყვავინა** ცხვარი“.

ხიზაბავრელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ნათესავი **ჩამოაყვავინეს** ამათა, ჰოო, რო ისინიც ნა თანხმა ყოფილიყვნენ, ვითომ“.



დისიმილაციის მესამე სახეობაა, როცა სიტყვაში ორი ერთნაირი ნარნარა ბგერაა, ერთი მათგანი იცვლებამონათესავე ბგერით: **ლ-ლ>ნ-ლ, მ-მ>მ-ნ ან მ-მ>მ-ვ**; მაგ.:

ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „მერე ეს რო უროვინებდით, ხარს, ეს ბზე ილენებოდა, ინტერეოდა, ინტვრეოდა, ინტვრეოდა და სუ ბზეთ იქცეოდა“, „ანდრიანმინდიდან არი მამაჩემი, მერე წამოვიდნენ, წამოჰყოლიან **დედანიილი**, მამათილიც ჯარში წასული არ ყოფილა“, „ოთხი კლასი ვისნავლე, მერე გავაგრძელე **მერვენდე** (4:15) და მერე ჯარში წამიყვანეს“.

დასასრული შემდეგ ნომერში

ლერი ნოზაძე

ისე, ვით ცვილი დადნება ცეცხლზე,
 ვთვლი, - გაბედულად ველარც ვსაუბრობ.
 სიმართლე გითხრათ, - უსაქმოდ ვერც ვძლებ;
 მცირედი წვლილის ქცევას საუფლოდ -
 მივიჩნევ ნიშნად, კურთხევის მადლად...
 ვითვლი, და.... ზუსტად იმდენი ხნის ვარ, -
 კლდე რომ ბნერად იქცა და ბოლოს, - დადნა
 მოულოდნელად. და მინაც იძრა!

ჩვენს საამებლად დარჩა არავინ.
 ყოველი მხრიდან ველით განკითხვას.
 მძულს სუნთქვისა და აზრის მპარავი, -
 ჩირად აქციეს, დღემდე რაც გვირთავს!
 ნალოლიავეებს, მრავალგზის ნათქვამს
 ახალი ფორმა მოვარგოთ-მინდა!
 ოდითგანვე რომ ვაქებდით სარქალს
 ეს ტრადიცია რად გაგვიწილდა??
 ბოროტეულებს თუ არ ვებრძოლეთ
 გარს რომ გვერტყმიან ყოველი მხრიდან...
 თუ არ ვამხილეთ ყველა მედროვე,
 არ დავაფასეთ ვინც ქედს არ ხრიდა -
 ვერ მოვიშორებთ, ვერ დავგლეჯთ ხუნდებს!
 წარუმატებლად სუნთქვაც არა ღირს!!!
 სად გაგვირბიხართ?! - უნდა დაბრუნდეთ!!!
 აქ!!!!. - შინ ყოფნაა ახლა მთავარი!

დღევანდლობა მანადგურებს, მაქცევს არარაობად.
ბედად დამყვა ორ სამყაროს შორის შუამავლობა.
გულში რჩენილ დუმილს ვებრძვი, ვლამობ, რითმით დავძლიო,
ეგება სითბომ გამაღღვოს, უსწრაფესად ვაძლიო
სათანადო კომენტარი - ამღვრეულ ზღვა საქმეებს,
მსგავს პრობლემებს (მე თავსა ვხრი),- თქვით რა სახით ართმევენ?

ურთიერთობა კვამლივით მოუხელთებელი გახდა.
დამიმძიმდა,
თითებიდან ნყალივით მეღვრება იმედები.
არწივის თვალები, უბედურების შორიდან მომზირალი,
გამიცივდა.
და მაინც, ტყუილად, ბოროტად ვიყვედრები!

ამდენმა შფოთმა შიგნიდან დამღრღნა,
არ მეჩქარება და მაინც ვჩქარობ,
დავშორდეთ. ჩემთვის ეს არის დამლა -
გაპრანჭულ ფრაზებს გადავაბრალო!

ღამემ სიმშვიდის მცველად დამნიშნა,
დარდს პირი მოხსნა, ვერ დავდუმდები,
თან, - გაოცების უნარმოშლილი,
უნდობლობით და თმენით ვბრუვდები.

... გზა-და-კვალ არეული სამადლოდ დამისუფრეს,
ცხოველური საკვები უხვადა გვაქვს, - ჭამეო!
საკუთარი თავისგან მინდა განვთავისუფლდე,
ვემბორო ნვიმისგან დასველებულ გარემოს!

არსი არ მესმის ყოფის, - მე რომ ვარ -
უსხეულო ხმებს ლოცვად მივიჩნევ.

შემობრუნების შესაძლებლობა
რომ შექონდეს, ღმერთო! პირუტყვის-ც მივიჩვევ!

თითქოს წამებად დამიქუცმაცდა
ჩემი სიცოცხლის ლალი დღეები.
საკუთარ თავში მოგზაურობის
ქაოსურ შრეებს ველარ ველევი.
ყალბ სიხალისის ამ ილუზიას
გადუჭარბებლად ვიჩნევ განცხრომად,
იერს მიბრუნებს ყოფიერება,
და მაინც მიჭირს აზრის განვრცობა!

სიყვარულმა შემოდგომა არ იცის, საფლავამდე არსებობს,
თუკი ძაღვიძს მოიშორო მისტიკური ტონი,
თუკი გრძნობასა და სურვილს ისე შეათავსებ რომ
ამ სამყაროს სიპირქუშეს არსობისთვის ბრძოლით -
გნადს, ძალუმად შეაჭიდო სულიერი განცდა...
მკაცრად შეზღუდულობაზე არც იფიქრო, არც თქვა!

უგზო-უკვლოდ ნაიშლება მანკიცა და ღირსებაც,
სახელის უკვდავებაზე უარი არც ითქმება!
მუზარადის ბრწყინვალეობა შეაშინებთ სხეულებს,
ანაზდეულად აღძრული გრძნობა ფურცლებს, რვეულებს
მიანათებს სიყვარულის უზენაეს ფორმად,
სევდის ნაცვლად ღიმილის დრო უსწრაფესად მოვა!

დებიუტის დროინდელი ბარათები
უფრო ძვირი, ვიდრე ღირებულებული ჯილდო.
სასათუმალთან ათას ღამეს დაგათევდი
საკვირველად: - გვეთქვა, როგორ „გავმარჯვდითო!“
უკომპასოდ გზის გაკვლევას მე ვკისრულობ,
ვერვინ ნაშლის,

ნასვლით, - ნავალ. შენ კი შედეგს დაელოდე!
კაბის კალთებს ჰაეროვნად როცა გამლი
უფალს შევთხოვ, - „ნეტა სულ არ ვყვარებოდით!“
და უზადო, და ნათელი კვალი ჩვენი
მოსაჩითად აუყვება ლამაზ ფერდობს.
დაუვინყრად, უსასრულო მონინებით
ვპოულობდეთ, მინდა, ერთად მეტ დროს!

ცნობიერებიდან სევდამ ამომავლო!
ფრაზა გადმოვწერე ძველი ნიგნაკიდან,
ოცნების სილუეტს შზის სხივებს სრულად ვანდობ,
ყველასთან მდუმარებას შემთხვევამ ამარიდა!

განწყობას, დროულს და თარიღის შესაბამისს
დიდებულ მოგონების სურვილით გამსჭვალული,
უტყვად და მორიდებით სანუკვარ იმედს ხვალის
ვით სხივთა ბორიალს, არ ჰქონდეს დასასრული.

....და ჩემი გონება ამ ჩქამთა რიგითობას,
არღვევს, ვიკუმშები, რალაც არ მეთმობა!

ინტუიციის ლალატის
მომხიბვლელობა მიტაცებს,
სხვის კარგს შევხარი, თავად კი
ალბათ მეთე ფიცსა ვდებ
მოვმართო ემოციები,
მესმოდეს კარგად ვინ რა თქვა,
მიმესვლებოდეს იებით
თვალით უხილავ მიზანთან!
რად მოაქვს უშფოთველობა
მწირს, საჩოთირო საქმეებს,
სიკეთის სწორად აღმქელებს
სხვა სახელს რალად არქმევენ?

ნეტავ იმდენი შემძვინკვნი
გიკორექტიროთ მიზანი,
გაჩვენოთ კლასი მყობადთან
სათქმელის სწორად მიტანის.

უიღბლო მოვლენები მიენყო ერთმანეთს,
ვერ ვგუობ შხამს და გესლს გადმოღვრილს ბანერიდან,
ქსელი კი გამართეს, მაგრამ პულტს ვერ რთავენ,
თითქოს ბედ-იღბალი უსიტყვოდ გამერიდა!

გადამეტებული სევდით და წუხილით
ვის ვენდო? რა დავდო ამ განცდის საპირწონედ?
ჩემი ხასიათის გულს გარეთ? გულს იქით?
ასე ძირს ნუ დამსვით, - რამე გზა დამიტოვეთ?!

ცარიელია სახლი უშენოდ.
არც რას ვიგონებ, არც რას ვამეტებ.
მყიფე სული ვით გავაფუჟერო, -
კაცი რომ არ ჩანს აზრის გამმეტე!

ველარსად ვმალავ ფერნაქცევ ღიმილს,
სხვა გზა არ რჩება, უნდა გაგანდოთ!
გულახდილობა სიცოცხლედ მიღირს,
ვერ მივეჩვენით, ისე გავა დრო...
სანამ იფეთქებს: - როგორ მოგვებზრდა
ეს უთავბოლო იერიშები!
- რომ მოგვაველებენ ათმაგად ღობეს
ნეტა, ხელახლა, წაღმა ვიშვებით?!

ეს უეცარი აღელვება კი არ მათცებს,
ელდა მანვება და წამიერ ჩამოშლას ვებრძვი.

ვინმემ ბრძანება, - თუნდ დეკრეტი ეგებ გამოსცეს რეალობის და ამ უკუღმართ ნყოფათა შეცვლის. გონებას ვკარგავ, რომ როგორმე მივუსადაგო, ხავსს ჩავეჭიდო, ისეთი რამ გამოვიგონო...

თუნდ ცრუ სიმშვიდეს, ხომ ვერ მეტყვიით, - ვინმე განაგებს? ამ აბდაუბდა სამყაროში რატომ ვბოგინობთ? ეს უაზროთა აზროვნება ვის როგორ ესმის? რა ხალისი აქვს უიმედო მარტოკაცობას? ძილი მაკლია თუ საძილე განწყობას ვერნმი? თუ ვამპარტავნობ, ანუ ვცდილობ აზრის განვრცობას!? -მოგცლია, ერთი! - ათასიდან თუნდ ერთს წამოსცდეს, - ბოლომდე წამხდარ ხასიათს ეს ველარ უშველის. ეგება, სულაც იმიტომ რომ გავცდით სამოც წელს და ბუნებრივად აგვერია წამლის შუშები!

ვიცი, სამყაროს ვერ მოვირგებ საკუთარ თავზე, გულის გულში კი მაინც ვცდილობ, რამე ვიღონო. დღემდე, არასდროს არ ვყოფილვარ ხალხისგან - განზე; არ ღირს, ცხოვრება დარჩეს მხოლოდ იმის სიმბოლოდ რომ დაწყებული ბავშვობიდან, - დავკატაობდი, თუმც, მეტისმეტად არ ვტვირთავდი ამ დედამინას... საკუთარ თავთან და სხვებთანაც, ხშირად ვდაობდი, თუმცა ვერც ცამ და ვერც მეობამ ველარ დამიცვა.

30.10.22

თორნიკე აბულაშვილი

თორნიკე აბულაშვილი უბრალო თბილისელი ბიჭია. დაიბადა ექიმების ოჯახში 1992 წლის 4 ივნისს, დაამთავრა ლიცეუმი „რიტორი“, - ახლანდელი „მწვანე სკოლა“. სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანის წინაშე დადგა, თუ რომელ პროფესიას გაჰყვებოდა. გული ვერაფერს დაუდო. ეროვნულ გამოცდებზე გრანტი მოიპოვა და სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, ჯერ ტელე-კინოსარეჟისოროზე განაგრძო სწავლა, შემდეგ - ბიზნესის მენეჯმენტზე, ბოლოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ორი წელიც იქ ისწავლა, თუმცა ისევ აიცრუა გული. კითხულობდა ბევრ წიგნს. ერთხელაც იგრძნო, რომ მუზა, - დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვია და ძალიან ააფორიაქა მისი სული. და აი, თქვენს წინაშეა მისი გულის ნადები, ბევრი ნაფიქრი და თქმული ლექსად.



ყველა დროის გმირები

ყველა დროს ყავს თავის გმირი,
კვდება გმირი, რჩება გრიმი,
ყველა დროში არის წამი,
მწვერვალი და ... იქვე ხრამი.
ყველა დროის ბრძოლის ველზე
სისხლი უხვად დაღვრილა
ყველა დროის ცოდვის ხელზე
საკოცნელად დახრილან,
ყველა დროს ყავს ლოთები,
გადაყრილი ბოთლები,
ყველა დროს ყავს კახპები
ჩამომდნარი ალპები.
ყველა დროს ყავს ქურდები,
მოპარული ხურდები,

ყველა დროს ყავს მილორდი,
ცარიელი ბილბორდი,
ყველა დროს ყავს ტუსალი
ავადმყოფი, თუ სალი,
ყველა დროს ყავს მაძლარი
მადიანი მაგარი,
ყველა დროს ყავს მშიერი
ზეროს ნაცვლად ტიერი.
ყველა დროს ყავს გიჟები
ფიქრებით დასჯილები,
ყველა დროს ყავს გამცემი
ზურგში ლახვრის დამცემი,
ყველა დროს ყავს დურგალი
დანგრეულის მკურნალი.
ყველა დროს ყავს მოხუცი
ნასწავლი და კონფუცი,
ყველა დროს ყავს მხატვარი,
ყველა დროს ყავს პოეტი,
და ყველაზე მთავარი,
რომელია სონეტი?
ყველა დროს ყავს თავის გმირი,
დრო კი თვითონ გმირია,
კვდება გმირი, რჩება გრიმი,
დრო გმირების გრიმია.

აფრიკა

შორეულ აფრიკის მზით დამწვარ მხარეს,
ფაფარამლილი ლომების სევდას,
ერთი შეხედვით არც ისე მწარეს,
და ყოველ წუთში თავდასხმის ბედვას,

ადამიანიც იგივე ლომი,
იმ განსხვავებით რომ ის მხდალია,
მონაწილეა სულყველა ომის,
და ყველა წყაროს წყალი დალია,
შორეულ აფრიკის მზით დამწვარ მხარეს,
სადღაც ბაკონგოს ველურ ტომებში,
შველას რომ თხოვენ როკვებით მთვარეს,
და ბინა უდევთ ხეთა რტოებში,
სახეშეღებულს მოხატულ კანზე,
ოფლის ცვარი რომ ოხშივრად ასდის,
ბევრი რგოლები აუსხამს ტანზე,
და აქეთ-იქით გიჟივით დადის,
პატარა ველურს ანცი თვალებით,
წამახულ რქები დაუდგამს თავზე,
შემკული არის მრავალი მძივით,
და იქნებ ფიქრობს რალაცა ავზე,
მიშტერებია დაბმულ კაიმიანს,
მის უხემ ზურგს და წვეტიან კბილებს,
ხელში უჭირავს, სადღაც წაიყვანს,
და მიეცემა წინაპრულ ხილვებს,
შემოჰხვევიან გარშემო სხვებიც,
უცნაურ ბგერათა გაისმის ექო,
მათ შეძახილებს ბანს აძლევს მთებიც,
დარბიან მაგრამ არაფრით ეყოთ,
მზე ღებავს სურათს და აჩარჩოებს,
მათ საიდუმლოს სხივებში ნახავს,
ისმის ხმები და ბაკუნი ჯოხთა,
თითქოს ვიდაცა გულისწორს მარხავს,
შორეულ აფრიკის მზით დამწვარ მხარეს,
გაფატრულ ველზე აღვლენილ ლოცვას,
ეგზალტირებულ მართოლვარე ხმაურს,
სხვა მოდგმის ხალხი ეძახის ცოდვას.

სადღაც ცრემლებით სველდება ბალიში,
 სადღაც სიცილით ჰაერი თბება,
 სადღაც მინორულს უკრავს კლავიში,
 სადღაც ირღვევა ათივე მცნება,
 სადღაც მზის სხივი მოხვდა სარკმელებს,
 სადღაც მდინარის ყმუის ზვირთები,
 სადღაც ხატის წინ, წვავენ საკმეველს,
 სადღაც აფეთქდა ხეზე კვირტები,
 სადღაც უდაბნოს გაცხელდა ქვიშა,
 სადღაც ბავშვები დედას უხმობენ,
 სადღაც იპოვა ვილაცამ ნიშა,
 სადღაც გაყინულს ხელებს უთბობენ,
 სადღაც ბავშვებმა დაკარგეს დედა,
 სადღაც იესოს ჯვარზე აკრავენ,
 სადღაც გაყინულს დაეწყო ბნედა,
 სადღაც სიმართლეს ხელებს გაკრავენ,
 სადღაც დილის ჟამს მამალი ყვივის,
 სადღაც ცხოვრება თითქოს გაჩერდა,
 სადღაც მომაკვდავს უშრება პირი,
 სადღაც შავი თმა უცვებ გათეთრდა,
 სადღაც ველარ ძლებ და გულით ყვირი.
 სადღაც სიჩუმე იტყვის ყველაფერს.
 ჰიმალაებში აცეკვდა შივა,
 როცა სამყარო იშვა ახლიდან.
 მრავალჯერ ფერფლად იქცევა გენი,
 ახლა ზღვას ლუპავს გემი გაღმიდან...
 ირღვევა წესრიგი კოსმიურ ძალთა,
 წითელი ედება მიწის ნაპირებს,
 სამყაროს ეხევა ფარჩათა კალთა,
 და წყვეტა ელით დიად ბაგირებს.
 როცა აღდგება ფენიქსი ზღაპრად,
 სამყარო ქრება და ჩნდება ახლად,
 ისევ შობილი ტალღა ქიმებზე,

მუსიკას ბადებს, როგორც სიმებზე,
ჰარმონია შობს ახლა ქაოსებს,
ქაოსი მერე ქაოსს აოსებს,
დაბადება და მერე სიკვდილი
და უთვალავჯერ მერე სიცილი...
ცაზე მონყვეტა ვარსკვლავის ისევ,
იდუმალ ხმათა ყიჟინას ისევს,
გამოუცნობი ისევ ზვარები,
უსაზღვრო ფიქრთა წვება ზვაგები.
ჰიმალებში აცეკვდა შივა
შემდეგ სამყარო ახლიდან იშვა,
ტარიელივით ემოსა მასაც
კაბა „გარე თმა“ ვეფხვისა ტყავის,
მასაც მოუკლავს ოდესლაც მხეცი,
რომლის თვეებიც* ამ წელში ყვავის...

თვეები* - ლაპარაკია ვეფხვის წელიწადში არსებულ თვეებზე
2022 წ - ვეფხვის წელიწადია

ირენ ნიგი დაიბადა 1955 წელს შაანში (ლიხტენშტაინის სამთავრო). 1981-1984 წწ. სწავლობდა ფრიბურგის (შვეიცარია) უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. ნიგი თანამშრომლობდა რამდენიმე ევროპულ გაზეთთან და ჟურნალთან, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან საზოგადოებასთან ურთიერთობის განხრით. 1997-1999 წწ. ირენ ნიგი PR-განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა ასოციაციაში Aktion Miteinander, რომელიც იცავს ლიხტენშტაინში მცხოვრები უცხოელების უფლებებს.



ირენ ნიგმა ლიტერატურული მოღვაწეობა 1980-იან წლებში დაიწყო. მისი პირველი მოკლე პროზაული ნაწარმოებები 1987 წელს დაიბეჭდა ლიხტენშტაინის ლიტერატურულ ჟურნალებში. 1988 წ. გამოვიდა ი. ნიგის პირველი წიგნი სახელწოდებით „Fieberzeit“. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ 2005 წელს მისი 19 მინიატურა შევიდა კრებულში სახელწოდებით Land Sichten II. 2006 წელს, გამოქვეყნდა ირენ ნიგის მეორე წიგნი „Man wortet sich die Orte selbst“, რომლისთვისაც 2011 წელს ევროკავშირის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა.

ირენ ნიგი 2017 წელს თბილისის ავსტრიული ბიბლიოთეკის მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში.

ირენ ნიგის ოცდაათამდე მინიატურა ითარგმნა ქართულ ენაზე და 2017-2018 წლებში გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და ჟურნალ „აფრაში“.



თეთრი ცის ფონზე ოი, ბუზები! ჩუმი ბზუილით არხვევენ ჰაერს. შევცქერი მათ და უკვე ლამის თავბრუ მეხვევა. ათასი კითხვა! აქ რასა იქმთ, ვერ შევლიეთ ნოემბრის ჰაერს? პასუხი არ ჩანს. კარგი, მორჩა - ვეუბნები და ვიხსნი სათვალეს, მოდი უბრალოდ, ვითამაშოთ! დღითი დღე ერთში ვრწმუნდები მხოლოდ-შეუცნობელი რომ არს ყოველი, ჰო, არ ვიცი არც არაფერი! ~ ჰოი, ბუზებო, როგორ მიჭირს იმის გაგება, რომ ასე ციცქნებს! ასე იოლად შეგიძლიათ ზეცაში ფრენა.

ლოცვა

შავი ხავერდი, უნაზესთაგანი, კეცილნაოჭა! ფრთებია, და რა?... გარეთ თოვლია, პირველი. ფიფქები მოგრძო, სიფრიფანა საცეცებია.... რხევა,! ტრიალი... ეჰ, აწი რაღა....ზის ფანჯარასთან, რაფას თითქოს აჰკვრია გული. ესაა ჩემი დაკეცილი, ნაოჭა.... ფრთები.

აბა ჰე!

მუხის გულიდან ამომსკდარი გაბმული ხმობა, შეიძრა თითქოს მთელი სამყარო: სათათბიროდ თუ შეკრებილან? ბელურებს დღეს არა სცალიათ. ჯგუფად ესხმიან თავს პურის ყანას, ჩაეფლობიან თავით და ჟივჟივებენ ერთხანს მსუნაგად. ჩემთან ინება პეპელამ და მოკალათდა წამით ჩემს ხელზე. ჰოი! ასეთს პირველად ვხედავ-თითქოსდა შენიღბულა, უცხო ფერზე, არავინ იცნოს! თავიც ისე მიუგავს ბაყაყს. ეჰ, ვეღარ ვცნობ ჩემ ხალხს! ვეუბნები- ვინა ხარ მეთქი? სადღაა, უმალ გაფრენილა. ვისლა ვკითხო, ვინ მიპასუხებს, თუ რად არის საზაფხულო ყველა სიმღერა ასე აღსავსე მელანქოლიით? არადა, ახლა ხომ ხალისობს თვით პურის ყანაც, ღელვავს, ბიბინებს. და პანანა ბელურები, ვიშ, უზუსტესი იერიშით ზეციდან მიზანს თვისას ელტვიან...და მაინც, ნეტავ რა გრძნობაა ~ როცა ფლობ შენში ძალას ასე ფრენისა...



ფიონი ავდარს ამზადებს და ქარიშხლის სუნი ტრიალებს, აათა-
 მაშა ფერთა ტონები: სამყარო ცისფერმონაცრისფროა. ზეცას კი
 ეკვრის რუხნაცრისფერი, ვერცხლისფრად ელავს ხეების რიგი.
 ბობოქრობს ზღვა და ირღვევა ზეცა... გუნდ-გუნდი ღრუბლის
 ქულები. მათ უკან სხივი იჭვრიტება. ცარგვალზე ქათქათა ცხო-
 ველთა გუნდი ბორგავს და გორავს, თუ კომეტაა? ვერცხლის
 შლეიფი, ვერცხლი ~ ეს ქარში ბალახს ედება. ხეებიც ამეტყველ-
 დნენ! შფოთავენ. მალე ფენიქსიც გამოჩნდება, ~ ჯერ კი ფერფლი!
 მოაქვს ქარს.

ირენ ნიგი, 2008

გერმანულიდან თარგმნა ლალი ბერიძემ


ბარ
 მინა
 (1991-0991) სელიკა კიხიკა ილუგანობცხ
 (1990-1991) Ausgesetzt auf den Sedimenten des Rheins
 იარობს
 მალე
 გორავს
 მყინვარის ზიბიბო ქე
 და ვაგბ რილბე ლეს მამბენ
 ვაგლ ტმბოფიქ აფ ილუგანობცხ
 ან სადღა ვაგოი რიპიფმ
 გზები თავუფესსმბგ ეილენობო
 წვალბერგილუბი ქეგლხსგ აფ
 ვიგლეჯენ მარღვებს ქმცგ
 ვიბმოზენ სუნთქვას
 უეშველოი II
 წელის პირს მენ
 მემოვენაპოთ რამ ენოვგონ
 დენილ ილუბნეოტენ

ჰანსიორგ კვადერერი

Hansjörg Quaderer ჰანსიორგ კვადერერი - ლიხტენშტაინელი მწერალი, მხატვარი და გამომცემელი.

დაიბადა 1958 წელს. სწავლობდა ბოლონიისა და ურბანოს ხელოვნების აკადემიებში. არის ლიხტენშტაინის უნივერსიტეტის დოცენტი. ამჟამად ცხოვრობს შანაში (ლიხტენშტაინი).

2019 წლის მაისში თბილისის ავსტრიული ბიბლიოთეკის მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში.



შეტოვებული რაინის ნარიჟს (1990-1991)

„Ausgesetzt auf den Sedimenten des Rheins“ (1990-1991)

I
 ეს რაინია
 შენთან სულ ახლო
 თანამავალი და საფროთხე
 მდინარე
 რომელიც გმართავს
 და გაძღვევს
 გეზს

II
 შენ
 მოკალმე ხარ
 შეტოვებული

რაინის ნაპირს
მდინარის ნარიყს
და
ლოტით სინჯავ
ბუნებოვნებას
ყოველი
საგნის
კენჭებს ასველებ
უდიდეს რიდით
სტრიქონებს
მისდევ
ნანერს
მდინარის

ქმტემ
იონფაქნგაო
VI
იე
ციგოლოცხრე
ძიონინამ
იქმეს
იონიგარ
იქრეს
ილოთიფე
იტოტ
იულუნტრ
იქტმოს

III

შენ
ხარ
მდინარე
პულსს
გრძნობ
იარებს
მალავ
გოროზ
მყინვარის
და ვაებ
ვაგლახ მე
ან სადლა ვპოვო
გზები თავდახსნის
წყალხერგილები
გიგლეჯენ ძარღვებს
გიხშობენ სუნთქვას
ვუშველოთ
წყლის პირს
შემოვუნახოთ
დევნით

ინაფიქ
ინგელოზ
ინბოზნიფე
ინგელოცქსამ
იფილიფიონიმ
იულტეფხეც
ინცეს
ინტეშკოტენ
ინცეცეც
იფიოფლოტი
იოტულეტიტრენ
იულტეკოტენ
ეფეს
ონენ თიოთამ
იულტეცქსამ
ეფ თამძე
იულტეს
ოქრეცე
იულიტეშტონ ძიონინამ
არტეცე ძიონიგე
ეფ

ნატანს
თავშესაფარი

IV
აი
არქეოლოგია
ნაპირის
კენჭი
ბაგირი
ქერქი
ფოთოლი
ტოტი
ბუმბული
თუნუქი
სილაში
მორევში
ქვიშრობში
ნამსხვრევები
მიმოყრილი და
გაძეგებული
ჭკები
მერცხლები
ყვავები
იეროგლიფი
ვერტიკალური
მარცვალი
სადა
ნათლით შემოსილი
სასტვენელი
უხმო და
კვალი
უგარსო
ნაპირს შერჩენილი
ქვიშის ვენერა
და

ორაკული IV
ლოტი და ხალი
და კენჭი
სიცარიელეშემოვლებული
სიცარიელით
განათებული.

V
გაყვითლებულა
რბილნიწვიანა
მსხვერვა
დრო-ჟამის
ქროლვა ფიონის
მისდევს
ამოკი
ფერნაცვალ
დომბებს
ძირკვი
წყლის პირას
სიყვითლე
ცისტერნის
ყურს უგდებ
ხმას და
უმზერ
ნალვერდალს
ქვიშასა და
ფერფლს შორის
შეუსახლდები
ბოლოს
საკუთარი
ცეცხლის ნაპრალს
და შენც
მდინარეს მიეკუთვნები

VI

ციურ შუქივით
მოდის
მალლიდან
აცოცხლებს
წყლისპირს
ადამიანს
რაინი
მიედინება
და მოედინება
ფრთოსნებს მოუძღვის
ანყობს
მოზაიკას
დუმილის ირგვლივ
ხერგილებს გადის
წყალი
ჭრის
და კვალავს
დერეფნებს
ლოკავს
პიგმენტს
გახურებულ კენჭების
მდინარე
მზაქმნილ
ლანდშაფტში

VII

ერთ სუნთქვად
ქცეულა
ხეობა
და
მდინარე
ფანჯარა
და
ფიგურა

სინათლის ზოლი
ცხოვრების ხაზი

VIII

ჩაძირულა
ლამის მდუმარებაში
ბორგავს
რაინი
ხეობის
გულისცემა
ფეთქვა
ლანდშაფტის
არტერიის

IX

მეინვარის
ნანერი
სხივებად
ეფინება
ქვიშის
კენჭების
და
წყლის
სუფთა
პასაჟებს
... ასე გგონია,
ძალა მოგეცა
და
დროის ფოროვან კანს
საცაა
ხელითაც შეეხები

X

გავყვით ჰიოლდერლინს
...რადგან კაცს ყველაზე მეტად საკუთრების
თავისუფლად გამოყენება უჭირს.¹
როგორ ხდება ლანდშაფტი შემოქმედი?
იქ, სადაც სათავეს იღებს
სხარტია რაინი, სიტყვაუხვი, ვერტიკალური.
შემდგომ მენდრეები, მდინარის კლაკნილები,
უბორკავენ ენას,
ზღუდეს უგებენ შიდა ნაპირების.
მიტოვებულია პოეზია
ნარიყის დევნილობაში,
სადაც რამ იდუმალება კვლავაც
ნებისად გარდმოდის.²
ესწრაფვის ლანდშაფტი
და პოეზია
კუთვნილ ადგილს, სიმყუდროვეს თავშესაფარის.
იქ, თავისთან, მდინარეთში
განისხნება არსი პოეზიის.
გამოცანაა, სინმინდისგან რაც წარმოიშვის
და გალობასაც არ აქვს ნება მისი გამხელის
წამოიწყებ და იქვე შედგები.³
თავდამკვიდრებას ელტვის რაინი?
ქვიშრობი არის ადგილი,
სადაც უნდა განცხადდეს
წარურთმეველი უფლება მისი.
Habeas Corpus -
Habeas Rhenum!

¹ ციტატა ფრიდრიჰ ჰიოლდერლინის წერილიდან კაზიმირ ულრიჰ ბიო-
ლენდორფისადმი, 1801 წ. 4 დეკემბერი
² ფრიდრიჰ ჰიოლდერლინის ლექსიდან: რაინი (თარგმანი ნაირა
გელაშვილის)
³ ფრიდრიჰ ჰიოლდერლინის ლექსიდან: რაინი (თარგმანი ნაირა გელაშ-
ვილის)

XI
შეგონება
მდინარის
არის
ჰქმნა
ბუნება
სინატიფე
და ნათელი.

XII
ადამიანი
მდინარეში
ფაქიზი
ნაპირებისკენ
პირქმნილი.

გერმანულიდან თარგმნა მზია გალდავაძემ

გიორგობა საგარეჯოში

არ არსებობს ერთი და იგივე გზა! ერთი და იმავე გზას ერთნაირად ვერ გაივლი, მოგზაურობა ძალიან ლამაზია, მოულოდნელობით აღსავსე, ხოლო, თუ მოგზაურობ ნარსულში, კიდევ უფრო მრავალფეროვანია და განსაკუთრებით საინტერესო ბავშვობაა. მაშინ დაახლოვებით 35 წლის წინ მივდიოდით საგარეჯოში, დედუღეთში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ჰყავდათ 3 შვილი, ბიჭები, რომლებიც მიჰყავდათ ბებიასთან. სიხარულით, ბედნიერებით სავსენი მეცხრე ცაზე იყვნენ, იქ ელოდებოდათ ბებია ლიუბა, ბიძა სოსო, ნინიკო და ლევანი – ბიძაშვილები, მათ ძლიან უყვარდათ ერთმანეთი და ერთი მეორეს და-ძმისაგან ვერ არჩევდნენ.

ჩვენი ჩასვლა საგარეჯოში უკავშირდებოდა გიორგობის დღესასწაულს, აღარ მახსოვს ეს გაზაფხული იყო თუ შემოდგომა, მახსოვს რომ ნისლი იყო, უფრო ცრიდა. ტრადიციულად შევხვდით ერთმანეთს საგარეჯოში, შემდეგ აუცილებლად უხუცესი ნათესავი უნდა გვენახა, ეს იყო სონია პაპიდა. გზაში როლიკო ძია დაგვხვდებოდა თავისი ჩვეული ღიმილით, უკვე ნასვამი, მოგვესალმებოდა, ჩაგვიკრავდა გულში - „რამხელები დაზრდილხართო“ გვეტყოდა და პაპიდასთან შეგვიყვანდა. პაპიდას უკვე აღარ შეეძლო სიარული, ამიტომ სანოლზე იწვა, ჩვენს დანახვაზე თვალები აენტებოდა, გვეფერებოდა ყველას, სახელებით მოგვემართავდა და მოგვეკითხავდა, ხან და ხან ჩონგურს გადმოიღებდა და სიმღერას გვიმღერებდა. იმ გიორგობა დღეს ეგრეც მოხდა, სონია პაპიდა მღეროდა ჩვენ კი გაქცევა და ეზოში თამაში გვინდოდა, თან ვიცოდით, რომ ბიძაშვილები: შალვა, ნატო, ლელა, არჩილი, მთელი სამეგობრო გველოდებოდა: ფანოზიანთ გიორგა, სულხანი, ზურა, გოგიას ბიჭები – ლადო და ტანტულა ლევანი, მაგრამ პატივისცემა უნდა გამოგვეჩინა უფროსის მიმართ და სიმღერისთვის ბოლომდე მოგვესმინა. ასეც მოხდა, სონია პაპიდამ დაასრულა სიმღერა და

დაგვემშვიდობა, უფილტრო სიგარეტი გრძელ ხელითნაკვეთ სპილოსძვლისფერ მუშტუკს გაუკეთა, ორი თითით ნაზად ასანთო ასანთი და კმაყოფილებით გააბოლა თუთუნი.

ეზოში ყველანი შევიკრიბეთ და როდესაც დავაპირეთ დამალობანას თამაში, მოვიდნენ მშობლები და გამოგვიცხადეს, რომ მივდიოდით ნაცვლიანთ გორაზე ასე – ეძახიან ერთ ერთ სასაფლაოს საგარეჯოში, სადაც ძირითადად ნაცვლიშვილების გვარისანი არიან დაკრძალული. აღმართს მანქანით მიუწყვებით. დედამ:

- ბავშვებო, ამ შემოლობილ ბაღს ხომ ხედავთ? – ეს ჩვენი იყო! ეს ჩვენი ნამოსახლარია! მოვა დრო და ჩვენ ამ ბაღს უკან დავიბრუნებთ, ან ვიყიდით და ავაშენეთ დიიიდ ლამაზ სახლს, ისეთს, რომელშიც ყველანი დავეტევით!

- ნინიკო და ლევანიც იქნებიან? იკითხა ცნობისმოყვარე ზვიადმა.

- კი, აბა რა! გაელიმა მამაჩემს

- პატრიკა და კახაც? აგრძელებს ზვიადი.

- აბა, რა! დიდი სახლი იქნება და ყველანი დავეტევით, თან ელიმება მამას, სარკეში მოჩანს.

ამ ბალიდან 300 მეტრში პაპა ლეოს საფლავია, ისედაც მოვლილ და განკურიალებულ საფლავს ლუბა ბებო სუფთა ჩვრით მტვერს წმენდს და საფლავის ზემოდან დაყრილ შავ მიწაზე ჩვენს ნაფეხურებს აკვირდება.

- გამოდით ნუ დადიხართ ზედ, მკაცრად გვეუბნება დედა და თან სანთელს ანთებს სასანთლე ნიშაში.

- იარონ, მის გულზე იარონ, შეეშვი ნატელა, ლეოს გაეხარდება, ბებოს ნათქვამზე დედას ელიმება და აღარ გვიბრაზდება.

- ზვიადი სად წავიდა? – კითხულობს დედა

- მიდი ვასი, ჩამოიყვანე ტყეში არ შევიდეს მითხრა მამამ, მე და ნინიკო მივედით ზვიადთან, იქვე, 50 მეტრში, ტყის პირას პატარა მოჭრილი ტოტები ენახა და ელენე ბაბოს ნაჩუქარი თევზის ფორმის ლურჯი პატარა დანით ასუფთავებდა.

- ვაიმევე! რა ლამაზი ყვავილებიაა! – დაიძახა ნინიკომ. მართლაც ულამაზესი, მოიისფრო, მოლურჯო ყვავილები (ზვიადი ყვავილებზე ფეხებით ზედ იდგა, ილლიით რამდენიმე ტოტი დაეჭირა და თან კიდევ ერთი ჯოხის გათლას ცდილობდა).

- მოდი ამოვთხაროთ და ლეო პაპას საფლავზე დავრგოთ,
თქვა ნინიკომ.

- კარგი, ოღონდ ფესვებიანად, სხვანაირად არ გაიხარებს -
ვუთხარი და შევუდექით საქმეს, ბავშვებმა ზოგი ფესვებიანად
ამოვთხარეთ, ზოგიც ისე მოვწყვიტეთ, წამოვიღეთ და ჩვენი
ჭკუით საფლავზე დავრგეთ.

- არ გაიხარებს ვასი, მითხრეს უფროსებმა,

- თუ ლეო პაპას მოეწონება, - გაიხარებს გაბუსხულმა მკაც-
რად ვუთხარი, (მართლაც გაიხარა და დღესაც ალამაზებს
იქაურობას).

შემდეგ წამოვედით წმინდა გიორგის ეკლესიაში. ლამაზი სანა-
ხავი იყო ნისლის ტყეობაში გახვეული ტაძარი. მივედით, სადაც
ბიძა სოსო, მისი ძმაკაცები და თანამშრომლები გველოდებოდნენ.
ცხვარი დაკლული იყო და, როგორც მახსენდება, არა ერთი. პირ-
დაპირ ეკლესიის წინ იყო სუფრა გაშლილი, გვერდით გაზის ქურა-
ზე შემდგარ დიდ ქვაბში ხაშლამა თუხთუხებდა, ეკლესიის გვერ-
დით წალმის ნაკვერჩხალზე მწვადი იწვებოდა, ხოლო გვერდით
ხის შამფურებზე წამოცმული ხორცის ნაჭრები იქვე უცნაურ
პატარა ხის გობზე იდო და თავის რიგს ელოდებოდა.

შემდეგ წყალი მოგვწყუდა, გადავწყვიტეთ წყაროზე ჩავსული-
ყავით, დედამ:

- ამ ბილიკს გაუყევით და წყარომდე მიგიყვანთ, ოღონდ
ბილიკიდან არ გადაუხვიოთ, დაიკარგებით და ტყეში კიდევ შეიძ-
ლება მგელი იყოსო, თან დამაბარა - ბავშვებს მიხედო. ზვიადმა
თავისი გათლილი ჯოხები დაურიგა ბავშვებს, დავდექით ერთ
ხაზში და გავუყევით ნისლიან ბილიკს, მეც ზვიადს ვაქცედი
ყურადღებას, რომ სადმე არ ჩავარდნილიყო, ან ხიდან არ ჩამო-
ვარდნილიყო, ან მგელი კუდით არ დაეჭირა, დათვისთვის ბელები
არ მოეპარა, ფოცხვერი უღვაშებით არ დაეთრია... მოკლედ თარ-
სი იყო და მოუსვენარი, ბილიკის გარშემო დარბოდა, თან თავის
გამოთლილ ჯოხს აქეთ-იქით იქნევდა და მგლებს აშინებდა.

ჩავედით წყაროზე, წყაროს პატარა მილიდან გადმოსული
წყალი პეშვით დავლიეთ და მოვიკალით წყურვილი, მთიდან დაგო-
რებული ნისლი ხეებში იკარგებოდა, ტყეს ამოძრავებდა და

საშიშად გამოიყურებოდა, უფროსების ხმაური შორიდან მოისმოდა, შეშინებულებმა სირბილით ამოვირბინეთ აღმართი და დავბრუნდით ეკლესიასთან, ბავშვები დედას ჩავაბარე და მივედი იქვე მყოფ ბებოსთან.

ბებო, ლიუბოვ მიხაელოვნა სამოპალენკო შავი ტანსაცმელით შემოსილი, თეთრი სლავური ტიპის უკრაინელი ქალბატონი, რომელსაც შავი ტანსაცმლის გარდა სხვა ფერის არაფერი ჩაუცვამს მას შემდეგ, რაც პაპა გარდაიცვალა. ბებო დაიბადა საქართველოში, ჩემი დიდი პაპა მიხაილო იყო კიევიდან, ბოლშევიკი, კომუნისტური პარტიის ალბათ ერთ-ერთი პირველი წევრი და მე-11 წითელი არმიის წითელი კომისარი, თუმცა თავისმა თანაპარტიელებმა 1920-იანი წლების მიწურულს „დაუფასეს“ კომუნისტური სამშობლოსთვის სამსახური და გააქრეს, მისი საფლავიც კი არავინ იცის. ბებოს აღზრდა მოუწია მარტოდ დარჩენილ დედას ანნა ნიკონოვს და მის პაპას ნიკიტას, ასე რუსულ და კომუნისტურ გარემოში გაზრდილი ბებიაჩემი მხოლოდ ქართულად, რუსული აქცენტით გველაპარაკებოდა ჩვენ და თავის შვილებს (ერთხელ საგარეჯოში ბიძაჩემმა სუფრაზე თქვა, დედა რუსი მყავსო, რამაც ბებიაჩემის გულისწყრომა გამოიწვია და მკაცრად უთხრა - მე რუსი კი არა უკრაინელი ვარ!, რით ვერ დაიმახსოვრეო, ბიძაჩემმა ბოდიში მოიხადა).

მოკლედ, კომუნისტური იდეებითა და საბჭოთა ცხოვრებით აღზრდილ ლუბა ბებოს, წმინდა გიორგის ეკლესიასთან, უკანა მხარეს დაეკაპინებინა ხელები და მიწიდან რალაცას იღებდა და გვერდზე დებდა, მივედი:

- ფრთხილად, შვილო, არ ჩავარდე! მითხრა, ჩემს გარშემო რამდენიმე პატარა ქვევრი შევამჩნიე ზოგს თავზე თხელი მრგვალი რიყის ქვა ეფარა, ზოგიც ღია იყო.

- ლუბა ბებო, რატომ იღებ ტალახს მაგ ქვევრიდან?

- შვილო, მადლია, ამ ქვევრების გასუფთავებით მადლი მიუვათ ზევით, ლეო პაპას შეეწევა.

- ეგ რანაირად?

- ღმერთი დაეხმარება!

- სკოლაში გვასწავლეს, რომ ღმერთი არ არსებობს და ცრუ რწმენაა ეს ყველაფერი, ბებიაჩემს გაეცინა და ღიმილით მითხრა:

- შეიძლება ღმერთი შენს სკოლაში არ არსებობდეს, მაგრამ ადამიანის გულში ყოველთვის არის!

- ეგ როგორ უნდა მიეხვდე?

- რომ გაიზრდები იგრძნობ!

მეც დავიმუხლე პატარა ქვევრების გასასუფთავებლად, შიგნით გამხმარი ბალახი, ტალახი და წვიმის წყლი იყო ჩასული:

- არ გინდა, შვილო, ეს ჩემი გასაკეთებელია, შენ მიდი სუფრაზე საქმელი ჭამე. მეც დავემორჩილე და მივედი სუფრასთან, სახელდახელოდ გაეკეთებინათ ხის მაგიდა, უფრო ფეხშუმი და ხის სკამები ჩამოსაჯდომად.

- აბა! გიორგობას გაუმარჯოს, ჩვენი მამა-პაპათა ადათსა და წესს! თქვა თამადამ და ყანნი ჩამოცალა,

- მოდი შვილო, დაჯექ ჩემს გვერდით ჩაიჩორა ბიძაჩემის ძმაკაცმა დათო ქურხულმა, თეფშზე ცოტა „ოლივიე“-ს სალათა გადმოვილე და ჭამა დავიწყე,

- ჯოო! სიცილით აგრძელებს დათო ძია, - ქალაქელი როა, როგო ეტყობა! ხაშლამა გადაილე, ხაშლამა, ჯოო! და მიმითითა სუფრის შუაში მდგარ ხის გობზე, დავაკვირდი, დანისა და ნაჯახის ნაჩხით გადაღლილ ძველებურ ჯამს აქეთ-იქეთ შერჩენილი ჰქონდა სხვადასხვა ფერის ორნამენტების ნაწილები, ვფიქრობდი, რომ ეს ფერები სადღაც მენახა.

- ბიოო, უყურე ახლა! სიცილით აგრძელებენ კახელები - რო თამთამებს, უკეთესია. მეც ვარჩევ, ქონიანი არ მიყვარს, თვალით ვეძებ მჭლეს, მოვიმარჯვე ჩანგალი, ჩავარჭე ხაშლამის მჭლე ნაწილს და გადმოვილე,

- უყურე შენა! ქალაქელია მეთქი! ხელით უფრო გემრიელია, ბიო! დათო ძიამ ხელი მოჰკიდა ერთ დიდ მსუქან ხაშლამის ნაჭერს და ხის გობის შუაგულიდან გადმომიღო, გობიდან რაღაც ოქროსფერმა გამოანათა, გამიკვირდა, ავილე პურის ნაჭერი და ის ადგილი გავწმინდე,

- აა კაცი! აგრძელებენ ჩემზე საუბარს - ცხიმიანი მოიწონს! ჯიგარი მაინც კახური ააქვს!, თან ილიმებიან, პური გავუსვი და გობიდან ხელი გამოჩნდა, ცოტაც და შუბის ბუნიკი, შემემინდა მსგავსი რამ წიგნებში და მუზეუმში მენახა მხოლოდ.

- მამა, ნახე მა, ეს რა არის, მე მგონი, ძველებურია, მა ხოო?

- შვილო! გაგარძელეს კახელებმა, - ბავშვობიდან ამ გობებზე ვჩეხამთ და ვკეპამთ ხორცსა, გიორგობას, რომ ავლნიშნამთ, მეგრ მე გავრეცხამთ და ეკლესიაში ვინახამთ ხოლმე, ეგრეთი რამდენია შიგნითა. მამას გაელიმა, მაგრამ მოითხოვა გობი,

- გადაილეთ ყველამ ბიო! ყველამ ხაშლამა გადაილო და გობიც განთავისუფლდა. მამამ გულდასმით დაათვალიერა ხის დაფა, დანებითა და ნაჯახებით დასახიჩრებულს ადგილ-ადგილ შერჩენოდა ფერები.

- ეს კაცი მართალია, სოსო - აგერ შუბის ბუნიკი, ხელი, ცოტა გვერდით გაასუბთავა - დიადემა, მამაჩემს ფერი წაუვიდა - წმინდა გიორგის ხატია, სოსო! წამით სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე მომსახურე პერსონალმა დაარღვია მწვადით გადავსებული სხვა „გობი“ მოიტანა. ხრინწიანი ხმით ხმამალლა:

- რა ხატი, კაცო, რი ხატი! გობია!, ძველი გობი!, ხაშ-ლა-მის! მწვა-დის! თავდაჯერებულმა ღიმილით დაგვიმარცვლა. შეტრიალდა და ეკლესიიდან ორი გაუბედურებული უფრო დიდი ზომის „გობი“ გამოიტანა, ორივეს შუაგული ნაჩეხებისაგან გათხელებული ჰქონდათ, მხოლოდ გარშემო მოჩანდა აქა-იქ შერჩენილი ფერები, -ამაზე ხორცს ვჩეხამთ, ამით ხაშლამა და მწვადი მოგვაქვს სუფრაზე, მათ! (როგორც, ჩანს პატივი გვცეს და შედარებით დაუზიანებელი „გობი“ გამოგვიტანეს) ბოლოს მამაჩემმა გამოაცხადა:

- ამათი ადგილი მუზეუმშია! მასპინძელი ცოტა უკმაყოფილოდ შეხვდა ამ განცხადებას, ჩაიბურღლუნა - ჯამებია კაცო. ბიძაჩემმა გააგრძელა:

- რახან ამბობს კაცი, ესე იგი იცის, რკინის თასები აღარ გვაქვს, რომ მუზეუმის ექსპონატები ჯამებად არ გამოვიყენოთ, კაცო!

- ახლავე, ლევანიჩ, ახლავე! სამი თუ ოთხი ხატი გარეცხეს და უკან ეკლესიაში დააბრუნეს.

ბიძაჩემმა წინაპრების სადღეგრძელო თქვა, რქანითელმაც ხმა ამოიღო და კახელებმაც მრავალჯამიერი დააგუგუნეს. ამ დროს მოვიდა ჩემთან ჩემი ბიძაშვილი ნინიკო და ყურში მეჩურჩულება:

- ვასო ვილაც თემურია მოსული, მე და ლევანს ჯოხები წავართვა და არ გვაძლევს, თან იგინება კიდეც, მე ვუთხარი, ვასიკოს ვეტყვი, მოჭიდავეა, ნახე რას გიზამს მეთქი!, იმანაც მითხრა,

იმასაც ვცემ, შენცო და შემოგვაგინა. რა უნდა მექნა... წაყვევი ნინიკოს, დაღმართი რომ ჩავიარეთ დავინახე ჩემი წლოვანების ჩემი სიმაღლის ოღონდ უფრო ჩაფსკენილი ბიჭი დგას დიდ ბიჭებთან ერთად:

- ვერ მოერევი!,
- რას ვერ მოვერევი!, ყველას ერთად ვცემ იმ ქალაქელებსა!
იმუქრება თემური, მივედი,
- მოჭიდავე ხარ?

- კი! ვუთხარი ომახიანად
- რა ჩემი ფეხების მოჭიდავე ხარ! ძლიერად მკრა ხელი, კინალამ წავიქეცი, მოგვიდე ხელი და მოგვერდზე წამოვიდე, დავაგდე, მაგრამ თემო ჯანიანი აღმოჩნდა, გადმომითრია და ზემოდან მოექცა, უნდოდა ჩაერთყა, მაგრამ კვლავ გადავატრიალე, მოკლედ იმ ქვიან და მტვრიან გზაზე ვიგორავეთ მე და თემურამ, დიდმა ბიჭებმა სიცილით გაგვაშველეს, მერე თემო გაიყვანეს და რალაცას ელაპარაკნენ, შემდეგ მოიყვანეს დაგვაყენეს პირისპირ:

- მაგრები ყოფილხართ, ჩამოართვით ხელი ერთმანეთს და შერიგდით, ერთმანეთს ჩაეხუტეთო, ჩამოვართვით ხელი და ჩავეხუტეთ, თემო ყურში მეუბნება:

- ვასო, ბიძაშვილი ყოფილხარ, თორემ გაგხეთქავდი შუაზე, რომ იცოდე,

- თემო, ჯოხები სად წაიღე?

- ენდე, ბუჩქებშია, თვალით მიმითითა ადგილი. ასე გავიცანი ბიძაშვილი თემურ მეზვრიშვილი „სათოფე“, მასთან ერთად გიორგი „შიბაქა“, ნინიკომ და ლევანმა ჯოხები დაიბრუნეს!, მე კი დავბრუნდი სუფრაზე ამოგანგლული. მამაჩემმა რომ დამინახა მკითხა:

-რა დაგემართა, ვასი?

- დაღმართზე დავგორდი!

- ხომ არაფერი იტკინე?

- არა მა! ეს ყველაფერი მიიღეს ჩვეულებრივ, იმიტომ, რომ დაღმართზე დავგორდი!;) თამადამ კიდევ პატარებისა და სიცოცხლის სადღეგრძელო შესვა, მასპინძელმა ჩაქაფული რკინის ჯამით მოიტანა, შეციებული ხაშლამის რკინის ჯამი კი შესაცხელებლად გაიტანა!

მზიური დათიაშვილი-აფციაური



ცნა

ვუძღვნი ჩემი ბავშვობის მეგობარს,
თანაკლასელს.

„მზე ტირს სისხლისა ცრემლითა,
ზღვისაცა მეტის-მეტითა,
იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი,
ვა, ჩემთა სისხლის ხვრეპითა!“
(ვეფხისტყაოსანი)

„სამინელი სანახაობა! ქალი ფანჯრისაკენ განუულიყო, ალბათ
გაღება უნდოდა, მის ფერხთით, ფანჯარასთან, გასრესილი ყვავი-
ლები ეყარა, დაკრუნჩხული თითები გასისხლიანებოდა, – ყველა-
ფერი იმაზე მეტყველებდა, რომ საბრალო უიმედოდ იბრძოდა.
ფანჯრის გასაღებად და სულის მოსათქმელად – კაცი არ
უშვებდა...“

ნიკოს კაზანძაკისი („გველი და შროშანი“)

I
იცი? – რას ბორგავს სული მჩქეფარე,
რას ჩირიკობენ სულის სიმები?
მე საიდუმლოს ჩემსას ვეფარე
და ზღაპარს ჰგავდა სევდის გმირები...

II
გამოუცნობი, სასიცოცხლო ძალით მოსილი,
ამქვეყნიური, სულის დიდი ეროტიადი,
ვერ გადაურჩა, ვერც ზევსი, ვერც მედილიანი,
ამ სიყვარულმა გამონურა აზრი დიადი.
გამოუცნობი გრძნობათაღელვის ეს ილიადი,
და მსხვერპლშენირვის ტრაგიკული მწე მირმია დი,
ახლაც ბატონობს ყვავილებს ხვავ-გირლიან დი,
დედამინაზე, ბევრ ნახნაგა ქვა ბრილიანტით...
ბუნების აზრი: სიტყვამნიფე ძალა – ეროსი,
გამეფებულა, მას ვერ ჩრდილავს ლან დი ჩეროსი,
ვერც ვერას აკლებს, მუქარები ძლიერ სპეროსი –
ეს არის ძალა სიყვარულის მომცემ ღეროსი...

III
ბუნებავ, – შენი ტოლი ვინ არის?
მეტოქეობას გაგინევს ვინმე? –
შენ ასაზრდოვე ძალით მთის ქარი,
წყაროს ნაკადი ასვი „საირმეს“.
ბუნებავ, შენზე უდიადესი,
არც სულიერი, არც ხორციელი,
არ შეუქმნია დღემდე განგებას,
ვერ ვპოვე შენზე სულით ძლიერი.
შენგან გადმოდის ეს ყველაფერი,
სული და საზრდო შენი მიერი,
და შემოგყურებს სულ მონინებით,
ყველა არსება აქ მინიერი...

შენვე ბადებ და შენვე აღავსებ,
უმკაცრესი ხარ, თან თვინიერი,
და უსამართლოდ არავის დასჯი,
სამართლიანის ხარ მადლიერი...
მაგრამ ორივე მაინც შენია
შენი სულიდან წარმოჩენილი,
ერთი გაიგებს, მეორე – ვერა,
და გრჩება ბევრიც, სულით შთენილი...
ყველას პატრონობ, ყველას უსმენ, და
ყველა შედეგით კმაყოფილია...
ხარი ოფლსა ღვრის, მიწას რომ ებრძვის,
სახნისი მისი გაცვეთილია...
შენა ხარ დიდი წესი და რიგი,
სხვა ყველაფერი მოგონილია,
შრომა და შრომა – დიადი სულთქმა,
კეთილშობილი მისი შვილია.
ბოროტსაც შენ ქმნი,
კეთილიც შენ ხარ,
და სამსჯავროსაც შენვე წარმართავ,
ერთი კი – არის – ეს არს სიცოცხლე
მის საბრძოლველად ხელს შენ აღმართავ.
შენ ხარ უდიდეს გრძნობათა ჰიმნი,
გსურს ამ სიკეთით ქმნიდე იდეალს,
ისე მომართე შენ ხმათა სიმნი,
ვით წმინდანების თავზე ნიმბეა.

IV

მონუსხული გაზაფხული ხევში,
შემოვიდა და დაბრძანდა მარტო,
წამოვიდა ციდან წვიმის თქეში,
გაზაფხულის მარტოობას ართობს.
ზღაპრულ ბაღნარს ნისლის რიდე ფარავს,
სიფრიფანა ნაცრისფერი ფარჩა,

გაზაფხულს თან სიყვარული ახლავს,
მიმალული ფარჩის უკან არ ჩანს...
რა საოცრად იხლართება ნისლი,
ხეებს შორის ტალღა-ტალღა დადის,
სახურავებს წამოშლიათ ისლი,
რომანტიკა ეწაფება ადგილს...
ამორჩეულ ხის ქვეშ მდგარი ცია,
სიფრიფანა ნისლის ტალღებს ერთვის,
გააჟრჟოლა, ტანში გააცია...
სუნთქვას ელის ციდან, მხოლოდ, ერთის
სინორჩისგან გაღვლილი მკერდი
მოკრძალებულ სუნთქვას ააქვს-ჩააქვს,
- ნეტავ რატომ დავიბაღე დედი,
სიყვარული, ალბათ, ბედს თან დააქვს,
რას არ გრძნობდა ნორჩი ქალის გული,
ათრთოლებულ სანთლის შუქს რომ ჰგავდა,
სიფერმკრთალე - სიყვარულის წყლული.
თან დასდევდა და მისგან იცავდა.
გამოუცდელ ბავშვურ გრძნობებს ენდო,
და პასუხიც არ მოჩანდა მასში,
რა წარმტაცად იყურები ბედო,
ბედნიერი ერთი არის ასში...
და სიყვარული ახლოს მოსული,
თითქოს გარბოდა შორს, მთებს გადაღმა,
ზღვას აბორგებდა თითქოს წარსული,
თითქოს ტალღებთან ერთად ამალღდა...
შორს, ზღვის სივრცეში მართლაც ამალღდა,
ცას შეუერთდა წყალი, ნაპირი...
ამორფულობის ზუსტი კანონით,
მართლაც არ არის ეს გასაკვირი...
საოცრება კი სულ სხვა რამ არის,
შორს შორიზონტი მოჩანს საზღვრული,
ზღვის სინარმტაცე პლაჟი კი არა, -

უსაზღვრო სივრცე არის ზღაპრული,
განსაკუთრებით საღამოობით,
როცა მზე იწყებს ზღვაში ჩაძირვას...
მოგეჩვენება: ზღვაში მხეცები
მზის სიხარბისგან უფრო გაზრდილა.
თუ წვიმა მოჰყვა ამ დიდ ჩვენებას,
და მზემ დაიწყო მათთან თამაში,
მოგეჩვენება: ზღვის ლომთა გუნდი
ერთუროს ებრძვიან დიდ მზის ჭამაში
წარმოდგენები ცვლიდნენ ერთმანეთს
და ბავშვურ გრძნობებს ერთუროს ახლიდა
დასრულდებოდა თვალსაწიერი, და
იწყებოდა ისევ ახლიდან...
სიყვარული იბადება უცბად,
შეუმჩნევლად, ლანდს რომ ხედავ ტბაში
კაცის გული, თუ მაინც დასუსტდა,
გრძნობა ისევ უტრიალებს თავში,
ჩუმად მოდის სიყვარული ისე,
ვით თოვლის ქვეშ ტურფა ყოჩივარდა,
ვით ენძელა მზვარეს მიტმასნილი,
ფურისულა – ქარს გულს უხსნის ლაღად...
ლურჯი ია – სიყვარულის მეფე,
მინდვრის ნაპირს რომ ევლება ქობად,
შენ გაფრთხილებს უჩინარი გრძნობა,
არ დამტოვო ჩემსავითო, ობლად...

V

ვერ ამჩნევდა ილეოდა ქალი,
ამ ბუნების მას არ ჰქონდა ვალი,
ახალგაზრდა, კოპნია და ჰალალი,
შეჰყურებდა უამრავი თვალი,
ვერას გრძნობდა, ისე იყო მთვრალი,
შვლის ნუკრივით შიშებით დამფრთხალი,

სიყვარულში რომ არა ჰყავს ცალი,
მთვარესავით ცივი და ფერმკრთალი...
ბუნების შვილს, რას შეუქებ ისეთს...
მზე და მთვარე ტბად რომ იწყებს გოგმანს,
ქალი მაშინ ეხუტება ბურჩქებს
და ყვავილებს მისი სულთქმა მოსდგამთ...
თითქოს ყველა ციას გრძნობას ამხელს,
აიტაცა გოგო მათმა სუნთქვამ,
მორცხვად დახრილ იას სითბოს ართმევს,
ამას ჰქვია სიყვარული, უთქვამთ.
დიდ, მძლავრ ხეებს ბობოქარი ქარი,
ტანში ხრის და ციას ფეხთან აბამს,
რას ჩურჩულებს ანთებული კვარი? –
ალბათ, გრძნობა ეძებსო დასაბამს.
ქარი, წვიმა, თოვლია, თუ თქემი.
ერთი გრძნობა უტრიალებს მკერდში...
მიანოდეთ, მხოლოდ, ერთი პეშვი,
წყალი, და თან დაუდევით გვერდში.
სინანულსაც კი არ გრძნობდა გოგო,
უხაროდა ყველაფერი როგორ...
ის ვერ გრძნობდა ვერანაირ დელგმას,
ჭექა-ქუხილს, ავდარსა და ელვას...

VI

თაფლის სანთელს ვარსკვლავს უნთებს ღამით,
მთვარის შუქზე ევედრება გამჩენს:
სიყვარულმა გადარიოს ღამის,
– „უიმისოდ, ღმერთო! – ნუ დამარჩენ“...
როკავს წვიმა და გაღელილ მკერდზე
ქალიშვილის ცრემლებს ერთვის ნაზად...
სიყვარულის ასე აღტკინება,
იმის რჩეულს თუ მოუვა აზრად.

მონუსხულა ალვის ხეთა ტევრი,
 ნისლის კალთას დაჰყოლია ფრთხილად,
 ციასათვის არც წვიმაა, თქემი
 თავს ესხმება, იმას მაინც თბილა...
 გიშრისფერი წამწამების ჩრდილქვეშ
 მიბნედილა ორი თაფლის თვალი...
 მარჯნისფერი ბაგეების ჩურჩულს,
 გაუნირავს ეს პატარა ქალი...
 ლოცვას მორჩა, ლოდინს გული ფარავს,
 სათნოებას უხვად გასცემს „მთვრალი“...
 სიყვარული თავს ვერასდროს მალავს...
 ამღერდება, ვით ზღაპრული ქნარი.
 უმანკოა გული მისი, წრფელი,
 მორიდების სიმდაბლე, რომ ამკობს,
 სიყვარულმა გაახელა, ელის
 გულის რჩეულს, წვიმაც კი ვერ აკრთობს...
 დრომ თავისი თავი უნდა ჭამოს,
 სიყვარული გაამძაფროს უნდა,
 ამ პატარამ ყველა უნდა დათმოს,
 ყველას უნდა შეენიროს თუნდა.
 დგას ლამაზი ნაძვის ხის ქვეშ ცია,
 წვიმის წვეთებს დაუღბია ტანი,
 მწვანე ტოტებს თითქოს ჩაეკირა,
 გარინდებას მოჰყვა ხმა ლანანის...
 გამმაგებულ, ათრთოლებულ ხელებს.
 თავს ვერ აღწევს გრძნობამთვრალი ქალი,
 და მინებდა, ირგვლივ ხეთა ტოტებს,
 ყვავილებსაც დაუხუჭავთ თვალი.
 „რომეო და ჯულიეტა“ გრძნობას,
 გაეტაცა. უბერავდა ქარი.
 გაფერმკრთალდა, გამოერთო ცნობას,
 სიყვარულით ცია შეუმცდარი.

ბობოქრობს და თავს ვერ იჭერს ჩქარი,
 ვაჟი, როგორც მომქუხარე მტკვარი...
 ვნებას ველარდაუცვია თავი,
 შეჭხიზვნია გრძნობას ნიაღვარი...
 განბანილი უწმინდესი წამით,
 გამოერკვა ცია ერთი წამით,
 ბინდ-ბუნდს ირგვლივ სულ დაეხმო ჩქამი,
 თრთოდა სიცხით გათანგული „გვამი“.
 ირწეოდა მთვარე ნაძვის ტევრში,
 გაარჩევდი იმის სხივებს ხევში,
 რა იცოდა, რომ შეება „კევრში“,
 მიჰყვებოდა ლამის მეხრეს ხვნეშით...
 ცისკრის ზარებს რეკდა მოწკრიალე,
 ტოროლათა, მოლალურთა გუნდი,
 – „ჩუმი გრძნობის დაბადებას, – მთვარევ!“
 შეკრთა ცირა, რამდენ ხანს მოვუნდი?“

IX

ირგვლივ მშვიდი მტრედისფერი კრთოდა,
 მიცურავდა ღამე ავგაროზი,
 არ ციოდა, ქალი მაინც თრთოდა,
 წამოშლოდათ მიჯნურთ თმა გოროზი.
 არსად ჩანდა ავი თვალი კაცის,
 შორს დაღანდეს ტანი მათ დიაცის,
 მიჯნურობას განა ვინმე აცდის,
 და დაუდგათ მძიმე წამი განცდის...

X

შიშს და კანკალს აეტანა ვაჟი,
 განცდას ისე შეებოჭა, ძრწოლა
 სიყვარული ამ პატარა ქალის,
 მოსდებოდა, მის ცეცხლში იწვოდა.

უმძიმესზე უმძიმესი წამი,
როგორც გრდემლი სამჭედლოში, რეკდა,
ჩაქუჩივით გული გამომწვარი
გრძნობის ძალას, ცხელ ტყვიაზე დრეკდა,
სწორუპოვარ, სამართლიან კანონს,
და ღვთის სიტყვის ძალას უდიადესს,
აღეტყინა ეს ორი სხეული,
და გაჰყოდნენ სამუდამოდ ჰადესს...

XI

მონატრების სურვილს ეპყრა ვაჟის,
გულმწყურვალე გრძნობის დანაკვესი,
და გრიგალის გამძაფრებულ სტვენას.
წინვნარებში დაეგო ანკესი.

– „ჩემი სულის ერთადერთო მწყემსო“,
კანკალებდა ხელებშუა ქალი.

– მინდა სულის რიკულები ვკემსო,
იყოს სუფთა, როგორც მინანქარი.“

– შენ კი, ჩემთვის სიცოცხლის საწყისი,
და ამ სულის ჭიქური, ბროლი ხარ!“

რომ წახვიდე, ნეტავ, ვინ უწყის ის,
დაბრუნდები? – იცი, რომ მიყვარხარ?

– ვიცი, ვიცი, ჩემო ერთადერთო,
განა ბრძოლა მართო ომი არის?

სიყვარული ცურვილი და სათნო,
ოქროსფერი ვარაყია მთვარის...

XII

გაჰკიოდა გულმოსული ქარი,
ნაძვის ტოტებს აფარებდა ქალ-ვაჟს,
ინახავდა იმათ სუნთქვას მწყრალი,
არ უმხელდა საიდუმლოს არც ჟამს...

დიდი გრძნობის მონმე ბობოქარი,
არ ზოგავდა მეზობლად მდგარ მუხას,
და ფიქრობდა: „ქალი უმნიფარი,
რას იზამსო, დედას რაღა უთხრას?..“
ვაჟს ამიტომ ჩაეკიდა თავი,
გრიგალს მისთვის აენენა ფიქრი,
– გამიშვიო, ეხვენება ქალი,
„ვაჟი რაშზე წამომდგარი, მიჰქერის“...

XIII

გაფერმკრთალდა ცა ღამეულ ბნელის,
გაცრეცილი ღრუბლის ფთილით დნება,
წამოენთო შიშნაკრავი ჩრდილი,
ალიონზე უცხო სხვივით თვრება.
მიბნედილ ხმას მქუხარებას მატებს,
მტკვარი ისე ეხეთქება ნაპირს,
თითქოს ღამეს იდუმალს ჟინს სტაცებს,
და გამირივით ებრძოლება ავპირს...
ვინ? – და ნურც ვინ აუკრძალავს მინდორს,
ან ტყეს, ან ველს ან მდინარეს ხმიანს,
დღე ყოველთვის მოძებნისო მიმნდობს,
ღამით ბრიყვნი თავებს დაგიხრიან...
ვინ დალანდა ველი უთვალოდ და,
იგი მოჰგავს კივილისად ტურის,
და დიაცი ჩრდილით შემოსილი,
უდროო დროს მყიდველია პურის...
შეამჩნია ქალ-ვაჟის შეხვედრა,
მოეხვია საწვიმარი ტულის,
თუმც ეწადა და მაინც ვერ იცნო,
სიბნელეში კედელზე აკრული,
რას სცოდავდა, ვის განიკითხავდა,
თვითონ დარჩა ღვთისგან განკითხული.

XIV

გაფერმკრთალდა ცა, შეკრთა სულდგმული,
შეფრთხილდა მიძინარე ბულბული,
დილის საარს სტვენა აუწყო და,
დაამშვიდა ძილგამკრთალი გული,
ცა გაიხსნა, აისს მოჰყვა სითბო,
ანკრიალდა ცისკრის ზარი – მხმობი,
სიყვარულის ამ უდიდეს გრძნობის –
ეს ქალვაჟი არ იყო დამთმობი.
ქარი ჩადგა, და ტოტებმაც მისი,
დაიკავეს სივრცე, განთიადის,
ეს ასეა. სიცოცხლის სანმისი,
დილის ცაზე, მზესთან რომ ამოდის...

XV

სიყვარული სწორი გზაა ღვთისა,
დიდი აზრი, კაცთმოდგმის გამჩენი,
ერთადერთი სიცხოველე მისი –
სიკეთეა ყველას გადამრჩენი...
სხვა სულ ყველა უცხო არის მისთვის,
ტყუილია ყველა დანარჩენი,
სიყვარული სიბრძნე არის არსთა,
ამიტომაც იდიდოს გამჩენი.
თუ სიყვარულს არ დაუდებ ფუძედ,
ვერ იმრავლებს ერი ძალთა მჩენი,
თუ არ შექმნი გადამრჩენელ ლიბოს,
სიყალბეა ცრუ აზრები შენი...
დიდი სიბრძნის მსწავლებელი ხატი,
შენს ხელშია, შველას მისგან ითხოვ,
ვერ გიშველის ვერცა არარატი,
თუნდ იმასაც ურწმუნოდ, რომ ჰკითხო,
სიბრძნის წყურვილს წარმოგიჩენს მხნე ცა,
და სიკეთეს მოგაგებებს ზეცა,

იტყვი: - ვიყო მე იმისი მნეცა,
სიბრძნე გესმას: - შენ არ იქცე მხეცად!...
უკვდავების პანანინა თესლი,
მდოგვის მარცვლად მოგვანოდა ღმერთმა,
მანვე მოგვცა დიდი აზროვნება,
სიმართლეში დაგვარწმუნა ერთმა:
სიბრძნე დიდი - საზრდო კაცთა არსის, -
იგივეა სიყვარული - ფუძე,
და ამ დიდ აზრს სიბრძნის, არა ფარსის,
ბალავარად „ბიბლია“ რომ უძევს, -
ქარტიაა სიკეთე სიმართლის,
უშეცდომო გრძნობის სწორი მცნება,
სანამ ჩვენში იბადება აზრი,
შევეკითხოთ გულს: ეს არის ნება?..
მაგრამ ნებას ხან უსწრებსო ვნება,
ამიტომაც ღმერთი დიადია,
მან ეს იცის, ასეთი ოცნება,
სამყაროში ხომ მილიარდია?..

XVI

ღვთის წყალობას მინდობილებს შიში,
ისე მტკიცედ გასჯდომიათ გულში,
- „ჩვენ სამყაროს ახალ დილას ვიშვით“,
ერთმანეთს ჩასჩურჩულებდნენ ყურში...
მიუტევა უპირველეს, ღმერთმა,
გარდასახა მისი მტკიცე ჯვარი,
და დალოცა უმანკოთა რწმენა:
- სიყვარული დიდ მცნება არის!..

XVII

გადაილო წვიმამ, ქარიც ჩადგა,
მზემ თავისი გამოხატა წყენა:

აელვარდა მწვავე სიკაშკაშით,
ნანვიმარზე იწყო ოქროდ ცვენა...
განბანილი ოქროსცურვილ ტბაში,
ჩაკრულიყვენ სხივთა არტახებში.
სიმყუდროვე შეჰპარვოდათ ხმაში,
ნაირფერად ლივლივებდნენ მზეში.
მონუსხულმა ცამ აჰყარა ნისლი,
შორს ღრუბლებად გადაეშვა ხევში,
მზემ გაალო კარიბჭენი წინსვლის,
გრძნობები კი დარჩა კვლავ მორევში.
ათრთოლებულ მკერდს ჰკოცნიდა ვაჟი,
და ალერსით უმშრალეებდა ცრემლებს,
ქალი იდგა მტკიცე, როგორც ვაჟი,
ვაჟის თავში სცემდნენ რკინის გრდემლებს...
მზემ ალერსით გაულიმა წყვილს და,
მოეფერა, მშობელივით თმებში,
გაზაფხული კისკისებდა ბალში,
და ფრინველნი უგალობდნენ ხმებში...
არ უნდოდათ დაშორება გრძნობებს,
მაგრამ, მაინც, გზები გაიყარა,
ქალი ველარ იოკებდა ვნებებს,
როცა ვაჟმა გულით გაიხარა...

XVIII

... და კვლავ განვლო რამდენიმე ღამემ,
ხვაშიადი სურვილს აღარ მაღავეს,
ჩასჩურჩულებს ქალი: „მითხარ რამე“,
აღარც ვაჟი აღარ ხმარობს ძალას...
განვლო დრომ და გულს დააჩნდა დარდი,
– ქალი ფიქრობს, რომ აღარ ვუყვარვარ,
გახდა, დადნა, – შენ, გულო გამაგრდი,
ყველას ვეტყვი: პატარა რომ არ ვარ!..

დედამ შვილის თვალში ნახა ჩრდილი,
გულში გაჰკრა; კიდევც გააცია,
– რა მოგვლია, შვილო, რატომ ტირი?
სიყვარულო, ჩემო ცია, ცია?!
ციას ნაღვლით ევსებოდა გული,
თითქოს გრძნობდა: რაღაც დაჰკარგოდა,
გაიბზარა გრძნობა, გაჩნდა ღრმული,
მეტი დარდით სული დაჩაგვროდა.
დედა შვილის ნაღველს ველარ ითმენს,
საოცარი გრძნობა ღარავს თვალებს,
სიყვარული, როცა ბზარს შეიძენს
ის არ გამოეპარებათ ქალებს.
ცია ბორგავს, გულისტკენის ფასი,
იცის, ცდილობს დაემლოს დედას,
ფიქრობს: თუა იგი, ის ვაჟკაცი,
უეჭველად არ აჰყვება ვნებას...
ელის, როდის გათენდება დილა,
მოვა იგი, და ხელს ითხოვს მისგან,
დედამ უნინ მიაგება რბილად,
რატომა ხარ ასე? – ხდება რისგან?

XX

გადაუნყდა ქალს ლოდინით გული,
იქნებ, – „ვთქვაო მე მართალი სიტყვა“?
დედა ნაღვლობს ბაღში მოარული,
ბედი, რატომ ასე მძლავრად მირტყამს?
ღმერთო, რატომ? – შვილსაც იგივე ბედი?
ამ პატარას რაღა ჰქონდა ცოდვა?
– ფიქრებს როგორ წაუღიხარ, დედი!..
შვილის ხმაში შეამჩნია ბოდვა...
– ჰოი, შვილო, ცრემლს გაეხსნა გზა და,
დედა-შვილი ჩაეკონნენ ერთურთს,
ქვითინებდნენ, ბედს დაეგო ბრმად, და

მიჰყვებოდნენ ორნივე ერთად, ღმერთო!..
ტრაგიკული ბედის იყო დედა,
ტურფა ქალი, დროის ლამაზმანი,
ბევრს ეწადა, თავს დაატყდა ელდა,
დაეხუჭა თვალნი, ორნი ბრმანი...
ახალგაზრდამ სიყვარულისა წილ –
„ვაჟკაც შოთას დაახვედრა გრძნობა,
მაგრამ კაცი ვერ იტანდა რა ტყვილს
და პირიქით, შესთავაზა „ძმობა“...
ქართულ სიტყვამ იცის და-ძმის ფასი,
„დობილ-ძმობილს“ წილი არ უყარა,
ტაძრად ქცეულ დის სინმინდის თასი
ძმამ მომხვედურ მტერს თავზე დააყარა.
დობილ-ძმობის ორგულობის შედეგს,
ნაზი ახლა მისტიროდა ცხარედ,
ქალს აქამდე ცხოვრებაში მედეგს,
ბედი ისევ დასცინოდა მწარედ.
გრძნობდა თუმცა იმედს მაინც ცდიდა,..
გაზაფხული ყვავილობდა ბაღში,
ვაშლის რტოებს ქარი დაბლა ხრიდა,
დედა-შვილი შედიოდა სახლში...
გახსნილ სარკმელს აწვალებდა ქარი,
ჭრიალებდა გულში ღრმადაც გრძნობა,
– „შვილო! შენ ხარ ჩემი გულის ქნარი“,
დაჯდა დედა და დაიწყო თხრობა:
– მეც მიყვარდა შენებრ ერთი კაცი,
თუმცა მის გულს კაემანი სწვავდა,
როს მელირსა სითბო მე ამ განცდის,
მივხვდი იმას, გრძნობის არა სწამდა...
რას ვიზამდი, ამ შეცდომის ნაყოფს,
ვატარებდი სიყრმის სიყვარულით,
დღესაც, მისგან შენზე ზრუნვა არ მყოფს,
შენ ხარ მთელი ჩემი სიხარული.

ცია გრძნობდა დედის ტანჯვა-წუხილს,
 თავის თავსაც მის წინაშე სჯიდა,
 გრძნობდა ჰგავდა გაზაფხულის ქუხილს,
 ჯერ დასჭექქდა, მერე წვიმა ცრიდა...
 ისევ იმედს შორს დაუნყო ცქერა,
 დიდი მთვარე ამოვიდა ცაზე,
 დედამ ისევ გააჩალა კერა,
 „იქნებ,მე ვარ ბედნიერი სხვაზე!“
 თქვა, და ვახშმის გამზადება იწყო,
 – წყაროს წყალზე ლელის პირას ჩადი.
 ციამ კოკას წამოავლო ხელი...
 – კიდევ კარგი, არ ვთქვი, ხომ დაგწვავდი?...
 გულის ძაფი ჩასწყვეტოდა ციას,
 სწრაფად გაჰყვა წყაროსაკენ ბილიკს...
 ლელის პირას კოკა ჩააცია,
 კაჭკაჭი კი არ იშლიდა ქილიკს...
 გაახსენდა ბავშვობა და სკოლა,
 უბნელები: „ზოდოტო“ და „ჯანო“,
 თავისთვის, რომ „ფლასტო“ მოენონა,
 მეგობრებს ხმა როგორ მივანვდინო?...
 თუ გაიგეს, რას იტყვიან ჩემზე.
 ამ წყაროსთან როგორ ვსვამდით კენჭებს,
 წყლის ქალივით, რომ დავდევი მზიას,
 ჯანოს თვალში სულ ვინვევი ეჭვებს...
 მაინც მისი გააფთრება მახსოვს,
 როგორ მისწვდა ქერათმიან მზიას,
 მას მზის სხივებს მიუგავდა სახე,
 მიტომ მსურდა „ოქრო“ დამერქმია...
 მაინც როგორ ვაშინებდი იმ ბრიყვს,
 სულ სჯეროდა, თუ რამ წამცდებოდა,
 ბებიაჩემს გავურბოდით და „ნიყვს“,
 ხეზე ვწვავდით, ცემა არ გვცდებოდა...

ერთხელ მშიერ-მწყურვალემა დავთქვით:
ჩვენს ბოსტანში ფხალი დაგვეკრიფა,
„გამოვაცხვეთ“ საოცარი მჭადი,
ბალებშიც ხომ ბალი დაგვიმნიფდა,
და ავედით „პურმარილით“ ხეზე,
– არ ჩამოგცდეთ, ფეხი, შვილო ფრთხილად! –
ბებიაჩემს წნელი ერტყა წელზე,
გვიტყუებდა, ნკეპლით გვცემდა ხშირად...
მოგონებებს ბოლო აღარ უჩანს,
წყაროს ლიკლიკს ააყოლა ფიქრი,
ბავშვობის წლებს მისცემოდა ურჩად,
გახსენება ქართან ერთად მიჰქრის...
ღელის პირას აშოტილი ვერხვი,
დიდ რტოებით ჩაძირულა წყალში,
ჩქარ დინებას მიაქვს მისი ფესვი,
ხეთა ჩრდილებს გაუმართავთ მარში.
მიგუგუნებს ხეობაში ღელე,
ეხეთქება ხევის მიწათხრილებს,
წნორთა ტოტებს ქარი მიაგელვებს,
და ფერხული გაუმართავთ თხილებს...
ხეობაში ღელის ხმა და ზათქი,
მძაფრი, ბახის პრელუდიას მოჰგავს,
ცია ღმერთთან სიყვარულის აღთქმით,
ღელის წყაროს გონებაზე მოჰყავს.
სწრაფად სწვდება ჩაცვიბულ კოკას,
და სირბილით აუყვება ბილიკს,
საუცხოოდ გაზაფხული როკავს,
ისევ იწყებს წყარო მისებრ ლიკლიკს...
აირბინა მოუთქმელად სულის,
საცალფეხო ამავალი კლდეზე,
ბექობის თავს ნამსხვრევები ჭურის
ფეხზე მოხვდა ვით ხანულის ქდეზე...
ამოკვეთა უნაზესი კანი,

სისხლის დენა ველარ შეიწყვიტა,
ქალიშვილის მგრძობიარე გული,
ამდენ ტკივილს, მართლა, ველარ იტანს...
ვაი, დედა, შენ მოგიკვდეს, შვილო,
აციმციმდა ნაზის თვალზე ცრემლი,
მერე თავზე ხელით შემოევლო,
თეთრ თავსაფარს მოახია წვერი...
დაასველა, ამონწინდა სისხლი,
შეუხვია ციას ნორჩი ფეხი,
ძლიერ ტკივილს გააყუჩებს ისლი,
ღეროების მხოლოდ დანანნეხი.
თქვა დედამ და შვილს შეუძღვა სახლში.
ჭრაქით იქნებ მოვძებნოო იგი.
ბოსლის გვერდზე ვაშლისხიან ბალში.
ძლივს დალანდა ატოტვილი ჩირგვი.
ციას დედის ნაზი სითბო უფრო
გულის სარქველებს უშმაგებდა მძაფრად.
– ეს რა ვქენი, დედას უნდა ვუმტრო?
თუ „ფრეგატას“ გამოვადგე აფრად...
სწუხდა გოგო და ნალველი გულში,
იღვრებოდა, როგორც შხამი გველის,
– ჩემო თავო, ვინ გცეს შენ ნუგეში?
ხვალ, ნეტავი, როგორი დღე გველის?...
თითქმის ასეთ, ფიქრმა სტანჯა ცია,
გადიოდა დრო: კვირა, დღეები,
ერთხელ, როცა ტანში გააცია,
თავდაყირა დადგნენ ბლის ხეები.
გახდა ნაზი, ხორბლისფერი კანი,
გაფერმკრთალდა, სანთელს დაემგვანა,
ნეტავ, როდემდის სწიოს ჭაპანი,..
ვერ იპოვის გამოსავალს, განა?
ალარ ქვრეტდა გაზაფხულის ამაყ,
შემოფრენას ვაშლისხიან ბალში.

დაგიდევდათ, განა დედის ამაგს?
ძღვნად მირთმეულ ოქროს ცვლიდა წაღში...
არ უსმენდა არც ფრინველთა ჭიკჭიკს,
სადღაც მიღმა ცაში ვარსკვლავს სჯიდა,
გაებუტა ცივი წყაროს ლიკლიკს,
არ ეგონა დარდი დაჯაბნიდა...
და ფუნჩულა, ფუნთუშივით გოგო,
დაემგვანა ალის მიმქრალ სხეულს,
ვინც იცნობდა: – „რა მოხდა და როგორ?“
ცია ჰგავდა მართლა გადარეულს...

XXI

ღელეს ცრემლები სდით და ხევში,
ემატებოდა წყაროს წყალს ჭავლი,
თუ სიყვარული ემართა ღმერთის,
რატომ ნანობდა დროს შემომწყრალი?
ნებას მისდევდა სული დამფრთხალი,
და უზენაესს ლოცვას სწირავდა,
შემოდგომის მზის სახე ფერმკრთალი,
ნორჩ არსებაში გრძნობებს პირავდა...
რად მოეჩვენა ცრუ იდეალად,
ან რატომ შეკრთა ის ნირნამხდარი?
ღვთის წყალობაა თუ ფიცილია,
გულისნადები ნებით ამხდარი?..
– შენ ღვთისშვილი ხარ და კანონი ღვთის,
ყველა მის შვილთა – დიდი ფარია,
და სიყვარულით ნაშენი ფუძე,
შეურყევი და უფრო მყარია.
– ნუ, ნუ ინატრებ, ნორჩო ასულო,
სიცოცხლის დანთქმას, სულს ნუ იმწარებ,
ნუ დანებდები გრძნობით ფრთასხმული,
განავდე შენგან ცდომილთ სიმწარე.

ბედი მიანდე ცხოვრების წინსვლას,
თუმცა გაქვს უფლება, გასცდე რეალურს.
ეს სტიქიაა, და აჰყევ მის სვლას,
არავინ მოგთხოვს სხვას, ირეალურს...
ცხოვრება შენით არ დაწყებულა,
არც დამთავრდება შენით, იცოდე,
სიყვარული კი – მოწყურებულა,
და სხვა ათასთა იგი იცოდებს...
რადგან მიჯნაა ორ გრძნობას შორის,
სიკვდილ-სიცოცხლის ეს დიდი ძალა,
და ამიტომაც ბუნების ფლორის
ფაუნის გრძნობაც თან მიეძალა...
რით განასხვავებ აბსტრაქტულს მისგან?
რაც რეალურის არის თვისება?
ერთი თვისება ახლავთ მათ ღვთისგან.
და იგი არის თავისუფლება...
ერთი გრძნობა და ერთი უფლება,
ერთი დიადი მიზნისკენ სწრაფვა,
მას სიყვარული ჰქვია უცვლელად,
და არ სჭირდება სხვა გრძნობის ხაფვა.

XXII

დრომ სიცოცხლის ფასი მართლა იცის,
მერე როგორ, მოუთმენლად ცვლის ის,
ვერვინ ამჩნევს, როგორ გადის ფიცის,
ჟამი – ოქროს ნატეხივით ინვის...
დროს თუ აქვსო ფასი – ოქრომ იცის,
მაინც, ის რა ბედენაა მიწის...
მადნად თუ ძევს, არაფრისთვის იღწვის,
დრო მასავით ცეცხლში როდი ინვის? –
და სიცოცხლე მასზე უფრო ძვირი,
დროის რალაც ნატეხია მწყრალი,
რადგან ელავს მეტად გასაკვირი,

მას ვერ იტანს უამი დროგამწყრალი,
– ო, სიცოცხლე, კაცთა რატომ არ აქვთ
მეტად გრძელი, უსასრულო, ვით ცა,
ეს სიცოცხლე, – ყველას მხრებით დააქვთ,
მე დროს უნდა შევებრძოლო, ვფიცავ!..
ამიტომაც, არ მსურს ვიყო ბრძენი,
ნაზი, სუსტი, უსახო თუ მძიმე,
მე ბუნება ისე შევიგრძენი, –
უნდა ვზიდო ცხოვრების სიმძიმე,
განა რატომ? – მეც ხომ შემიძლია,
ამ დროსავით ვიყო მხნე და ქუში,
ეს ცხოვრება თუ ჟამმა დასძლია,
მე რალად უნდა გამოვდგე შუშის?..
წელიწადის ყველა დროს აქვს მისი,
სიტურფე და თვით სიმუხთლე დიდი,
მეც ხომ უნდა გამაჩნდეს თავისი,
ამ სიცოცხლის შველა – მეხამრიდი.
წელიწადის დროთა მსგავსად – ყველა,
მოვალთ ველად, ყვაველივით ნაზი,
მერე გვაჭკნობს ზეცის სიცხოვლე და,
ბოლოს გვიღებს ზამთრის სუსხის ბრაზი.
მე კი – არ მსურს ამ ხანმოკლე დროის,
მსხვერპლი ვიყო, – მისი შესანიერი,
თუ შენ დროო ყველას ასე მოიმკ,
რად იქნები ჩემგან განანირი?
მაგრამ ვხედავ შენს ცვალებაად ლტოლვას,
ჩემთან ერთად შენც იცვლები დროო,
ნუთუ ისევ თავი ვანდო ჟრჟოლვას,
იქნებ, მაინც, ფიქრი მე მადროო?..
მე ამ ზღაპრულ სურნელებით ვთვრები,
შენ რაც გინდა, ის უწოდე მასო,
და ვგრძნობ, როგორ დამიმძიმდა მხრები,
სატანჯველი მიაქვს ცრემლის ზღვასო...

ვერანაირ საზომს ვერ გავუძლებ,
და ვერ გეტყვი: რომ შეჩერდი დროო,
გზა დამითმე, როგორც დროით უძლებს,
და სიცოცხლე იქნებ, შენ მადროო!..
რადგან შენ ხარ ჩემი მჭვრეტი ახლა,
უხორცო თუ ხორციელი სული,
ჩემი გესმის, მომიგზავნე ვინმე,
შემთავაზოს სხვა დრო გარდასული...
ერთადერთი, რასაც ახლა ვნატრობ,
სიცოცხლეა სანუკვარი ჩვენი,
დროვ, თუ შენი ხვაშიადი გათრობს,
და მგზნებარე სიცხოველე გშვენის.
გშვენის სიბრძნე ჩვენი შენით თქმული,
მისი რიტმი, როგორც გაზაფხული,
დროის ფასი, ოქროთი აღქმული,
ორლესული, ბასრი, ხმალდასხმული.
რატომ ამის ნებას ჩვენ არ გვაძლევ?
რატომ უნდა ვიყოთ ხანდაზმული?
ვიცი, დროო, მართლის მთქმელსო, მუდამ
უნდა ჰყავდეს ცხენი შეკაზმული...
მაგრამ, მაინც, ერთს გეტყვიო, დროო
რადგან არ ხარ ჟამით ხანგასული,
სულსწრაფობა ჩემი მე დამიცავს,
შენ კი შურით ამოგხდება სული.
სიბრძნე გაჭვრეტს ყოველივეს მყარად,
მაგრამ გრძნობას სვდება ის სხვაგვარად,
როცა დრო-ჟამს ის მიიჩნევს არად,
სიყვარულს განეფინება ჯვარად...
ამ გრძნობის წინ დროც ირევა სწრაფად,
მზეს წვიმა თან გამოჰყვება მგზავრად,
და თუ ცვარნამს ჩამოაპნევს თაფლად,
დედამინას უღირს ის არაფრად? –
მაშინ, როცა თვით სიყვარულს აპნევს,

მკერდზე ველურ ვარდ ყვავილებს აბნევს,
რად დაგიდევს ქარის გიჟურ ქროლვას,
მზის სხივები, როცა მას ვერ აგნებს...
და სიყვარულს, როცა არ აქვს მისი,
სიცხოველე დედამინის მყისი,
ან ველური სურნელება მქისი,
და არც უნდა სითბო არავისი...
თავის თავის ნდობა თვითონ განსჯის,
დრო მოვიდა მიწიერთა დასჯის,
სიყვარულო, ნეტავ, მე რაღა მრჯის,
დროს ვებრძოლო? – ახლა დროა გარჯის...
სანუკვარი დასვენება ნამჯით,
ერთ დროს ზვინში ჩაძინება ხანჯლით,
სანამ დრო მოგვეგებება დასჯილთ,
ვეჭვ, მგონი დატრიალდება განსჯის...

XXIII

დროსთან კამათს ცია გაეტაცა,
ვერც კი იგრძნო დედის შესვლა სახლში,
ბებიასთან დაცეკვავდა გოგო,
ახლა იყო სულ პატარა ბავშვი...
დედამ მალე გამონურა წვენი,
და საფენი დააფარა ნაკანრს,
ცია დაფრთხა, – გოგო ეს რა ქენი?
უბოდიშა დედას მასზე გამწყრალს...
– ოცნებების დრო დამთავრდა გიჟო!..
შეუძახა საკუთარ თავს ციამ,
მერე თვალი ამოევისო ცრემლით...
ბნელი ღამე წვიმას ჰრიდა ცრიატს...

XXIV

საოცარი ქალი იყო ელე,
სულ შრომობდა, არც ეძინა სანყალს,

პატარები რომ გამოეზარდა,
პურს აცხობდა, ხან ზიდავდა მთის წყალს...
შრომა ამას კანონზე მეტს თხოვდა,
რადგან ოჯახს მამა ძლივს ახსოვდა,
ოთხ ბავშვს გაზრდა ხომ უნდოდა. დედაც,
არ ზოგავდა საკუთარ თავს მეტად...
შრომით ზრდიდა მის ოთხ ვაჟკაცს ელე,
ნიჭიერებს, გასაოცრად კარგებს...
თან ფიქრობდა: – „ღმერთო! შენ მიშველე“
ოთხივენი, მართლა, ხომ ივარგებს?..
მეზობლები, მეგობრები, ყველა,
ელეს ბავშვებს შეჭხაროდნენ ტკბილად,
გაიზარდნენ და გაივსნენ ხელად,
დრომ სუყველა როს გააყმანვილა,
ასპარეზი ნიჭს დაუთმეს თვისი,
ვინაც შეძლო გაკეთება რისი,
სიყვარული სდევდათ თან ხალისით,
ერთგულება აღებულ საქმისი...
სილამაზე ღვთივკურთხეულთ ჰქონდათ,
მაგრამ ერთი გამორჩეულს ჰგავდა,
ამიტომაც ცია სულ ფიქრობდა,
და ის – მისთვის არჩეული ჰყავდა...
მისი ლექსის, თუ მოთხრობის კითხვამ,
ციას ისე შეაყვარა დურო,
უიმისოდ დღე შუქს აღარ ისხამს,
და ყოველ წუთს უნდა, რომ უყუროს.
გაილია მისი სიყვარულით,
უცხადებდა თავაშვებულ ნდობას,
უჩინარი გრძნობის სიხარულით,
თავიდანვე დაჰყვა ის მონობას.
ვაჟი გრძნობდა და ამპარტავნობდა,
ზრდილობა კი არა შურდა მისთვის,
შეპარვოდა სიყვარულის დედო,

მაგრამ ნება – ხოტბა იყო სხვისთვის,
წერდა ლექსებს და ყველას ამკობდა,
აშიკივით მიჯნურთ გაართობდა,
უხაროდა, როცა ყველას სჯობდა,
სათქმელ სიტყვას არავის უთმობდა...
ამიტომაც შეუწყვარდა ციას.
მთელ სიცოცხლეს სულ დათმობდა მისთვის,
ვაჟი, თუმცა გრძნობდა იმის ცქრიალს,
სიყვარულს კი – იპარავდა წვისთვის...
თუმცა პასუხს არ ელოდა, დუმდა,
როგორც ცია, ის მარტოსუულს ჰგავდა,
და ამ ორში გრძნობა ისე ფეთქდა,
არ რა სურდათ სიყვარულის გარდა...
თუმც ერთმანეთს არ უხსნიდნენ გულებს,
ერთმანეთის არ ესმოდათ ენა,
ყოველი დღე დაეპყრო ავსულებს,
და ორივეს დაჰყვებოდათ წყენა,
და ერთმანეთს ვერ გაუგეს დიდხანს,
ასე განვლეს სკოლის წლებმა თითქმის,
სიყვარული რამდენ რამეს იტანს,
მათი გრძნობა ლეგენდებად ითქმის...
მოთმინებამ ქალს სინაზე მისცა,
და ელოდა იმ სანატრელ წუთებს,
მიხვდებოდა ვაჟი ქალის ტკერციალს? –
მოვა დრო და მწყერი დაიბუდებს...
მალე დადგა სანატრელი ნამი,
ციამ გახსნა გულის კარი ფართო,
ვაჟისათვის, თურმე წვიმდა ნამი,
გაზაფხულის ჭრელ კორდებს რომ ათრობს...

XXV

ცია გრძნობდა, რომ შეტოპა წყალში,
ღრმად შევიდა, ვერ იკიდებს ფეხს, და

უცებ შეკრთა, ელვამ გაჰკრა ტანში,
განაკანრი, სიმწრით ფეხს რომ ტეხდა.
ვაი, დედა! – გამოერკვა ცია,
ვაი, დედას. – რამ შეგაკრთო, შვილო?
გოგო სიმწრით საბანს ჩაეკირა,
ველარ შეძლო, – უნდა, რომ იყვიროს...
დედა, დედი, როგორ მოგატყვილო?
სულ აილო ჭამა-სმაზე ხელი,
ხაჭაპურიც არ შეჭამა დილით,
თითქოს ჭელს მოუქნია ცელი...
ციამ ისევ გააგრძელა ძილი...
დაეძინა... ჩუმადა თქვა დედამ,
– ერთ წუთს გავალ, შემოვიტან რამეს,
რალაც უნდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავს,
გოგო ჰგავდა უკვე განანამებს
ბებო მისი განუყრელი სული
მტკივნეულად მიითვლიდა წამებს
ო, ცხოვრებავ, რატომა ხარ კრული
სიავკაცით ყველას რად ანამებ?
იჯდა მასთან ელოდა და ჭვრეტდა,
ნეტავ, რა სჭირს ამ ბავშვს ამისთანა,
დედა სიმწრით ტუჩებს რომ იკვნეტდა,
ბებო თვლიდა: ჰყავდა „ირმისთანა“...

XXVI

გაიარა რამდენიმე დღემ და,
ვაჟმა იგრძნო ირგვლივ, რომ დაბნელდა,
ვინც გაიგებს, რას ეტყვიან განა? –
გოგო იყო, მართლაც ვარდისთანა...
ვაჟის გულში იბრძვის ორი გრძნობა,
უცნაური, ვაი, რომ არ მოლბა,
არც კი ფიქრობს, მას რას ეტყვის ძმობა,
თუ? – დაიწყო იმათ შორის ბოდვა?

ამხანაგებს თვალებს ვერ უსწორებს,
ფიქრობს: – ყველას მისებურად მოსდგამთ,
იქნებ, სიტყვა გაუბედოს სწორებს,
თუ... – რა უყოს პატიოსან მოდგმას?
რამე რომ თქვას, ვაი, მისი ბრალი,
მეხთაგვანად დაატყდება, ალბათ,
– აღარ მოსპე, შვილო, ეს ტრიალი?
დედა ცოცხით ჩადიოდა დაბლა...
– ბოლთისცემას, იქნებ შეშა დაჭრა,
იქნებ ცოტა მომეხმარო მაინც,
გიფიქრია? – თუმცა ველად გაჭრა,
შეშვენიხო წარჩინებულ რაინდს...
იქნებ, ცოტა მოგეხედა აქეთ,
იქნებ, დილით დაგელია ჩაიც,
დღეს ქალებმა ნაზის ცია აქეს,
გამეხარდა, გულში ჩამწვდა ხმა ის...
გულზე მოხვდა დედის თბილი სიტყვა,
და აენვა ბიჭს ორივე ყური,
უთხრას დედას? – თავში შემოირყამს,
იქნებ, დარდმა გახეთქოსო ქური...
ოჰ, ნეტავი, არაფერს არ ვიტყვი,
ალბათ, ისიც... არ გაამხელს ტკივილს,
პირს გააღებ და ძალაა სიტყვის,
მე პირველი, თუ დავინწყებს ყვირილს...
ფიქრს მოეცვა მწარეს ბიჭის გული,
გრძნობებს ამხელს უნებლიე ჩქამი
წვეთავს გულში მოზეიმე შხამი,
და ჟინს არ თმობს მაინც მხნე, თამამი...
გულში ყველა აზომა დაარწყო,
ანწყოს ისევ შეადარა ნამყო
რამდენიმე წამი ისევ დაჰყო,
მიხვდა მწარედ, თავი ყულფში გაჰყო...
– ვაი, ჩემს თავს! – ეს რა ვქენი, დედი!

მე საცოდავს არ მქონია ბედი, -
მიტომ მღერის საბოლოოდ გედი,
თვითონ არის ბედის შემოქმედი...
გადანურა, თითქოს, წყალი ვაჟმა,
წყალი იყო, არა აიაზმა!..

„ბედს სჭედავსო კაცი თვითონ ქველი,
შემოქმედი, არა კაცის მკვლელი,
ხმას ვერ იღებს ბასრი ენამჭრელი
ნიგნით ხელში გადირბინა ველი.
გადიშალა მის წინ ველი ვრცელი,
ხნულში მკვიდრად იდგა კაცი მხვნელი,
გაუსწორა ყმანვილს თვალი მცდელი.
ვერ დამალა ვაჟმა გრძნობა მწველი,
- შენ აქ? - რაო, გადმოგაგდო ქარმა,
იქნებ, ბიჭო, მოგატყუა დარმა;
დედაშენი, ხედავ, როგორ წვალობს,
სახე, როგორ დაუფარა დარმა,
წადი შინ და დედა იხმე განზე,
დასაკრავი არ გქონია თარზე?! -
იქნებ, ბედი მოგდგომია კარზე,
რას გაურბი, რატომ ჯდები ნარზე?..

XXVII

კვლავ მოეგო ვაჟის გული იმედს,
თითქოს ხორბლის სავსე ყანას მკიდეს...
გულში იკრავს. მოერევა იმდენს?
- ვაი, ჩემმა თვალებმა გამყიდეს...
აი, რატომ ჰქვია ბრძენი კაცსო,
ბავშვებს მიტომ ეძახიან ანცსო,
დიდი თმენა აქვსო მხოლოდ არჩვსო,
სიტყვა ბრძნული გაპოვნინებს განძსო.
შავი ხნული ველს ხვაშიადს გვრიდა,
რა იცოდა ბიჭს დედას მიჰგვრიდა

ოხშივარი მიწის მზეზე ცრიდა,
სული წმიდას ვაჟი თავს უხრიდა...
ქროდა მტკვარის ხეობაში ქარი,
და მდინარის ზვირთებს ბანს აძლევდა,
მოისმოდა ჭაობში ხარხარი
ეშინოდა ბიჭს ეშმა დასძლევდა...
შორს მდინარის ადუღებულ ტალღებს,
სიცოცხლის ხმა ველზე ჩამოჰქონდათ,
გაახსენდა: აქ დასდევდა ლაღებს,
სწავლის შემდეგ, დრო როცა კი ჰქონდა.
ახლაც, ისევ მიიწვია ჩქერმა,
აღელვებულ წყალს შეხედა წამით,
და გადაჰკრა მას სახეზე ფერმა,
ციას აქ ხომ ეხვეოდა ლამით...
ქარს აყოლილს არ უგრძენია დაღლა,
სულ სირბილით აირბინა ბორცვი,
გაყინული გული როგორ გაღღვა, -
მის წინ ცია იღიმოდა, მორცხვი...
უცებ შეკრთა აირია ბიჯი,
არ ელოდა ამ უცნაურ „встреча“-ს
შორს ხეობის მოისმოდა ზათქი,
უკაცრავად ველზე ცია შერჩა...
იღიმოდა ქალი, მაგრამ წელი,
იფრქვეოდა მის თვალთაგან ცრემლი,
იდგა ბორცვზე ვით დამფრთხალი შველი,
ბიჭს ყურებში მაგად სცემდა გრდემლი.
ბობოქარი გრგვინვა სწვავდათ ყურებს,
ხეობის ხმა გულის ხეთქვას ჰგავდა...
იმ წამიდან საოცარი მოწმე,
სიცოცხლის თესლს მათ გულებში რგავდა...
ცას აჰხედეს, თითქოს შველას თხოვდნენ...
ზეციერის სურდათ პატრონობა,
ღრუბლებს ისე შეეყარათ თავი,

ჩანდა ერგოთ ქვეყნის ბატონობა.
უმანკოთა გრძნობას ნათელს ჰფენდა,
სულიწმინდა სასიცოცხლო ფერით,
ეს დიადი შერწყმა დაიდენდა,
მადლს ზეციერს – დაეფარა ფსკერი.
და ჭიდილი სტიქიისა მადლთან,
სხვა რა არის, თუ არ გრძნობათ შეხლა,
რა საამოდ მოიწვია ღმერთმა,
რომ ეს წყვილი ბორცვზე ერთად შეხვდა...
იდილიას მადლს აფრქვევდა ზეცა,
თრთოდა ორი უმეცარი გული,
შიში ნთქავდა იმათაც და ხეთაც,
არ ჰქონოდათ ცუდი დასასრული.
საუცხოოდ მოეფარა ღრუბლებს,
მზე დიადი – ქვეყნის ნათელმფენი,
ფერთა გამა ჩაუნაცვლებს ღუბლებს,
თუმც სიმშვიდე სულ ყველაფერს შვენის.
ზაფხული ცას სიხარულს სთხოვდა,
შეჭიდებას არ ახსოვდა სევდა,
თუმც, სიყვარულს მზის სხივები ქსოვდა,
ღრუბლებს, მაინც, გულში შური ედვა.
და ამ ორი სიმარტოვის გვერდით,
შეუცნობი სიყვარული ფეთქდა.
გაიგებდა ამას მხოლოდ ღმერთი,
ნებისა წილ... უნებლიედ მეთქვა.
გულს გაჰქონდა ისე ბაგა-ბუგი,
მათი რწმენა უმანკო და ქვენა,
ცას მიენდო, შველებოდა თუკი,
ღრუბლებიდან წვიმამ იწყო ცვენა...
იდგა ორი განსაბანი მიწის,
პირისპირ და საუცხოოდ სწამდათ,
მადლნი იყვნენ სიყვარულის ნიჭის,
და ორივეს ღრუბელი მზით ბანდა...

განბანილნი უხილავი სიბრძნით,
მტკვრის ტალღებში მოცურავით ჰგავდნენ,
რა იცოდნენ, რომ მომავლის წისქვილს,
ორივენი სუფთა წყალს ასხამდნენ...
შეეცოდა ვაჟს ქალური კდემა,
სველდებოდა წვიმის უხემ თქორში,
მოეხვია, არ უნდოდათ კვდომა,
ინვებოდნენ სიყვარულის ტბორში.
დაავინყდათ სწრაფი წვიმის თავსხმა,
და ქუხილით დაჭექქება ელვის,
მოუთმენლად ვაჟს მიელის დედა,
ქალს გულმკვდარი მისი დედა ელის...
ჩაკონებულთ წვიმასავით ბანდა,
საკუთარი წმინდა ცრემლი სველი,
შთაგონება რად უნდოდათ, ჩანდა
მოელოდათ სული ტყვე-მყოფელი.
მათ ფეხებთან ცრემლის ტბა ზღვასავით,
იდგა, როგორც ზღაპრული ქმნილება,
გადაწყვიტეს... მათ ბედი სხვასავით,
თვით ბუნებამ – ეს ასე ინება.
უცებ ციამ თვალი ჰკიდა ტატნობს,
ვაჟმაც თვალებს მიადევნა მზერა,
ცისარტყელა შეყვარებულთ ამცნობს:
თუ ცხოვრებამ მათ რა დაუნერა.
თუ მის ქვეშ ჩვენ გავივლითო, ციამ,
ასე უთხრა მის გულისსწორს სწრაფად,
ბედნიერი ვიქნებითო, მუდამ,
და არც წყენა გვიღირსო არაფრად.
მოსწყდა ადგილს, მირბის ცია ლალად,
გამოერკვა, ვაჟიც დაედევნა,
სიხარული იდგა იალალად,
მათ სიყვარულს ვერ აწერდა ენა...
ენევიან ცისარტყელას საზღვარს,

უნდათ მალე გაიარონ მის ქვეშ,
სიყვარული გადალახავს რა ზღვარს,
საოცრება აიტაცებს მის ეშხს...
დაიღალნენ, შედგნენ ცის ქვეშეთში,
ცისარტყელა მქრქალდებოდა, მართლაც,
ბედნიერი სიყვარულის წუთი,
მის გულისსწორს აგონდება ახლაც...
– ცია, ცია, მისწვდა დედის სმენას,
გაფერმკრთალდა სახე ვარდისფერი,
– ვაი, შვილო! – სულ დაება ენა
და ათასჯერ შეეცვალა ფერი...
სახლის ზღურბლზე იდგა სველი ცია,
კიდევ კარგი, მთლად არ გააცია,
ათრთოლებულ მკერდზე ხელებს იწყობს,
ძლივს გაალო პირი, თქმა დაიწყო:
– დედა, მე თან მეგობარი მახლავს,
ოღონდ, აღარ გამიჯავრდე ახლა,
თვით მას სურდა ჩემთან ერთად ყოფნა,
დედა მიხვდა, ისარივით სტყორცნა:
– ეს, შენს გამო? – ლამის მოკვდა გოგო,
აქ გაბედე შენ, კი, მოსვლა? – როგორ?
როგორც გინდა აღიარო ცოდვა,
თუ კაცი ხარ, არ დამიწყო ბოდვა...
ვაჟი შეცბა ტანში გააცია,
გამოვარდა, თან გამოჰყვა ცია,
– ნუ, ნუ, კარგო, ამ ბედნიერ სახლში,
(ქალი თრთოდა, ვით პატარა ბავშვი).
– ნუ მიიღებ დედის სიტყვას წყენად,
(და დაეტყო მაშინვე მოწყენა)...
– უძვირფასეს სიყვარულს, რომ ვწირავთ,
ღმერთი არსად, ჩვენ აღარ გაგვწირავს...
ვაჟს აღმური მოსდებოდა წითლად,
ანთებოდა ორი, წყვილი თვალი,

ქალი იდგა, კანკალებდა კი მთლად,
ის მზად იყო მოეხადა ვალი:..
შუაცეცხლში ჩამდგარიყო ფრთხილად,
მიღეულ ხმას ახვედრებდა ნასროლს.
სიტყვა ისე ორლესულად სჭრი და,
უნებლიედ თამაშობდა ას როლს...
ვაჟმა თავი მამაკაცად იგრძნო,
ციას ხელი შემოხვია მხრებზე:

– შენ ჩემი ხარ, თუ სურთ, უნდა გიცნონ:
ჩემს მეუღლედ, ფიცს ვდებ მტკიცეს ქვებზე...
დედა მოლბა, რა წამს იგრძნო კაცის,
რწმენით სავსე სასურველი სიტყვა,
რა მადლია მოვლენილი ამ ცის,
თითქოს გაქრა, რაც იქამდე ითქვა.

ქალი ისე აიტანა თრთოლვამ,
ძლივსლა იდგა ფეხზე ცოცხალ-მკვდარი,
ვერ გაუძლო ამ სიტუაციას,
და ნაიქცა ის გულშემომკრთალი...

– ვაი, შვილო, დედა ეცა ციას,
არ მომიკვდე დედის სიამტკობილო,
ვაჟს ძარღვები სულ მთლად გაეყინა,
– წადი, გადი, შე, მთლად უსირცხვილო!..
ვერ მალავდა დედა გულისწუხილს,
დარდისაგან თმა გასთეთრებოდა,
ციას თვალზე დადგენილი ცრემლი,
დედის მწუხარ ცრემლთან ერთდებოდა...
გაშრა ვაჟი, გაუმკლავდა სირცხვილს,
თითქმის ხელში შემოაკვდა ცია,
და არც იყო დრო ჭმუნვის და ურვის,
გამოვარდა, ფიქრი მტვრად აქცია,
გზა სახლამდე ისე სწრაფად განვლო,
გულამოსკვნილს თან რჩებოდა კვალი,
ნეტავ, დედა ისევ ისე წამლობს?

ნეტავ, თუა ჩემზე გულგამწყრალი...
მოუთმენლად აირბინა კიბე, –
ნახევარი საუკუნის მონმე,
მთვარე უკვე თავს უზრიდა ღრუბლებს,
და ჰკოცნიდა მიჯრით მიმდგარ ბორცვებს...
– დედა, სად ხართ! – გამომხედეთ გარეთ,
ვაი, დედა, შენ მიშველო იქნებ? –
დედა შვილის მოლოდინში მჯდარი,
გაეტყუა ათასნაირ ფიქრებს...
შვილის ხმაზე მილულული თვალი,
შეარხია, შეკრთა, ადგა ფრთხილად,
იქნებ, ბიჭი ხომ არ არის მთვრალი,
გამოფხიზლდა, კარგად გაახილა...
– რაო, დედი, რა შეგემთხვა, შვილო!
რა იფიქრე, დარდმა როგორ დაგცა? –
განა დედა ვერ გაგიგებს ბიჭო,
ვაჟი შედგა და ხმა ველარ გასცა...
ცრემლს მალავდა, აღარ სურდა ოხვრა,
დარცხვენილს თუ გაამხელდა მოხვრა,
ბიჭებს თვალი, რომ გადაჰკრა დედამ,
გულს მაშინვე ეცა ჩემი ელდა...
– მითხარ, შვილო, მიგიხვდები სურვილს,
იხრჩობოდა, ვაჟი გრძნობდა წყურვილს,
დედამ დოქით მოუტანა წყალი,
– დალიე, – ეს მოგიკლავსო ურვილს...
– ვაი, დედა, თავს დამატყდა მწარე,
ბედი ჩემი, დარდი არ გაკმარე,
ცია მოკვდა, წამომყევი ჩქარა,
დედა არის მარტო მის ამარა...
გაშრა ელე, არ ელოდა, თითქოს,
(უმისობას, დრო თვითონაც ითხოვს)
– განა, ვინმემ გითხრა სიტყვა მწარე? –
იქნებ, ვინმეს დაუშავე რამე?

ორი კვირა როგორ გამანვალე,
ამ დილითაც არაფერი ჭამე...
თუ გიყვარდა, რატომ არ მასამე?
დარდით თვალი რატომ დაინამე.
სიყვარული, თუ გხიბლავდა, შვილო
სხვას არ ჰკითხე? – რად არ მითხარ ან მე?

XXVIII

კენესის ქალი ლოგინს მიჯაჭვული,
თვალთა ხილვას არევია აზრი,
სიცხით იწვის... ეს ქვეყანა კრული,
არც მას ინდობს, მორევია ბრაზი...
დედას – წლების შემომყურეს, ტანჯულს,
შეუყვარდი დასავსებად რა რჯულს?...
– ვაი, შვილო, იცი, ეს ქვეყანა,
მთლად ველია, როგორც ლორთქო ყანა...
როგორ შეცდი, თავს ვისთვის იკლავდა,
ნორჩ გულს რატომ მიაკარე დარდი,
იშლებოდი, ვით ია და ვარდი,
შენი ჭკუით ჭანჭრობს ჩამივარდი...
მოთქვამდა და დასძახოდა დედა...
ციას ტანჯვით ჩაეძინა ბედად...
არ ესმოდა დედის ცხარე სიტყვა,
სიმართლე კი – უკვე თვითონ ითქვა.
კარის ჭრიალს უკვე ვიღაც გრძნობდა,
წაშლილიყო, რაც ამპარტავნობდა,
გადაღლილი სახე დარდებს თმობდა,
სიტყვა კიდევ ამ დროსთან ომობდა...
მორჩილება გულს აღარა ჰქონდა,
აქამდე ხომ, თავიც კი მოჰქონდა,
ახლა რა ქნას? – უღალატა დრომ და,
სულ სხვა არის დროწასული მოდა...
ხმამაღლა ფიქრს აენწყვიტა თავი,

არვინ იყო მისი გამკითხავი,
თუ შენ თვით არ დაიფარე ტყავი,
შეიქმნები ქვეყნის მავნე, ავი.
შემოესმა უცხოოდ თქმული მარტოს,
კარს სტუმარი მოლოდა პატრონს,
– ო, ო, გმინვალა აღმოხდა და ტონს,
დაუნია, ხელით ტეხდა კარტონს...
– ნუ, არ გინდა შეაგება მშვიდად,
შემოსულმა, ხელზე ეამბორა,
მეც დედა ვარ, სიმშვიდე მეც მინდა
ან, არ გვჭირსო დარდით სავსე გორა...
– თუ დავლოცავთ ამ ჩვენ შვილებს, უფრო,
გავახარებთ, გულის კარს გავუღებთ...
ჩვენ ორივეს გვმართებს, როგორც უფროსთ,
თუ არა და, ცხოვრება დაუყევთ...
ელე წყნარად, მშვიდად ხელს უსვამდა,
ციას შუბლზე ამბორს ჰყოფდა, ვით შვილს,
„რძლის“ კალთაში თითქოს ჩვილებს სხამდა...
ისე ნაზად ექცეოდა სხვის შვილს...
შეცბა ნაზი – ქალის დედა. მძიმედ
ამოიდგა ენა ორლესული:
– მადლობა ღმერთს, არ ვკარგავდი იმედს,
თუმცა ცია, ჩანს არის ორლესული.
გაქვავებულ ვაჟს დაება ენა,
ჭმუნვისა და სიხარულის ზღურბლზე,
გულში გაჰკრა და გაუქრა წყენა,
მყის სინითლე ნამოენთო შუბლზე:
– მე მამა ვარ? – რა სიმკაცრე ბედის,
კინალამ, შვილს დავუტოვე ხინჯად,
მერე მისწვდა, აღმურანთილ დედას,
ხელი შუბლზე დააფარა დინჯად...
გულში ზეიმს ვერ იტევდა ვაჟი,
ისევ გახდა გულადი და კაჟი,

დედებს ოდნავ გაერიათ ნაზი,
ტონი ხმაში – აშუღური საზი...
ტკბილ სიყვარულს აღმერთებდა ვაჟი,
– ცია, ვფიცავ, მე არ დამემდურო,
იმედი, რომ სულ არ გადავწუროთ,
ქვეყნის ბოღმავ, მიგვატოვე შურო?..
გაგვიტენდი ღამევ, ცისკრის ფასი,
შემოგვწირე, ვით შარბათის თასი,
ცია, ჩემთვის შენ ხარ ქვეყნად არსი,
წარსულს გაჰყვა ყველა ტანჯვა თარსი...

XXIX

იდილია გრძელდებოდა ტკბილად,
დათუნია იზრდებოდა „გმირად“
დედა თავს დასტრიალებდა ლბილად,
მამა ეალერსებოდა ხშირად...
მათ ცხოვრებას ჰქონდა ბრწყინვალეობა,
მაგრამ შიში, მაინც დიდთვალეობა,
ჯერ არ ჩანდა, თითქოს, ითვალეობა,
ცრუ სოფელი ზოგჯერ ინაბეობა...
დროს მიჰქონდა ყოველი დღის ნება,
გულს ჰქოფნიდა ნებიერი შვეობა,
ალბათ, ღმერთმა ეს ასე ინება,
ზოგჯერ ნახვას სჯობიაო ქება...

XXX¹

დრომ და სივრცემ იცის თავის ფასი,
არც ტყუილად არ ივსება თასი,
თუმც ეს არის ამ სამყაროს არსი,
მეტოქეობას დედამინას მარსი...

¹ მოყვითალო, გაცრეცილი ფერის მინერალი.

ვარსკვლავეთში ყველაფერს აქვს გარსი,
სიყვარულსაც შეუვალი ქარსი,
ყველაფერი ვითარდება მასში.
მაგრამ ჩვენ კი – რას ვხვდებოდით აზრში?..

XXXI

სოფლის გორა საფარველად ადგას,
ციხე-გოდოლს დაჰფენია ჩრდილი,
სალამოა, სიო გრილი ადგა,
კარიბჭესთან მზვარე გიხმობს თბილი...
მწვანე კორდზე ნაბილიკარს ზომავს
და მზის სხივი დირეს ადგას ხატად,
როგორც ფარჩა, ნეტავ, ვინ მოქსოვა?
ან ხავერდი, – ასე ვინ დახატა?
წინკარს ოქროდ დაჰფენია ნათლის,
წმინდა ნთება ზურმუხტისფერ ბაღში...
გეგონება ლალს აღმასი ათლის.
ფერთა გამას გარდამავალს თაღში...
შერევია დედამიწის ფერებს,
ცა წარმოთქვამს გასაოცარ ბგერებს,
არხევს ბაღში სიო ნაირ ღერებს,
ცის სიტურფე ლაუვარდს აამღერებს...
ისე ნაზად შეფაკლულა მთვარე,
ჩამავალი მზე, რომ დაატარებს,
ნისლ-ბურანის ფერი მოელვარე,
შეუმჩნევლად გამოუღებს კარებს...
საწყაოთი აუვსებელ მნათობს,
სულ დაეძებს დასაგმანად სიბრძნე,
ო, ბუნებავ, შენ მხოლოდ მბრძანებლობ,
ერთხელ მაინც კაცთა ვნება იგრძენ!..
ცხოვრება ხომ დუღილია ჩუმი,
და საწყაოს ცხოვრებისას ცლიან,
ამიტომაც ეს უსაზღვრო სივრცე,


მოკვდავთათვის წამში დაილია...
ეხარება მოკვდავს სხვისი სული...
იცის, ხვალე არ დაინდობს ფლიდი,
იმედთან გზას დაეძებს კაცი,
ამ სამყაროს წუთიერი გიდი...
მუდმივობა უსაზღვრო არ არის,
დღევანდელი წარსულივით ქრება,
რჩება კვალი მხოლოდ იმ მაყარის,
ვისაც არც როს არა აქვსო შვება.
ჩაიხლართა ვენახივით ფიქრი,
და სამყარო წუთით დააჯღანა,
გადარეულ ღრუბელივით მიჰქრის,
ვისიაო? – ნეტავ, ეს ქვეყანა? –
და ვედრებამ კვლავ წაართვა თავი,
სიყვარულით ნაბურუსალ დედას,
ან ხანდახან ეს გარემო ფლიდი,
რამდენ რამეს, რა უხეშად ბედავს...
გამოეკრა ცას ვარსკვლავთა ჯარი,
ამბოხებას აპირებსო თითქოს,
ზოგან კუდზე გამობმული ფარი,
ვარსკვლავების გადარჩენას ითხოვს...
ო, სამყარო, რატომ არ ისვენებ?
რატომ გვახვევ მაცდურ ფიქრებს დარდად,
თუ ოდესმე, ნეტავ, გავიხსენებ?
ერთხელ მაინც შემოგხედავ კარგად...
მიაქვს მთვარეს ცის დუმილი წყნარი,
ვარსკვლავები აცილებენ მნათობს,
და მოელის ღამეს გასაყარი,
მთვარეს ღრუბლის მოფერება ართობს...
ცისკრის ვარსკვლავს თავს დაუკრავს მთვარე,
და დატოვებს ჩამავალი მხარეს.
წამოანთებს ზღაპრულ აისს დილით,
მზესთან ერთად დედამინა ივლის...

საუცხოოდ ინიღბება ირგვლივ
სილაჟვარდე ზურმუხტს გადაივლის,
ციხარტყველად აენტება მზეში,
სამლოცველოდ დაიდგმება მთებში,
სახლის დირეს ისევ ზომავს სხივით,
და მამალი - დილის მეკვლე - ყივის!..
ნამოშლილ ცხვარს მთები ჩაიხუტებს,
ტყე შრიალა ზღაპრულად ჩურჩულებს...
ნახირს სიცხე შეაწუხებს ველად,
და მდინარე გააგრილებს ხელად,
მოახტება მეხრე კამეჩს ზურგზე,
ხელს გაიწვდის დამაშვრალი თუნგზე,
ინყებს ახალ საოცრების თხრობას,
არ ელევა მას დიდი მოთხრობა,
ყოველ წუთში ისეთი რამ ხდება,
კაცი - ბრძენიც, ალბათ, გაკვირდება...
ჩვეულებრივ დრომ ნაილო რია,
მიეწვია წყნარ ცხოვრებას ცია,
ყოველდღიურ საზრუნავმა გოგოს,
სხვების მიმართ გული გაუცია...
- ეს რა ხდება? - ერთ დღეს წარბი შეკრა,
ველარ შეძლო მისთვის ცული ეკრა,
ვერც თბილისმა ვერ უშველა მოკვდავს,
სულ ფიქრობდა: სიყვარული „მომკლავს“...
როგორც ბარტყი, უნებლიეთ, შიშით,
შეპყრობილი იყო ღვთის მოშიში,
გულში მძლავრად ეხვეოდა სიყრმეს,
სიყვარულის გადავლილ სიმძიმეს.
შორს უჭვრეტდა ყველას მისი ყოფით,
მოიგონა ყველა მასთან მყოფი:
- ამ სამყაროს დაკიდული კიბე,
„საოცარი სიფაქიზით ვზიდე...“

ცხარე მზე ამოდიოდა დილით,
 ციას ჯერ არ გაეხილა თვალი,
 დედა შეკრთა, ქალმა სთხოვა ნყალი,
 მოეხადა საამქვეყნო ვალი.
 მიანოდა თრთოლვით, ღელვით, სწრაფად,
 – ვაი, შვილო! – და ტანში დაზაფრა...
 ციამ ირგვლივ მიმოავლო მზერა,
 საოცარი აღმოხდა სიმღერა:
 „მზეო, მზეო, აისით ამოდი,
 დაანთე სიცოცხლე ყველგან...
 მზეო, დედამინა ახარე და დატკბი,
 და ჭერი ახადე მტერთან!..
 სიტყვავ, სიტყვავ, ილოცე ყველასთვის,
 და ქვეყნისა იყავ დიდი ფარი,
 უზესთაესო ეს მინა დალოცე,
 არავის მისცე თუნდ მცირე ბზარი...
 მზეო, მზეო, სწრაფად ამოდი და,
 ყველასთვის სრულყავ სამართალი,
 მრგვალო დედამინა მუდმივად იბრუნე,
 გაამრავლე კაცი და ქალი.
 სიტყვავ შენა ხარ სინმინდე ყველასთვის,
 ილოცე, ჩაუგები იყავ ფარ-ხმალი,
 ღმერთო ქვეყანა დალოცე და
 შემინდევე მეც, ესოდენ საწყალი...

XXXIII

გაოგნებული დედა ბორგავს: – „ვაი, ჩემს თავსა!..
 ღმერთო, ეს ჩემი გამწარება არც ცხრა მთას, ავსა,
 განა, რა ჰქვია საიდუმლოს, გვიქადის კარგსა?
 იქნებ, შენ მაინც შეძლო, გოგოს – მიხედო კრავსა?..
 გულზე დაემხო სიყვარულით ცრემლი შესწირა,
 გაყინულ ცხედარს ჩაეკონა და ხმით იტირა:

– მორჩა, დამთავრდა დღის სინათლე შენთვის! – იყვირა,
დამელოდები, შვილო, ციააა! – მოვალ ცის პირად... 

წავიდა ცია უსასრულოდ დიდ სამყაროში,
და გაეყარა დიდ სიყვარულს მიწის ამბოროში,
ვაი, და ვიში დაუტოვა დედას გულისყრად,
და სიყვარულის იდილიას ჩაეხუტა ბრმად...
მზეს გულსაკლავად დაეყარა სხივი ციასთვის,
და მიწაყრილზე დადგმულ კუბოს ნათლად მოსავდა,
მჭმუნვარე სხივებს მოკვდავთა მზე პანაცეათი
ციას აფრქვევდა, უკანასკნელ გზაზე ლოცავდა...
დიდ მეხნაყარი მიწა ურჩად გაფატრულიყო,
და მოელოდა ბექობიდან მოვარდნილ დელგმას,
მის ნაპრალებში ცრემლი ისე დაფანტულიყო,
გაიფიქრებდი: – ყველა ბელტი სიცოცხლეს ნერგავს...
შესამჩნევია სამყაროში მბრუნავთ ჭიდილი,
მათი ღირსება დაჩქარების დიდი გრანტია,
სახეცვლილება – მუდმივობის ერთი წადილი,
დედამინაზე – „ოქროს წესის“ არს გარანტია...

მეუღლის გულში რა დაინთო – ყველამ იცოდა,
მზად იყო ტანჯვას, მახვილივით რომ შეჰფიცვოდა,
ციას სულივით, მისი სულიც ტრფობით იწვოდა,
და სიმწრისაგან ოტებულნი გრძნობით იკვროდა...
გამწარებული ქმარი სხეულს მკერდზე იკრავდა,
ნიაღვარივით მოდენილ ცრემლს ციას სწირავდა,
მაგრამ სიკვდილი უჩინარ ცელს ახლა პირავდა,
და შეუმჩნევლად ერთურთისგან გრძნობებს კირავდა...
წავიდა, გაქრა, ამ ცხოვრების სიტკბო მხურვალე...
ნაზი თითები მოაღერსე, ენა – ბრწყინვალე...

ამოუცნობი, მგრძობიარე და გამჭვირვალე,
უსათნოესი ღიმილი და სახე ბზინვარე...



– ნავიდა ჩემი ცხოვრება და დამრჩა ტარიგი,
არც მიფიქრია, არც ოდესმე, – ვიყავ, ბარიგი?
მე მოვალე ვარ შევადგინო სწორი განრიგი,
მის დანატოვარს – ჩვენს სიყვარულს – ჰქონდეს თანრიგი...

***2

თავში მრავალი ირეოდა ფიქრი მჭმუნვარე,
მზე შეჭრილიყო მის ოთახში დილის მცხუნვარე,
ღია კარებში დაინახა შვილი მძინარე,
სწრაფად წამოდგა, მძიმე ფიქრი გაჰყვა მინარეთს...
არ ასვენებდა წარსული და მომავლის იჭვი,
თავს წამოადგა ისევ ბავშვი – სტუდენტი ბიჭი,
და გულში გაჰკრა: – არ დაკარგოს მან მისი ნიჭი,
და გაახსენდა: რომ „უჩვენა პატარამ კიჭი“...
ეს ერთადერთი სიყვარული დატოვა ციამ,
გულდამძიმებულს, გაფიქრებით ტანთ გააცია...
– არა, მე ჩემს შვილს ვერ დავტოვებ, – შორს წადი ცია!
მტკიცედ იცავდა შეყვარებულთ ძველ ტრადიციას...

XXXIV

საბრალო ნაზი – ციას დედა, თვალსცრემლჩამდგარი,
ჩაჰლიღინებდა ციას სურათს ხელზე დამჯდარი,
ელანდებოდა ერთადერთი შვილი აღმდგარი,
და კანტიკუნტად პასუხობდა სიტყვა მომდგარი...
აგონდებოდა ხან მსუქანი, ხანაც გამხდარი,

² უებარი საშუალება ყველა სენისათვის. ალქიმიკოსებს ჰქონდათ პირველად.

და ზღაპარივით თვალწინ ქროდა თავს გადამხდარი: –
– როგორ გაზარდა... – სიზმარივით ასე ამხდარი...
არ ასვენებდა სანუთროს დრო – ცელით დამხვდარი,
დროს ემდუროდა: – დამიბრუნე მე ჩემი ცია,
უიმისობით აღარა ვარ და სულში მცვივა,
ამ ვაშლის ხიდან ნაყოფები ცვივა და ცვივა...
გაზაფხულით კი – კვლავ მოასხამს, როცა არ ცვივა...
– ხეს ეს ახარებს, მან მორიგი იცის სიუხვე,
დრო გაზაფხულის ნუკრად აქცევს კვლავ მთის ჭიუხებს,
და ღელის პირას ჩვენი წყარო წყალს კვლავ იუხვებს,
ვილა ჩარეკავს მდინარეზე შენს ლამაზ იხვებს? –
შენ მაცოცხლებდი, შვილო, ახლა რაღამ მაცოცხლოს,
დარჩა ეს ბიჭი უდედოდ და მეხმა დამცეცხლოს,
თუ მივატოვო შარაგზაზე, კუპრი დამეცხოს,
ჩემი დათუნას ვაჟკაცობამ, სული წამეცხოს...

ბავშვი უმზერდა მომტირალე, ნალვლიან ბებოს,
თითქოს მის თვალებს აპკურებდნენ ცრემლიან წებოს,
ვაი, რომ დედა შვილისათვის აღარ არსებობს,
– ავდგე, მივხედო, შენს მაგივრად... ცხოვრება მეფობს,
ამ სიმძიმელმა სულ მთლიანად მოცელა კაცი,
თვალწინ დაუდგა მისი შვილი – სხარტი და ანცი,
ადამიანი უნდა იყოს, მართლაც, მამაცი,
სულ, რომ გაუძლოს ამ ცხოვრებას, არ მისწყდეს ქანცი...

ბებო, დღითიდღე ილეოდა შვილის დარდისგან...
ბოსტანში, ერთხელ, ძლივს დაიხსნა ფეხი ბარდისგან,
თვალში სინათლე აკლდებოდა, ნელა თანდათან,
რალაცა ძალა ეწეოდა შვილთან ხანდისხან...
დიდხანს ვერ გაძლო ციას ხილვამ მონუსხა მზერა,
აღარ ხიბლავდა არც სისხამზე დილის სიმღერა:

- ნუ ამოდიხარ, ნელა მათბობ, ძლიერო მზევ! - რა?
ჩემ ციას გაჰყვა ჩემი გული და ბედისწერა.
დიდხანს არც ნაზის უცოცხლია... შვილი მწარეა...
და ყველაფერი შენს გარშემო სიმწუხარეა,
სიცოცხლე კარგავს უძვირფასესს - ყოფა მდარეა,
შვილს თუ დაკარგავს დედა, მაშინ ისიც მკვდარია...
- დედა, უშენოდ არ ვარგივარ, მოდიხარ ჩემთან?
დილით, ცისმარე ჩაესმოდა ნაზის ციას ხმა,
განმეორება ძნელი იყო - მოვდივარ შენთან!..
პასუხი გასცა, როს ჩურჩული ციასი ესმა...

გათავდა ქალი, შვილის დარდმა გაუპო გული,
იმნამსვე გაჩნდა გრძნობებს შორის დიდი უფსკრული,
ნაზი სისწრაფით მიჰყვებოდა ციას კვალდაკვალ,
- ო, შენ, სიკვდილო, სიცოცხლისთვის, რატომ ხარ კრული?..
დედაშვილობას, შენ, ვერ გაჰყრი, თუნდ იყო სრული,
აშლილი დელგმა ნაუცბათევე გეზით მოსული,
დედა ბრძენია, არ არსებობს იმისთვის ზღვრული,
არც სიამაყე, არც დიდება, არც ოქროსხმული...
დედა - დედაა, მისი პირმშოს პირველი მაცნე,
და ჩვილის ღუღუნს ის არასდროს, არ როდის აცდენს,
დედა სიტკბოა, ეს სიტკბო კი - განიცდის რამდენს,
დედაშვილობა აპატიებს ცოდვათა ჩამდენს...

XXXV

განოლილიყო ნასამხარალზე მშვილდნასროლი მზე,
და მონუსხული გაჰყურებდა სიკვდილმისჯილთ გზებს,
შეშურდებოდა ერთგულება, ალბათ, ბერძენთ ზევსს,
დედაშვილობა შეუქმნია, მხოლოდ, დიად ღმერთს!..
შვილის საფლავთან თავდახრილი მივიდა დედა...
ირგვლივ გამეფდა დუმილი და უბირო სევდა,
მზე ჩადიოდა, თავის ღიმილს აღარ აპნევდა,

გაყინულ სხივებს მათ სამარეს მიმოაბნევედა...
დედას სიცოცხლის ნიშან-წყალი არ შერჩენოდა,
გათანგულ სხეულს დიდი კრძალვა შეემჩნეოდა,
შვილთან შეხვედრის მოლოდინში ღრმად დამჩნეოდა:
დიდი წყურვილი შვილის ხილვის, გულს ჩარჩენოდა...

ნელ-ნელა, კრძალვით მიაბარეს იგი იმ მიწას,
სადაც ციაა დაკრძალული – სად დედა იცავს...
ესაა დიდი სიყვარულის წმინდა ალაგი,
არც ერთ სხვა გრძნობას არ იკარებს მისი ბადაგი...

ბიჭმა სიმწარით დაიტირა დედაც, ბებიაც,
ბებო, როგორი სიყვარული გულში გდებია...
ასეთნი, მხოლოდ, ღვთისწყალობით თუკი ჩნდებიან...
დიდ სიყვარულის სამსხვერპლოდაც მიიჩნევიან...
ამ ერთგულებამ დამარწმუნა შთამომავალი,
თქვენ(ი) სიყვარულის ვიყო მცველი და მომავალი,
თქვენით განვსაზღვრო, თქვენით ვიყო ამომავალი,
დიდი ცხოვრების პირუთვნელი წარმომავალი...

ეს – სიყვარულის ეპოპეა ასე გასრულდა,
კიპაროსებზე ნაწვიმარი წვეთი დაცურდა,
უკანასკნელი სურვილები: მათი, რაც სურდათ,
თავის მომავალს დაუტოვეს... – და აუსრულდათ!..

მ. დათიაშვილი

P.S. ლელეს ცრემლები დიოდა ხევში,
ემატებოდა წყაროს წყალს ჭავლი...
თუ სიყვარული ემართა ღმერთის,
რატომ ნანობდა დრო შემომწყრალი?

„მ. მესხი“ დათიაშვილი-ავტოგრაფი
1965-1969წ. +1989წ.

შორენა დოლიძე

დავიბადე 1976 28 ივლისს. დავამთავრე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვარ კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, ფილოლოგი და ბათუმის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული.

ვწერ როგორც ყველა, ბავშვობიდან... ჩემი ლექსები პერიოდულად იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალებში: („ჭოროხი“, „განთიადი“), ლიტ. გაზეთებში: „ლიტერატურული გაზეთი“, „მწერლის გაზეთი“ და სხვა.

2020 წელს აჭარის მწერალთა სახლმა გამოსცა ჩემი პირველი წიგნი - „დავრიში“ ბატონების დავით თედორაძისა და სანდრო ბერიძის რედაქტორობით.

ვწერ კონვენციურ ლექსს, ვერლიბრს, ვერბლანს. მინიატურულ პროზას. ლექსში ვიყენებ, უფრო სწორად, ველოლიავები ხევისურული დიალექტის ფორმებს. უახლოეს მომავალში ვგეგმავ კრებულის, „ალაზას“ გამოცემას. ლიტ. ფსევდონიმი - ალაზა მთისშვილი



გადმოგლვარე ჩემი
სული,
უკვდავების ჯამიდან,
ბროლის სატურნებიდან,
აბრეშუმის ბაგიდან.
ბროწეულის ბალებიდან,
დამწიფებულ ჭალიდან,
მე რომ წასვლას ვიჩემებდი,
შენ იწყებდი თავიდან.
მე დარბაზით მოვდიოდი,
შენ ჩნდებოდი კვამლიდან.
ნაფოტიდან,
ნაშალიდან,
არაფრიდან, ქარიდან...

შენ მეუბნები,
პოეზია შენ ხარო
თავად
და კიდევ მეტიც.
ესაა ლექსის სიყვარულში თავგამეტება.
არ ვიცი რა ვთქვა,
როგორ ვკადრო
ლექსს ყოფნით დაღლილს
დაუბადებლად
სისხლძარღვში გაშლა.
როგორ მოგიტხრო
როგორ ვკვდები,
როგორ ვიცლები და
როგორც სველი მელოდრამა, ლექსად
დამლილი
განვთხეულვარ
სადღაც და სადღაც...
ბედნიერები ვერ
ხედავენ პოეტის
ჯვარცმას.
ვერც ცხელ კოცონზე
შეგდებული
კალმახის ფართხალს.

ჩამოირბინა სულის
მდინარემ
ხევზუვი მიუვალი,
როგორ ბიბინებენ ქალები,
როგორ დუდუნებენ
მთები,
როგორ წრიალებს
ჩიტი.

ტოტიდან ტოტზე
ხტის.

არც გალობს, არც
ნივის, მართო ცრემლებს
ღვრის.

ეს ცრემლი
მდინარებს,
ამ ნიაღვარს მოვყავარ შენსკენ,
ამ ნიავეს, ამ ქარს, ამ
გმინვას.

მთვარემ თქვა (ნაწყვეტი)
მოგივალ შუალამიანსა
ჭერხოს
უშფოთვლად მძინარეს,
ჩამოგიჯდები
სასთუმალს,
სუნთქვას
დაგითვლი
დილამდე,
და როცა ცვარ-ნამს
ჩამოჰყურის,
როცა იყურებს
მდინარე,
ავკეცავ ნისლის
თივთიკებს
და თავსაც მოვიმძინარებ.

სადაგი დღეა,
ჩვეულებრივი
სამშაბათი,
მაგრამ ქარს მოაქვს
ანწლის სუნი.
ფერფლი
ფოთოლცვენის ნამწვის,
ჩემი თმების
სურნელი.
მუშკის ტონები.
აჰა, თბილი
ხელისგულები,
ინით მოხატულ
ხელისგულზე
აალებული
შადრევნის ცეკვა
და ცეცხლი
და წვიმა...
და კიპარისები...
და კიპარისზე
გამობმული
ბრონეულები.
სადაგი დღეა,
ჩვეულებრივი სამშაბათი.

ნათელა მელიქიძე

წინაპართა უკვდავსაყოფი წიგნი

წინაპართა უკვდავსაყოფად დაწერილი წიგნია ზაზა მელიქიძის „ბალანთა“ (თბილისი, 2018 წელი, რედაქტორი: გოგიტა მელიქიძე), რომელიც ჯავახეთის ზეგანზე მდებარე სოფლის ისტორიას, სახელდებას, არქეოლოგიას, გენეალოგიას ეხება და საინტერესოა როგორც მეცნიერთა, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის; ეფუძნება საარქივო მასალებს, ინფორმატორთა ცნობებს, საეკლესიო ჩანაწერებს, ისტორიულ დოკუმენტებს.

შესავალში საუბარია სოფლის სახელთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე, რომელთაგან ორი ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშს წარმოადგენს და გულისხმობს, ერთი მხრივ, **ბლის ხეების** არსებობას, რომელიც ძველი ბალანთის დასახლებასთან ყოფილა გაშენებული, მეორე მხრივ, თურქული სიტყვის ბალა-ს გამოყენებას მიმართვაში „**აი, ბალა, მთა**“ (აი, შვილო, მთა). ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სოფლის სახელი გაცილებით ძველია, ვიდრე თურქთა გავლენის გაფართოება სამხრეთ საქართველოში, რაც დასტურდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ აღწერილი დასახლებებით. მესამე მოსაზრების ავტორია პროფ. მერაბ ბერიძე, რომლის თანახმადაც, ბალანთა მომდინარეობს სამცხე-ჯავახეთში ძველად გავრცელებული მამაკაცის სახელიდან ბალა: ბალას ოჯახს ვესტუმროთო = ბალანთას წავიდეთო, ეს შეიძლება გამხდარიყო ბალას სამოსახლოსათვის ბალანთის დარქმევის მიზეზი (გვ. 6).

ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მ. ბერიძის თვალსაზრისი, მით უფრო, რომ გვაქვს თოღერთა (> თორელთა) - თორელების სამფლობელო.

ბატონი ზაზა ასახელებს ბალანთის ტოპონიმებსა და ალანთის დასახლარებს: **ოქროქვაბის ხევი, იგივე ხანჯიანთ ხევი; იმედახევი, თეთრი კარკლები, დამპალი ქალა, მუხები, გრძელი ქალა, უკანქალა,**

ქვეშა ჭალები, ბიჭების სახლის თავი, ვერანა, ყეჯელ ყანები, ყანიდარა, ქარხნები, ჩაურმები, გოხები...



„ხანჯიანთ ხევი“ და „იმედახევი“ (< იმედასხევი) ანთროპონიმული წარმომავლობისა უნდა იყოს.

„თეთრი კარკლები“ ქვაყრილს რქმევია (გვ. 7), მართლაც, კარკალი გრ.ბერიძის „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალაში“ განმარტებულია, როგორც „წვრილი ქვა-ლორღი, ზოგჯერ იტყვიან მსხვილ ქვებიან ადგილზეც“ (ბერიძე, 1981: 71).

ზ. მელიქიძის ინფორმაციით, ნასახლარებს „ვერანას“ უწოდებენ (გვ. 8), რომელიც „აოხრებულ, გაპარტახებულ ადგილს“ გულისხმობს (ბერიძე, 1981: 54).

საინტერესო ტოპონიმია „ყეჯელ ყანები“ (გვ. 8). ყეჯელი გ. ზედგინიძესთან ორკაპია, ბოლოში ორად გაყოფილი (ზედგინიძე, 2014: 299). შდრ. მეტსახელი ყეჯე - გალაჯული სიარულის გამო შერქმეული (მელიქიძე, 2017: 133). ნათელია, რომ ყეჯელ ყანებს სათავე საერთო აქვს, მერე იყოფა ორად.

ყეჯელ ყანების ქვევით ქვიან ადგილს „გოხებს“ უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა (გვ. 8). გოხი ორგვარადაა განმარტებული „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალაში“: პატარა გორა ან მიწისქვეშა დიდი ლოდი (ბერიძე, 1981: 34). სწორად შენიშნავს ბატონი ზაზა, რომ ეს ადგილი დასამუშავებლად უვარგისია, მხოლოდ საძოვრად შეიძლება მისი გამოყენება (გვ. 8).

საყურადღებოა მესამე თავში გადმოცემული ისტორია ბალანთაში ოსმალობის პერიოდზე და მის უკანასკნელ მფლობელ ბეგზე. „ოსმალთა აუტანელი გადასახადების გამო (12000 ახჩა) სოფელი უკვე დაცარიელებულია“- წერს ზ. მელიქიძე და იმონმებს არქივის მასალებს, რომლის თანახმადაც, ბალანთის მფლობელი აჰმედ ბეგის ქვრივი, ფამბა ხანუმი, ითვალისწინებს სიძის, ჰამიტ ბეგის რჩევას - გაყიდოს კუთვნილი სოფლები და გადავიდეს ოსმალეთში, ამიტომ ნასოფლარებს: ალანთას, ბალანთას და ხიდიჯვარს 600 ყურუშად მიჰყიდის (1830 წლის 20 მარტი) ძმებს, ოქროა და თევდორე მელიქიძეებს და ძმებ მოსე და გიორგი ზედგინიძეებს, რომლებიც ვასილ მელიქიძის ჩანაწერებით, მძახლები იყვნენ და ცხოვრობდნენ ზედა თმოგვსა და ზველში. ნიგნში დაწვრილებითაა აღწერილი (მეოთხე თავი), როგორ ისარგებლა

ახალციხის ბლალორჩინმა, დეკანოზმა იოსებ ორბელიანოვმა, ბალანთის ახალი მფლობელების რუსული ენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების არცოდნით და დახმარების მთხოვნელთ წილი მოსთხოვა, მეტიც, თავის სახელზე გააფორმა სოფლები და სცადა, მემამულის წილიც მიესაკუთრებინა. სამართალმა პური მოგვიანებით, ათი წლის შემდეგ, ჭამა.

ნაშრომის ღირსება არის ისიც, რომ გათვალსაწინოებულია ყველა დოკუმენტი, რომელიც ნასყიდობას, დავას, თხოვნას, დაკითხვას ეხება.

მეოთხე თავში გვხვდება ანთროპოტოპონიმი „თოფლიანთ სალოცავი“, ნიშის, ქვაჯვარის აღსანიშნავად, რომელსაც დაზიანების გამო ჯვარი აღარ აქვს (გვ. 41). მომდევნო აბზაცში ავტორი შენიშნავს, რომ თურქულად თოფალ „კოჭლის“ აღმნიშვნელია და „თოფლიანთ შტო არის კოჭლი თევდორე მელიქიძის შთამომავლობა“ (გვ. 41). როგორც ვხედავთ, ტოპონიმში გამოყენებულია შტოგვარის სახელი, რომელიც -იან სუფიქსით იწარმოება და კუთვნილების აღსანიშნავად თანს დაირთავს.

საინტერესოა „ბალანთაში“ წარმოდგენილი ამ სოფლის მკვიდრი მელიქიძეების, მალრაძეებისა და ზედგინიძეების გვარის განაყოფთა სახელები. ყველგან -იან სუფიქსიანი წარმოება გვაქვს:

ზედგინიძეები: **ყრუანი** (<ყრუ(ი)ანი), **მათიანი** (<მათე(ი)ანი) - შდრ. **მათიენი** სოფ.ზველი, **იოსიანი** (იოსე(ი)ანი).

მალრაძეები: **გიუანი**, **თემუანი**, **ბოლარანი**.

მელიქიძეები: **ნიკოანი** (<ნიკო(ი)ანი), **გაბოანი** (<გაბო(ი)ანი), **ზერგელაანი** (<ზერგელა(ი)ანი), **ნონეანი** (<ნონე(ი)ანი), **ოქრუანი** (<ოქრო(ი)ანი).

ოქრუანთ შტოსთან დაკავშირებით გამახსენდა: „ბალანთის“ რედაქტორი, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი მწერალი და კარგი მოქალაქე გოგიტა მელიქიძე ერთი წლის წინ სოციალურ ქსელში წერდა: „ის ადამიანები, რომლებიც ახლა ზედა თმოგვის მიწებს უვლიან, ზუსტად მაჩვენებენ იმ ნასახლარს, სადაც ჩემს წინაპრებს უცხოვრიათ. ამ ადგილს ყველა **ოქროანთ კერას** ეძახდა და ასევე ყველამ იცოდა, რომ **ოქროანთ** მელიქიძეები ბალანთაში წავიდნენ საცხოვრებლად“

(https://www.facebook.com/gogitam?hc_ref=ARR89cstRFdwzuan9sLh/pQjFWbt1bNHq9391iVyYs3KL73GpqlZ4B6t7NiR5HFiS4ro&fref=hf)

„ძველ დროში ამა თუ იმ პიროვნების მოხსენიების დროს მისი სახელის წინ აღინიშნებოდა განმასხვავებელი ნიშანი: კოჭლი, ბრმა, ყრუ, ცალხელა და სხვ.“ - ვკითხულობთ ზაზა მელიქიძის წიგნში (გვ. 41). ონომასტიკოსებისათვის ცნობილია, რომ ასეთი ოდენობა „ეპითეტიანი სახელებია“, როდესაც მსაზღვრელი სიტყვა შეიცავს პიროვნების დახასიათებას რაიმე ნიშნის, ჩვენს შემთხვევაში ფზიკური მახასიათებლის მიხედვით. გვხვდება ხასიათის დამაზუსტებელი ეპითეტიც: **თარსი გოგია** (იხ. გვ. 93).

არ მეგულება საქართველოში სოფელი, ზედმეტი სახელით რომ არ მოიხსენიებდნენ მცხოვრებნი ერთურთს. სწორედ ამაში ჩანს მათი ენაკვიმატობა, დაკვირვება, შემოქმედებითობა. ამ მხრივ არც ბალანთაა გამონაკლისი და ბალანთელთა მეტსახელები, როგორც პიროვნების დამხასიათებლები, მეტწილად წარმოდგენილია -ა ან -ო მანარმოებლით: **კოტორა, ფაქელა, ცანცლა, დონეზა, სრლა, დალა, პარმალა, ქორქია, ქოთო, პადო, ჩოფო, ჩოლო, შუქო, პაჩო, სარო...**



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): გოგია მელიქიძე, ნათელა მელიქიძე, ზაზა მელიქიძე.

წიგნში არ გვაქვს ანთროპონიმული ანალიზი და ზაზა მელიქიძის მიზანს არც წარმოადგენდა სემანტიკისა და სტრუქტურის კუთხით გაეშუქებინა ისინი. ეს უკვე სპეციალისტების საქმეა. რაც მთავარია, მოყვანილი მასალა გულგრილს ვერ დატოვებს მკითხველს და ძიებისაკენ აღუძრავს სურვილს.

განსაკუთრებული თავმონონებით წავიკითხე ისტორიები ვაჟკაცობისა და გმრობის შესახებ ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა, ბალანთელთა წინაპრებისა, მელიქიძეებისა და ზედგინიძეებისა.

წარმატება გვინდა ვუსურვოთ ავტორს მესხთა საამაყოდ, საქართველოს საამაყოდ!

ფრიდონ აბაშიძე

ფრიდონ ზურაბის ძე აბაშიძე დაიბადა 1957 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ოქრუაშვილებში. 1980 წლიდან არის ეკომიგრანტი და ცხოვრობს ადიგენში სოფ. ჭვლაში. აქვს ბიბლიოთეკაში მუშაობის 35 წლიანი გამოცდილება, ახლა მუშაობს სოფ. ჭვლის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგედ. 2015 წელს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტულ ცენტრში ტოლერანტობის ქომაგის წოდება მიანიჭეს. 2021 წელს კი გახდა ხულოს საპატრიო მოქალაქე.



ფრიდონ აბაშიძე არის კაცი, რომელსაც უყვარს წიგნი და თავისი ქვეყანა, რწმენაზე დაფუძნებული ცხოვრებით ცხოვრობს, აფასებს სხვის სულიერებას და სარწმუნოებას.

„ასპინძა და ასპინძელობა“ – რეალურად ჰუმანური და ტოლერანტული წიგნი

„ქართველი ქრისტიანი და ქართველი მუსლიმანი ეროვნული თვითშეგნებით დედა სამშობლოს თანაბრად უწყვეტ ნაწილებს წარმოადგენენ“.- იოსებ იმედაშვილი

წავიკითხე „ასპინძა და ასპინძელობა“, რომელიც ნიშნად ჩვენი მეგობრობისა, მაჩუქა წიგნის ავტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ, რომელსაც „ქართული სულის“ ფესტივალმა უწოდა - „დიდი მესხი“. მართლაც მის ძვირფას და საინტერესო წიგნებში – „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდლობა“ და მრავალი სხვა, რეალურობის პრიზმაში კაცთმოყვარეობით, ტოლერანტობით მესხ მუსლიმანთა ტრაგიკული ცხოვრებაა ასახული.

დღევანდლობაში ეს წიგნები მშვიდობის დესპანის როლს ითამაშებენ. სტუდენტებიც და, აგრეთვე, სახელმწიფო აპარატში მომუშავე მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც გამოიყენებენ.

სამწუხაროდ ამ ბოლო წლებში გამრავლდა ტენდენციურობა რელიგიური ნიშნით. მეც ქართველი მუსლიმი ვარ და ეს საწყისი საქართველოში ყველასათვის იმიტომ, რომ ისმენს და ხედავს ამ ექსცესებს მთელი მსოფლიო. ყველა კონფესია თანასწორი და თავისუფალია კონსტიტუციურად სამართლებრივად. აბა, გადახედოთ ჩვენს ძველს ისტორიაში – 26 საუკუნე ებრაელებმა იცხოვრეს ჩვენთან ერთად და დღევანდებლობაშიც ქართველების რელიგიურ ტოლერანტობას ემაღლიერებიან.

რუსეთის აგრესიულობას ჩვენი სამშობლოსადმი ბატონი მერაბი ასე ახასიათებს: ... „რუსეთს როცა სჭირდებოდა, ქრისტიანების მხსნელი და ქომაგი იყო. მაგრამ თუკი სახელმწიფო იმპერიული ინტერესები ითხოვდა, ყველაფერს გვერდზე გადადებდა, აკეთებდა იმპერიისათვის სასიცოცხლო აუცილებელ საქმეს და არ „ჩაიციკლებოდა“ სარწმუნოების დამცველობით. სხვაგვარად ვერ ავხსნით საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებას, ეკლესია-მონასტრების შეთეთრებას“... (გვ. 184).

დღევანდებლობაშიც ასეა რუსეთი ჩვენთვის.

... „1828 წელს მოხდა სომხეთა შემოსახლება თურქეთის პროვინციებიდან. ვიდრე სომხები შემოვიდოდნენ მესხეთში (სამცხე-ჯავახეთში), არც მაჰმადიანმა ქართველმა (მესხმა) და არც ქრისტიანმა თურქული ენა არ იცოდა. ორივემ მხოლოდ ქართული ენა იცოდა. თუ მანამდე საუკუნეები სჭირდებოდა ეროვნული და ენობრივი ფესვების დაცვლებას, ახლა, მეცხრამეტე საუკუნეში, დაჩქარდა, რადგან ოსმალურ-აღმოსავლურ ტრადიციას გვარის, ეროვნების სარწმუნოების შეცვლისა, რომელიც ეკონომიკურ საგადასახადო სისტემაზე იყო დაფუძნებული, დაემატა რუსულ ევროპულ ხრიკებსა და სახელმწიფო იმპერიულ ინტერესებზე დამყარებული მეთოდისა მესხეთის დაშლისა“... (გვ. 184)

... „ამ პროცესის დაგვირგვინება იყო 1944 წელი და მისი შემდგომი პერიოდი. მესხეთიდან იერლის (ქართველი მაჰმადიანის) გასახლებით და მათთვის ეროვნული იდენტობის საკითხის ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დასმითა და შემდეგ ქართული ფესვების ნაშლით პროცესი დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ქართველი მუსლიმების მონინაალმდევე ფრთის ორგანიზატორებიდა სულის ჩამდგმელები“... (გვ. 184).

... „ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მესხები ყველაზე ადრინდელი ქრისტიანები არიან... ანდრია პირველწოდებულმა, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, სწორედ მესხები გააქრისტიანა.

... „ჩვენი სიძარტლე უნდა ვუთხრათ ჩვენს მუსლიმ ძმებს, შვილებს, მომავალს განსაკუთრებით. მოსესთვის რომ არ ეთქვა თავის დედას სიძარტლე, რომ ის არ იყო ეგვიპტელი და ის იყო ებრაელი, არ შეიყვარებდა თავის ერს, ვერ გადაურჩებოდა ისრაელი, რადგან ეგვიპტელებს ყველა ებრაელი მამრის მოსპობა უნდოდათ. ჩვენ მოსეს დედის როლი უნდა შევასრულოთ. მუსლიმი ქართველები ისედაც ადგანან მოსეს გზას, რაც უფალმა თურეალობამ არგუნა მათ. მათ ბევრი განსაცდელი გამოიარეს, ბევრ ქვეყანაში არიან განფენილნი, მაგრამ მთავარი განსაცდელი აქვთ დასაძლევნი, ეს არის საკუთარი თავის შეცნობა და საკუთარი ფესვების აღდგენა (დავემონშები წიგნის ავტორს. ეს პრობლემა აჭარელ მუსლიმებში არ არსებობს. ფ.ა), ქართულ ძირებთან მიბრუნება არის მესხებისთვის მოსეს გზა. მოსე სამაგალითოა ქრისტიანებისთვისაც და მუსლიმებისათვისაც, ორივე სარწმუნოება აღიარებს მას წინასწარმეტყველად“... (გვ. 192)

... „უცნაურია, როდესაც ქართული გვარების შეცვლის საკითხი დადგებოდა, არც კი განიხილავდა მას, როგორც ამ ამბავ-გამოვლილიმესხები ამბობენ, იქვე აძლევდნენ, ვთქვათ, აზერბაიჯანულ გვარს, ხოლო როდესაც საქართველოში დაბრუნდნენ ისინი, ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი უმრავლესობისათვის გვარის დაბრუნება... საერთოდ გართულებულია ამ მხრივ საქართველოში საქმე. თუ ადამიანს სურვილი აქვს თუნდაც აირჩიოს ქართული გვარი, რატომ ვურთულებთ საქმეს. ეს არჩევანი ხომ ქართული გვარის პატივისცემისა და აღიარების მაჩვენებელია“... (გვ. 197).

... „სხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანი თავისი ეროვნული ძაფებით არის მიბმული ისტორიულ სამშობლოს. შეიძლება ენაც დაკარგო, შეიცვალო სარწმუნოება, მაგრამ ეს ეროვნული ძაფები არ გაძლევს საშუალებას, მოსწყდე ეროვნულ ძირებს“... (გვ. 201). (მართალი ბრძანდებით, ბატონო მერაბ, ფსიქოლოგიურად უნიკალურად ადასტურებთ ამ საკითხებს ამ ძვირფასი სიტყვებით. ჩემი გულისათვის, სულიერებისათვის მალამოა. შ. ფუტყარაძის

სიტყვებით რომ ვთქვათ, ათასჯერ გულდაშანთებული ქართველები, მითუმეტეს მუსლიმი ქართველები. ფ.ა).

... „მესხები არ განირჩევიან ადგილობრივებისაგან. მათ გენში ჩვენი ჯიშია, ჩვენი სისხლია. სამწუხაროდ, მათ აღარ იციან ქართული ენა. რატომ არ შეინარჩუნეს ქართული ენა? ჩვენი ვალია, მივებმაროთ მათ საკუთარი ფესვების ძიებაში, ვაჩვენოთ ისტორიული სამშობლო ისე, რომ არ მივაყენოთ რაიმე ტკივილი... მე მადლობა მინდა ვუთხრა თურქეთის მხარეს, რომელიც აფინანსებს მათ ახალგაზრდობას ჩვენს უნივერსიტეტში“... (გვ. 193-194).

და ბოლოს ძვირფასო მკითხველებო:

... „ყველაფერი კარგად წავა, მაგრამ თუ წინასწარ იმუშავებს ზოგიერთი ჩვენი მეზობელი იმისათვის, რომ ეს ადამიანები მესხები მოვიდნენ როგორც უცხო სხეულები, მოსვლისთანავე თუ დაინყებენ მეჩეთების მშენებლობას (თუ საჭირო იქნება ჩვენმა სახელმწიფომ უნდა ააშენოს და არა ვინმეს სხვამ, მათაც და ჩვენც, რომ საქმეს შედეგი არ ექნება“... (გვ. 203).

გეთანხმებით, ბატონო მერაბ, ამ ძვირფას გამონათქვამებში. მინდა, ჩემი მოქალაქეობრივი კომენტარი გავაკეთო – ავტონომიამ აჭარის საკითხშიც მოჭამა თავისი მისია, ის თავის ფუნქციას აღარ ასრულებს. მოგეხსენებათ, თავდაპირველად რელიგიის მიზეზითაა მინიჭებული. დღეს ჩვენს „ნაყიდნ“ (ფულით შევისყიდეთ სალოცავისათვის მიწის ნაკვეთი) „ნაფუძარზე“ ზოგჯერ არ გვაკეთებინებენ მეჩეთს ჩვენი შრომითა და ხარჯებით. მაპატიეთ, ჩემო მშობლიურო სისხლო და ხორცო ქრისტიანო ქართველებო. ეს პრობლემები მოსაგვარებელია სახელმწიფოსაგან, ჩვენი მთავრობისგან.

„ქართველი ერი – ქრისტიანიც და მუსლიმიც, არის ერთიანი და განუყოფელი. თუ გვინდა, გავუფრთხილდეთ მას, პატივი უნდა ვცეთ თითოეულის სინდისს და სარწმუნოებას, კეთილმორწმუნე დავიტ აღმაშენებლის მსგავსად“. – რელიგიათ მცოდნე ნუგზარ პაპუაშვილი.



„სარწმუნეობის საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა ვინ რომელ სარწმუნეობს აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯული ჰსურს, იმ რჯულზე იყოს, ოღონდ კარგი კაცი იყოს.“ ი. ჭავჭავაძე.

„ღვთისმოყვარეობაა, რომ ყოველ ადამიანს ყოველი ადამიანი უყვარდეს.“ - მეფე პოეტი არჩილი.

„ადამიანთა სამი გვარი არსებობს-ერთნი ემსახურებიან ღმერთს, იმიტომ, რომ უკვე იბოვებს; მეორენი ეძებენ ღმერთს, იმიტომ, რომ არ უბოვიათ, მესამენი-არც ეძებენ და არც უბოვიათ. -პირველნი ბედნიერი არიან და კეთილგონიერნი; მეორენი-უბედურნი და და კეთილგონიერნი; მესამენი-უბედურნი და უკეთურნი.“ - ბ. პასკალი.

ძვირფასო მკითხველებო მაისის თვის 20-დან 31-მდე ვიმყოფებოდი საუდის არაბეთში რელიგიური პილიგრიმოზის „უმრა“ - პატარა ჰაჯობაზე.


ამ სახელგანთქმულ, ისტორიულ ქალაქებში რელიგიური რიტუალების შესრულების შემდეგ გამახსენდა და ოცნებაც მქონდა, რომ ქალაქ მედინაში კაცობრიობის ბოლო შუამავლის საფლავთან, სიახლოვეს იყო შუამავლის მტკიცე მიმდევართა საერთო სასაფლაო, სახელწოდებით (ჯენნეთულ ბაყი არაბ.). ნიშნავს- „სამოთხის ბინადარნი“, სადაც ნმ. ხალიფა ოსმანის საფლავის, მოპირდაპირე მხარეს არის სახელგანთქმული მამლუქის დავით გიორგის ძე მანველიშვილის. „დაუდ ფაშას“ საფლავი, რომელმაც ერაყი ააშენა- და არაბმა ისტორიკოსებმა ერაყის „აღმაშენებელი“ უწოდეს... მოხუცებულობისას კი მედინის გუბერნატორი ყოფილა, როცა გარდაიცვალა, საფლავი მიუჩინეს ხალიფა ოსმანის საფლავის მოპირდაპირე მხარეს-ადასტურებენ ისტორიკოსები. - აღიარებული წიგნში. „ერაყი მამლუქთა განმგებლობის ხანაში.“ ავტორი-ბენიამინ სილაგაძე გამოც. 1978 წ.

აგრეთვე ეს წიგნი შევადარე-მურად ქასაბი - ავტორი „ოსმალების ქართველები“ 146 გვერდზე, სადაც თურქული არქივებიდან ამოღებული ისტორიული მასალების საფუძველზეც ერთნაირია. ასე რომ, ერთმა დავითის სახელის მუსლიმმა ქართველმა აშენა

ერაყი. ხოლო მეფე დავით-IV-მ ქრისტიანმა ტოლერანტმა მეფემ ჩვენი სამშობლო საქართველო. აი, ქართული გენის ისტორიულად მართავდნენ ეგვიპტესაცა და ერაყსაც ქართველი მამლუქები.

მტრედო აფრინდი ზეცაში წყნარად,
შემოიფრინე მსოფლი ჩქარა,
ბომბებს, რაკეტებს-არა და არა,
მშვიდობა ყველას, ომები კმარა.

მ. მგელაძე, პოეტი პედაგოგი (ხულო)



ქაბაზე გარშემოვლა ვედრებები ღმერთზე.

ღვანულადი მაცნიერი

სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ შუქრი თავართქილაძე არის ერუდირებული, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები (70-ზე მეტი, მათ შორის 4 მონოგრაფია) გამოქვეყნებულია სხვადასხვა ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მან დაამთავრა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. მისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: პირველი ნაწილი უნივერსიტეტის დამთავრებიდან 80-იან წლებამდე ეძღვნება ელექტრომაგნიტური ველისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ფუნდამენტურ შესწავლას და მიღებული მეცნიერული შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგებში. მეორე ნაწილი იწყება 90-იანი წლებიდან და დღესაც გრძელდება. იგი ძირითადად ეძღვნება კურორტ ურეკისა და გროგოლეთი-მალთაყვის ზღვისპირა ზოლის ქვიშიანი მაგნეტიკური პლიაჟების ლოკალურ-მაგნიტური ანომალური ველის, მისი გენეზისის, ამ ქვიშების მექანიკურ, მინერალოგიურ, ლითოლოგიურ შესწავლას და მის შესაძლო გამოყენების პერსპექტივებს ბიოლოგიასა და მედიცინაში.

მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე, პრაქტიკული გამოყენებისათვის, მის მიერ შერჩეულ იქნა გეოფიზიკური მიმართულება. კერძოდ, დედამიწის აგებულების შესწავლა ელექტრომაგნიტური ზონდირების საშუალებით ამ მიზნით მის მიერ შესწავლილ იქნა ელექტრო-მაგნიტური ტალღების გავრცელების თავისებურებანი არაერთგვაროვან გამტარ ფენოვან გარემოში. ასეთი გარემო იქნა XX საუკუნის 50-იან წლებში მიღებული დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებაში ცნობილი საბჭოთა აკად. ტიხონოვის და ფრანგი აკად.გ. კანარის მიერ და განიხილებოდა,

როგორც ტიხონოვ-კანიარის მოდელი. ამ მოდელის ფარგლებში მუშაობდნენ მსოფლიოს გეოფიზიკოსები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ მოდელის ფარგლებში ადგილო ჰქონდა დიდ ცდომილებებს, რასაც ადასტურებდა ქაბურღილების მონაცემებიც. მიზეზი ასეთი იყო: პრაქტიკულად ბრტყელი ჰორიზონტალური გამტარფენოვანი გარემო სინამდვილეში არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. დედამინის ზედაპირი არ იყო ბრტყელი, იგი უმეტეს შემთხვევაში მთაგორიანია და ზედაპირი უსწორმასწოროა. შ. თავართქილაძემ წამოაყენა ახალი მოდელი დედამინის რელიეფის გათვალისწინებით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად. მის მიერ შემუშავებული და ამოხსნილი იქნა რთული ამოცანები რიცხვითი მათემატიკური მეთოდებით, შედეგი წარმოდგენილი იქნა გრაფიკული პალეტების სახით, უშუალოდ გამზადებული ელექტრომაგნიტური ზონდირების მასალების გეოფიზიკურ-გეოლოგიური ინტერპრეტაციისათვის. ეს შედეგები მაშინვე დაინერგა მრავალ გეოფიზიკურ ორგანიზაციებში როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ამ საკითხებზე მის მიერ მოხსენებულ იყო მრავალ საკავშირო, ისე საზღვარგარეთ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე და კონფერენციებზე. გამოქვეყნებული იქნა სამეცნიერო სტატიები რუსულ და ინგლისურ ენებზე. მის მიერ წარმატებით იქნა დაცული დისერტაცია ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ეს იმდენად მაღალ დონეზე იქნა შეფასებული, რომ ამ დაცვის ამსახველი ფოტო ლეგენდარულ აკად. ა. ტიხონოვთან 4-გზის სოც შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურიატი) და სხვა მცხოვან მეცნიერებთან ერთად გამოფენილი იყო საკავშირო გამოფენის მეცნიერებისა და განათლების საპარადო შესასვლელის ფრონტონზე (1985 წლიდან სსრკ-ს დაშლამდე) გრიფით: „თაობათა მემკვიდრეობა“. ამ პრობლემის ირგვლივ მოსკოვის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოიცა ორი მონოგრაფიული ალბომი: დედამინის ელექტრომაგნიტური ზონდირების მასალების ინტერპრეტაციის პალეტები ელექტრონული (E) და მაგნიტური (H) პოლარიზაციის შემთხვევისას. რამაც ავტორს დიდი მეცნიერული

ავტორიტეტი მოუპოვა. იგი არჩეულ იქნა საერთაშორისო ელექტრომაგნიტური პროექტის (ЭЛАС) საბჭოთა სამუშაო ჯგუფის წევრად. ამ პროექტის ფარგლებში ინდოეთის ოკეანის კუნძულ კერგელედან განხორციელდა დამუხტული ნაწილაკების ნაკადის იყექტირება ტოპოსფეროში, რამაც გამოიწვია - ხელოვნური პოლარული ნათება. შ. თავართქილაძის სამეცნიერო შრომის ნაწილი შეტანილ იქნა გეოფიზიკის ცნობარში (მოსკოვი 1983) რაც მიუთითებს ამ მეცნიერულ შრომების საერთაშორისო აღიარებაზე. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გლობალური გეოფიზიკური პროექტების რეალიზაცია შეჩერდა.

XX საუკუნის 90-იან წლებიდან შ. თავართქილაძემ ხელი მოკიდა მის მეცნიერულ შედეგების რეალიზაციას მედიცინასა და ბიოლოგიაში. კერძოდ, მაგნიტოთერაპიაში გამოყენებას. ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას. ამ წლებში იგი პროფ. თ. ფლენტთან და პროფ. დ. ტვილდიანთან ერთად მონაწილეობდა მეცნიერულ გამოკვლევებში მაგნიტური სოლენოიდის მეშვეობით ცოცხალი ურედეების გამრავლების სტიმულაციაზე. სწორედ ამ პერიოდში ცნობილმა ნერვოპათოლოგმა კურორტ ურეკის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ნ. ქარცივაძემ და კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გ. უშვერიძემ სთხოვეს და დაბეჯითებით ურჩიეს მას დაეწყო ურეკის მაგნეტიტური ქვიშების ფუნდამენტურად კომპლექსური მეცნიერული შესწავლა მის მედიცინაში გამოყენების მიზნით მან შეკრიბა სხვადასხვა მეცნიერული პროფესიის მეცნიერ-სპეციალისტები (ფიზიკოსები, მინერალოგები, ჰიდროლოგები, მაგნიტოლოგები, კლიმატოლოგები, რადიოლოგები, ეკოლოგები მედიცინის სხვადასხვაპროფილის სპეციალისტები), რომლებიც შემდეგ გაერთიანდებიან კურორტ ურეკის კომპლექსური შესწავლისა და მედიცინაში მისი გამოყენების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში. XX საუკუნის 90-იან წლებიდან დღემდე განხორციელდა მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ფართო პროფილის სამეცნიერო გამოკვლევები, რომელთა შედეგები დაინერგა სამედიცინო პრაქტიკაში და გამოქვეყნდა მოკლე მონოგრაფიულ ცნობარში „ურეკი-უნიკალური კურორტი“ ქართულ რუსულ და ინგლისურ ენებზე

შემუშავებულ და მეცნიერულად საერთაშორისო დონეზე აპრო-
ბირებული იქნა პრაქტიკაში კურორტ ურეკის სამკურნალო
ფაქტორების პრაქტიკულ მედიცინაში გამოყენების ინსტრუქცია
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების დონეზე,
რაც გამოიცა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ეს
მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის სხვადასხვა საკითხები
მოხსენებულ იქნა მის მიერ სხვა მეცნიერ თანაავტორებთან
ერთად სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენ-
ციებსა და სიმპოზიუმებზე. შედეგი ასეთია: მაღალ მეცნიერულ
დონეზე კომპლექსურად იქნა შესწავლილი ურეკის კურორტო-
ლოგიური ფაქტორები. რის საფუძველზეც ურეკი აღიარებულ
იქნა საერთაშორისო კლასის გამაჯანსაღებელ კურორტად მთელ
მსოფლიოში, რის შედეგადაც იქ ამ ბოლო წლებში აშენდა სას-
ტუმრო და სხვადასხვა პროფილის სამედიცინო-სარეაბილიტაციო
დანესებულებები. 2018 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი
მარიოტის ბრენდის სასტუმროებს შორის. ამ რთულ კონკურსში
მონაწილეობდნენ ევროპის ცნობილი ქალაქებისა და საკურორტო
ადგილებში არსებული ამ ბრენდის სასტუმროები. მიუხედავად
ურეკის ზღვისპირა ზოლში ინფრასტრუქტურის ძალიან დაბალი
განვითარებისა, ამ სანაპიროზე მდებარე სასტუმრო „პარაგრაფ“-
მა ამ კონკურსში გაიმარჯვა და მას პირველი ადგილი მიაკუთვნეს.
ამაში ლომის წილი მიუძღვის ურეკის საკურორტო ფაქტორების
საერთაშორისო დონეზე აღიარებას. აღინიშნა, რომ მარიოტის
ბრენდის სასტუმროები განლაგებულია ევროპის დედაქალაქებსა
და საუკეთესო ადგილებში, მაგრამ სასტუმრო პარაგრაფი გამო-
ირჩევა ყველასგან იმით, რომ იგი მდებარეობს ურეკი-შეკვეთილის
უნიკალური თვისებების მქონე მაგნეტიტურქვიშების პლიაჟზე.
უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიურ საზოგადოებათა მსოფლიო
ასოციაციამ, რომლის შტაბ-ბინა ლონდონშია და რეგისტრირე-
ბულია გაეროში, როგორც კონსულტანტო ორგანიზაცია, ეს ორი
წელია (2018-2019 წწ) ჩაატარა ინკლუზიურ საზოგადოებათა
საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია, რო-
მელზეც მოხსენებით გამოვიდა შ. თავართქილაძე. ამ ღონისძიე-
ბაში მონაწილეობდა მსოფლიოს 13 ქვეყნის 74 ქალაქის დელეგა-
ციები (სულ 450 დელეგატი) იმდენად კარგად იყო წარმოდგენილი

კურორტ ურეკის მახასიათებლები, რომ ამ ასოციაციის ხელმძღვანელობამ დაადგინა ამ ღონისძიების ჩატარება ყოველწლიურად ურეკში და დელეგატების რაოდენობა 1500 კაცამდე გაიზარდა. ეს ჩვენი პატარა ქვეყნის, მისი შესაძლებლობების დიდი საერთაშორისო აღიარებაა. შ თავართქილაძე, მიუხედავად ასაკისა, დღესაც დაულალავად განაგრძობს ამ მიმართულებით ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას. 2018 წელს მისი უშუალო მოღვაწეობის შედეგად (მის მიერ კონკურსის წესით მიღებული გრანტის დაფინანსებით) კოლეგებთან ერთად მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლილ იქნა გრიგოლეთის ზღვისპირა ზოლის მაგნიტურ ტიპური ქვიშები. იქ არსებული ანომალიური მაგნიტური ველი, შედგენილი იქნა ამ ზოლის მაგნიტური რუკა. ამ სამუშაოებმა ევროკავშირის მეცნიერ-ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, ისინი გამოქვეყნდა აკადემიურ სამეცნიერო პერიოდულ ჟურნალებში.

შ. თავართქილაძე სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი კითხულობდა ლექციებს თბილისისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს ღია ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ჟურნალი „არავი“ ულოცავს სარედაქციო საბჭოს ნევრს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორს **ნუგეშა გაგნიძეს** დიდ წარმატებებს, რომელიც მან 2022 წელში მოიპოვა!

2022 წლის 25-29 ივლისს თბილისში ჩატარდა შედარებით ლიტერატურის მსოფლიო კონგრესის (International Comparative Literature Congress). მისი ინიციატორები, ორგანიზატორები და მასპინძლები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ფორუმში, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს, იმართება სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს წამყვან საუნივერსიტეტო ცენტრებში. კონგრესი პირველად 1955 წელს გაიმართა ვენეციაში (იტალია), ხოლო ბოლო კონგრესს მაკაუმ (ჩინეთი) უმასპინძლა. თბილისში ჩატარებული კონგრესის თემა იყო „მსოფლიო ლიტერატურების გადააზრება: გლობალური და ლოკალური, ცენტრალური და მარგინალური მიმართულებები“. პროფ. ნუგეშა გაგნიძის მოხსენების თემას წარმოადგენდა „მედეას მითის დეკონსტრუქცია გივი მარგველაშვილისა და კრისტა ვოლფის შემოქმედებაში (გივი მარგველაშვილი, „კოლხი მედეა კოლხოზში“, კრისტა ვოლფი, „მედეა. ხმები“). კონგრესის ფარგლებში გაიცა გრიგოლ კიკნაძის სახელობის ლიტერატურათმცოდნეობითი პრემიები. პრემია საუკეთესო მონოგრაფიისთვის გადაეცა პროფ. ნუგეშა გაგნიძეს საუკეთესო ნაშრომისთვის „ცხოვრება ორ სამყაროში – გრიგოლ რობაქიძე“.

პროფ. ნუგეშა გაგნიძე „საბა 2022“ წლის გამარჯვებულია ნომინაციაში „წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა“. მისი ნაშრომი „ცხოვრება ორ სამყაროში - გრიგოლ რობაქაძე“ ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო მონოგრაფიად იქნა მიჩნეული.

ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორების აზრით, „იმ
წლიდან, რაც კრიტიკის ნომინაცია ცალკე გამოიყო, ლიტერატურულ
წარევებში განსაკუთრებული მოლოდინია, აბა, წელს
როგორი ნიგნები იქნება წარდგენილი? იქნება თუ არა საერთოდ,
როგორია წლის ლიტერატურული კრიტიკის მოსავალი? წელს ამ
ნომინაციაში ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურული ტექსტე-
ბის შესახებ დაწერილი მასშტაბური და კვალიფიციური ნაშრომები
ვიხილეთ. ხოლო გამარჯვებული ნუგეშა გაგნიძის „ცხოვრება ორ
სამყაროში - გრიგოლ რობაქაძე“ არის, როგორც ბოლო წლების
ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო მონოგრაფიის ნიმუში“.

საზეიმო ცერემონიაზე, რომელიც 21 სექტემბერს გაიმართა
მთანმინდის პარკში ხაზგასმით აღინიშნა ნაშრომის სამეცნიერო
ღირებულება და მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში.

ვულოცავთ ქალბატონ ნუგეშას ამ წარმატებებს და ვუსურ-
ვებთ მას კვლავაც წინსვლას სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ლალი ბერიძე



პროზა

ზაზა ცოტნიაშვილი

დედის მონატრება

ავვისტოს გომგები და შესაქანი სახლი

ქართველები ანტიერაქანში

ოთარა

„ლევანიძე“

9 აპრილი

როგორ ცხოვროვს ცხინვალის რეგიონი

3

პროზა

ვახტანგ ინაური

ეპა გაქრამის ლირიკული მელიტაციები

18

ისტორია

უჩა ბლუაშვილი

გეორგიევსკის ტრაქტატი და დღევანდელი

26

ენათმეცნიერება

სალომე ბერიძე

დავა ასინძის მცხოვრებთა მეტყველება

37

პოეზია

ლერი ნოზაძე

80

პოეზია

თორნიკე აბულაშვილი

86

თარგმანი

ქმნილი

91

ლოცვა

აბა ჰა!

ფენიქსი

თარგმანი

ჰანსიორგ კვადერერი

შტომკვებული რაინის ნარიყს (1990-1991)

„Ausgesetzt auf den Sedimenten des Rheins“ (1990-1991)

პროზა

ვასილ ბერიძე

ბიორგოზა საგარეჯოში

102

პოეზია

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ცნა

109

პოეზია

შორენა დოლიძე

155

ტექსტები

ნათელა მელიქიძე

წინაპართა უკვდავსაყოფი წიგნი

159

ფრიდონ აბაშიძე

„ასვინძა და ასვინძელოზა“ – რეალურად ჰუმანური და

ტოლერანტული წიგნი

საინტერესო შთაბეჭდილებები მძა-მეღინაში

164

ჩვენი მემკვიდრეობა

ღვანულმოსილი მემკვიდრეობა

170

ბილოგია

175

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com

ISSN 2346-836X

